# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 მაისი 2000 №89 (1111) | ფასი 50 თეთრი





*თბილისში მეორედ ხართ, უთხრა ბერნდ შუსტერს ჟურნალ „სარბიელის“ კორესპონდენტმა და 21 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა — ინტერვიუ ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელთან.*

*როი კინმა საკუთარ კარშიც კი კაცურად დაარტყა, ამტკიცებს ჟურნალ „სარბიელის“ მიმომხილველი — ჩემპიონთა ლიგა აპრილში.*

*ინგლისელი ფანები ხიფათს პირველად სტამბოლში როდი გადაეყარნენ — მკვლელობის ამბები, ინგლისელთა ფათ‚კრაკების ქრონიკა და უეფას თასი ჟურნალ „სარბიელში“.*

*სალონიკში ვნახე მწვანე ნეხვი და ერთი უბრალო გენიოსი, გვიამბობს ჟურნალ „სარბიელის“ რეპორტიორი — ევროლიგის ოთხთა ფინალი კალათბურთში.*

კიდევ ბევრი
სხვა და „სხვადასხვა“
**ჟურნალ**
**სარბიელის**
მესამე, 28-გვერდიან ნომერში,
რომელსაც ორშაბათიდან შეიძენთ.
**ფასი 2 ლარი**

# გეგუჩაძე კორღალიძეს მიჰყვა

გუშინ თბილისის „დინამოდან“ მწვრთნელ ოთარ კორღალიძის ყოფილი თანაშემწე გია გეგუჩაძეც წავიდა. ის ვარჯიშის შემდეგ პრეზიდენტ მერაბ რატიანს ესაუბრა და გუნდი საკუთარი სურვილით დატოვა. გეგუჩაძემ რატიანს უთხრა, რომ „დინამოში“ დარჩენის მორალური უფლება არა აქვს   კორღალიძის თანაშემწე ვიყავი და რაკი ის წავიდა, მეც მას მივყვებიო. კლუბის პრეზიდენტსაც არ გამოუდია თავი, შენი საქმის შენ იციო.

დღეს ქუთაისის „ტორპედოსთან“ პრინციპული მატჩისას გუნდს ჯემალ ჩიმაკაძე და გელა ჭანტურია უხელმძღვანელებენ.

„დინამოში“ ერთი ახალი ამბავიცაა: გუშინვე გუნდის თავკაცობამ ზაზა ზირაქიშვილი, მამუკა მინაშვილი და მიხეილ ხუციშვილი ტრანსფერზე დააყენა. ამ ფეხბურთელებს თავადვე გამოუთქვამთ „დინამოდან“ წასვლის სურვილი.



გია გეგუჩაძე



ტყუპების გზები დაშორდა: შოთა ესპანეთისკენ იხედება, არჩილმა კი გერმანიას მიაშურა

# ვალენსიამ შოთას მენეჯერი დაიბარა
## არჩილი კი კიოლნში ბინას არჩევს

ორშაბათს ტყუპი არველაძეებისა და სხვა ქართველ ფეხბურთელთა დანიელი მენეჯერი ივან ბენეში ვალენსიას უნდა ესტუმროს. ესპანეთში მისი ვიზიტის მიზანი ერთია — „ვალენსიას“ ხელმძღვანელობას შოთა არველაძის თაობაზე ესაუბროს. როგორც თავად ბენეშმა გვითხრა, ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი და მისი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი „აიაქსის“ ქართველი ფორვარდით ერთობ სერიოზულად დაინტერესებულან. ამიტომაც შეუთვლიათ ბენეშისთვის, აქ ჩამოდი, სატრანსფერო და სხვა თანხებზე მოვრიგდეთო.

„ვალენსიაში“ შოთას გადასვლაზე კარგა ხანია, ლაპარაკობენ. ჩვენებურის თამაშის სანახავად ადრე ამსტერდამში ესპანელთა ერთ-ერთი მწვრთნელიც ჩავიდა, თუმც უშოთაო „აიაქსის“ მატჩსლა დაესწრო, თავდამსხმელი ვალენსიელს ტრავმირებული დაუხვდა. ესპანელები შოთა არველაძის გამოჯანმრთელებას დაელოდნენ და ახლა, სეზონის ბოლოს, კვლავ წამოიწყეს საქმე, მენეჯერი მიიპატიჟეს.

ნაკლებმოსალოდნელია, ყველაფერი ორშაბათსვე მოგვარდეს, თუმცა ეს ფაქტი თავისთავად საყურადღებოა.

იმავ ბენეშმა ერთი არველაძის, ტყუპისცალ არჩილის ჰოლანდიური „ბრედადან“ გერმანულ „კიოლნში“ ტრანსფერი უკვე გაჩარხა. გუშინ დილით მისი თანდასწრებით არჩილ არველაძემ ბუნდესლიგაში დაბრუნებულ „კიოლნთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და აგვისტოდან ამ კლუბის მაისურას მოირგებს. იქამდე კი არჩილი ალბათ ერთხელაც ითამაშებს „ბრედას“ შემადგენლობაში, რომელიც „კიოლნის“ მსგავსად და აჩის 20 გოლის დახმარებით წლეულს დაუბრუნდა უმაღლეს დივიზიონს.

კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ არჩილ არველაძე კლუბის ოფისში ერთ-ორ საათსაც შეყოვნდა, ჩვენს იქაურ კოლეგებს კითხვებზე უპასუხა, მერე ბრედას მიაშურა და გზად...

— ახლა ჰოლანდიაში ვბრუნდები. „ბრედას“ მწვრთნელმა მთხოვა, სეზონის ბოლო მატჩიც ითამაშეო. ჩავალ, ქომაგებთანაც მსურს დამშვიდობება. შაბათ სალამოსვე კიოლნში ვიქნები, ბინა და მანქანა უნდა ავარჩიო, კვირას კი „კიოლნის“ მატჩს დავესწრები. ახალ გუნდზე წარმოდგენას შევიქმნი, მაინტერესებს, ვინ როგორ თამაშობს. ისე, ძლიერი გუნდია. როგორც აქაურებმა მითხრეს, ბუნდესლიგიდან არც უნდა გავარდნილიყო, ამას არ ვიმსახურებდითო. ახლა დიდი ამბიციები აქვთ, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე სიტყვასაც არავინ ამბობს, უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლებთო. „კიოლნს“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა სურდა, ვისი, არ უთქვამთ. არც ის ვიცი, ვინმე სხვაც თუ დაიმატეს.

მწვრთნელს რამდენჯერმე ველაპარაკე, ერთსა და იმავეს მიმეორებს, შენნაირი ფორვარდი მჭირდებოდა, გუნდს კარგად შეეწყობიო. მეც ამის იმედი მაქვს. დანარჩენს საქმე აჩვენებს...

არჩილ არველაძე საჭესთან იყო. მეტად ალარც შეგვიწუხებია.

„კიოლნის“ მწვრთნელმა ევალდ ლინენმა კი არჩილი გუშინდელ პრესკონფერენციაზევე აქო: „არველაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია და ბუნდესლიგაში უეჭველად წავვადგება. ბრწყინვალე სათამაშო მონაცემების, განსაკუთრებით დრიბლინგის წყალობით, ერთობ სახიფათოა ცენტრიდან შეტევისას. მოხარული ვართ, რომ ის უკვე ჩვენიანია“.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# 11 ტური

### «ა» ზონა
13 მაისი, შაბათი

დინამო — ტორპედო
სიონი — ბათუმი
დილა — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — იბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 26:9 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 4 | 0 | 11:4 | 34 |
| დინამო | 10 | 3 | 7 | 0 | 10:2 | 33 |
| ბათუმი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:7 | 32 |
| კოლხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:8 | 28 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 10:22 | 18 |
| დილა | 10 | 2 | 0 | 8 | 9:21 | 16 |
| იბერია | 10 | 2 | 1 | 7 | 5:25 | 16 |

### «ბ» ზონა
12 მაისი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 4 |
| თბილისი | 0 |

13 მაისი, შაბათი

გორდა — სამგურალი
მერანი — ხობი
არსენალი — ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 10 | 6 | 4 | 0 | 11:2 | 30 |
| თსუ | 11 | 7 | 0 | 4 | 17:10 | 29 |
| ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:3 | 29 |
| გორდა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:5 | 28 |
| სამგურალი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:6 | 21 |
| არსენალი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:20 | 14 |
| თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | 14 |
| ხობი | 10 | 1 | 0 | 9 | 10:31 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია „არსენალი“, „თბილისი“ და „ხობი“ მეორე ლიგაში დაქვეითდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი **11 ტური**

# რა უნდოდა თბილისს?

| | |
|---|---|
| მცხეთა | 12 მაისი, 18 საათი, არმაზი, 300 (ტევადობა 3 000) |

**თბილისი 0:4 თსუ**

0:1, 0:2 წუწუნავა (21, 83), 0:3 ადამია (87), 0:4 წუწუნავა (89)

**თბილისი:** მამალაძე, ყუფარაძე, ჩივაძე, ძაგნიძე, ზვ. ლაბაძე, ი. შენგელია, ბურდული, კოხრეიძე (მანჭარაული 85), დ. ტყებუჩავა, გონჩაროვი (კანდელაკი 55), გადელია (ლოლაძე 46)

*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; სულაქველიძე

**თსუ:** მერლანი (გუგუნავა 44), ბარქაია (თ. ბოკერია 87), ებრალიძე, სვანაძე (ლომჯანიძე 46), ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მაზიაშვილი, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე

*სათადარიგონი:* გ. გოცირიძე, ბ. ნოზაძე, ახალაძე, ქადაგიძე

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), კ. თბილელი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

„თბილისმა" გუშინ თავისი ადგილი იპოვა. თსუ-სთან განადგურების შემდეგ ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა ოფიციალურად გაიფორმეს რეგიონალლიგის საგზური. „თბილისმა" ეს დაიმსახურა, დაიმსახურა თავისი თამაშით, კლუბის ხელმძღვანელთა ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით. ის სხვა ამბავია, რომ ფეხბურთელთა ასეთ ცუდ თამაშს თავისი მიზეზი ჰქონდა, თბილისელებმა თვეების განმავლობაში არ იცოდნენ ხელფასისა თუ პრემიის გემო, არ იცოდნენ, ვინ იყო კლუბის ხელმძღვანელი და უფრო უარესიც, ისიც კი არ იცოდნენ, რომელ საშინაო მატჩში სად მოუწევდათ მასპინძლობის გაწევა. სად აღარ დაუხვდა „თბილისი" მეტოქეებს, ჯერ „ეროვნულ" სტადიონზე, მერე დიღმის ბაზაზე(?), შემდეგ ავლაბარში, „ისანზე", გუშინ კი „თბილისმა", თსუ-ს მისსავე სტადიონზე — მცხეთის „არმაზზე" „უმასპინძლა". ისე, პრესას რომ ხმა არ ამოეღო, ნუ გაგიკვირდებოდათ დიღმის ბაზა თუ ეროვნული ჩემპიონატის მასპინძლად იქცეოდა.

გუშინდელი შეხვედრის პირველ ტაიმში „თბილისი" ისე მონდომებით თამაშობდა, მეორე ეტაპის წინა შეხვედრებიც რომ ასე ჩაეტარებინა, იქნებ გასავარდნადაც არ ჰქონოდა საქმე. მაინც ვერას გახდნენ თბილისელები. საბოლოოდ ისეთი ანგარიშით დამარცხდნენ, კაცი იფიქრებს, გადაუვლია თსუ-ს და ეგაა. არც ეგრე ყოფილა საქმე. 83-ე წუთამდე გადაწყვეტით იმასაც ვერ იტყოდით, თსუ მოიგებსო.

პირველი ტაიმი დაბალ ტემპში, უინტერესოდ და თანაბარი უპირატესობით წარიმართა. გუნდები ძირითადად ბურთის მოედნის ცენტრში გორებით იყვნენ გართული. შეტევებისთვის კი ძალიან იშვიათად იცლიდნენ. შესვენებამდე სულ ოთხი მომენტი შეიქმნა. ორი ერთ, ორიც მეორე კართან. თსუ-ს 21-ე და 38-ე წუთებზე შეეძლო გატანა. პირველად მიზანსაც მიაღწია — ადამიას წამოწყებული შეტევის დროს წუწუნავა მამალაძესთან პირისპირ დარჩა და ანგარიშიც გაიხსნა. მეორედ ადამიას მიეცა კარგი შანსი, თუმცა მამალაძემ სასწაულებრივ აულო ახლოდან დარტყმული. ტაიმის მიწურულს კი „თბილისს" ჰქონდა გათანაბრების ორი შესაძლებლობა. ორჯერვე მერლანმა ითამაშა ჩინებულად, თუმცა მეორე ბურთის მოგერიება ძვირად დაუჯდა, უხერხულად დაეცა და ტკივილისგან გატანჯული შესაცვლელი შეიქნა. პირველ ტაიმში სულ ეს იყო.

მეორე ნახევარი პირველზე უარესი სანახავი გამოდგა. არანაირი ფანტაზია, არანაირი კომბინაცია, ორ პასსაც ძლივს აბამდნენ ფეხბურთელები. მეორე ორმოცდახუთწუთეულში სულ სამი მომენტი შეიქმნა და სამივე გოლით დასრულდა. 83-ე წუთზე ადამიას ძლიერად დარტყმულს მამალაძე კი გადაელობა, მაგრამ წუწუნავას დამატებულს წინ ველარ აღუდგა — 2:0. 87-ე წუთზე წუწუნავა მეკარესთან პირისპირ დარჩა, ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ არ იძუნწა, ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფ ადამიას მიაწოდა და საგოლე პასიც ჩაიწერა. ადამიამ კი ვალს დაბრუნება უნდაო და ორ წუთში ზუსტად ანალოგიურ სიტუაციაში წუწუნავას ჰეთ თრიქი მაინც შეასრულებინა. ამ გოლზე საუბრისას არჩვაძის ჩინებული ქუსლური პასიც უნდა გავიხსენოთ, სწორედ ამის შემდეგ დაუპირისპირდა ადამია მამალაძეს. მატჩიც 4:0 მორჩა.



თსუ-ელი მიხეილ მაზიაშვილი და თბილისელი ბორის გონჩაროვი (№10)



დალიეთ ლუდი, ისიამოვნეთ ფეხბურთით!

# მე მინდა, ვიყოთ... ჩვენ!

ტვინი წაილეს ამ რეკლამებმა. არადა, ფეხბურთი ურეკლამოდ წარმოგიდგენიათ? უბურთო, უსტადიონო ჰო, მაგრამ ურეკლამო? აჰ, აჰ, არავითარ შემთხვევაში. კი, ვეჩვევით ნელნელა, მაგრამ მაინც ტვინი წაილეს.

გამიგებთ ალბათ. როგორი ამბავია, უყურებ კაცი „ბაიერნი" — „რეალს", აწვდის კუთხურს ან საჯარიმოს შოლი, ხტება ელბერი, თავით უგდებს იანკერს, ის თავტლიპინა „ფეხბურთის ღმერთიც" (მე ესესის შტურმბანფიურერს უფრო მაგონებს) უკუღმა თუ გვერდულად ვარდნაში დასარტყმელად ემზადება და... ჰაერში აფრენილი „ფაშისტი" იანკერის მაგიერ ტელევიზორში ჩნდება ჰაეროვანი არატრადიციონალისტი ქალბატონი და ტრადიციული ქართულით გეკითხება — როგორ ფიქრობთ, სად გაქრა სითხე? მე კი გეკითხებით თქვენ — როგორ ფიქრობთ, მირდა ახლა მე სითხე? როგორ ფიქრობთ, სად გაქრა იანკერი? არც თქვენ იცით, ხომ? — აი, ეს იცის ნამეტანმა რეკლამამ.

ეს „ტელევიზიონშიკებიც" კაი ტიპები არიან, რომ მოდგებიან და გაგანია ფეხბურთის დროს ხუნტრუცა დედაკაცების პირით სითხეებზე გვეკითხებიან, დალოცვილებმა რომელი წყალკანალტრესტის უფროსები გვნახეს, თუ მაინცდამაინც, ვოვა გუცაევზე შეეკითხონ ხალხს, სამი დღე გულამოსკვნილი რომ ეძებდა ნახევარი ოსეთი (რომ არ დაგვიკარგავს, ის) — როგორ ფიქრობთ, სად გაქრა გუცაევი? — დასვამდი შეკითხვას და საქართველო პატარაა, ვარიანტი არ არის, ვინმეს არ სცოდნოდა.

რეკლამაა, რომ ღუპავს ყველაფერს. ზოგჯერ კონფლიქტის მიზეზიც ხდება. არა, მთლად კონფლიქტის არა, მაგრამ ფეხბურთელებს კი აბუზღუნებს და...

აგერ, ბატონო, ბათუმი და „ბათუმი". იძახიან, ჯანი კარნევალი მარტო ბრინჯს და მაკარონს აჭმევს თავისი გუნდის მოთამაშეებსო. ჰოდა, რავარი საქმეა, ზის ამ ბრინჯით და მაკარონით გამოსტიქინებული ფეხბურთელი ტელევიზორთან, უყურებს ფეხბურთს და უცებ — მწვადები, ხაჭაპური, საცივი და ბაჟე, ყველაფერზე კარგია კოკა-კოლა! ანდა — ნუუთელაა, ბევრი რძე და თხილი... ადვილი მოსათმენია? გეკითხებით, ადვილი მოსათმენია? ბოლოს და ბოლოს საქართველოა თუ ვიეტნამი, ბრინჯი რას მიქვია, მსოფლიოში გაითქვა სახელი ქართულმა კულინარიამ.

კიდევ უარესი — „ბარსელონა" — „ვალენსიას" მატჩია. ფინალი ახლოსაა და სკდება ყვირილით ნაკერავზე ექტორ რაულ კუპერი, აქეთ მენდიეტას უყვირის, იქით — ჯუკიჩს, ხერარდსაც ხომ უნდა შეფუცხუნება, ბავშვია ჯერ და ამ დროს: ხმა ისმის ეკრანზე, ლევიტანს საფლავში გადააბრუნებს — თქვენს დღევანდელ კავშირს ახორციელებს მობილური კომპანია მაგთი GSM — კაცო! ბიჭო! გასკდა, მოკვდა კაცი და ახლა ამბობ? თუ მტერი ხარ ფეხბურთის, ვანგაალისტი ხარ, მოკლა გინდა კუპერი?

მაგრამ ხანდახან საჭიროც კია რეკლამა, ეს ოხერი. არა, მთლად გავაუქმოთ-მეთქი, როდის ვთქვი, ზომიერებაა მთავარი. ჩვენში ახლა „ტორპედოს" საჩემპიონო ბუმია და ქუთაისელი გულშემატკივრის ამბავიც ხომ იცით? ჰოდა, დავუშვათ, მოხვდა ქუთაისში „ტორპედო" — „იბერიის" თამაშზე ორი სამტრედიელი ფანი (დავუშვათ-მეთქი, თორემ ვისა აქვს ორი თავი). ჰო-ჰო-ჰო, რა დღეში ჩაცვივდებიან ბიჭები? წამოხტომა გინდა, ვერ დგები, იყვირებ, და გაყვირებენ დასაკოდი მოზვერივით... როგორ ფიქრობთ, ვინ გიშველით ამ დროს? ჰო, ჰო, რეკლამა. აი, ორი გოგო რომ ანიშნებს ერთმანეთს რაღაცეებს — თუ კარგადაა საქმე, ზურგსუკან მიიდებენ თითებგადაჯვარედინებულ ხელს, თუ კრიტიკული მომენტია — მხარზე დაიტყაპუნებენ, თუ ისე რა მიდის საქმე მოხრილ ხელს მკერდის სიმაღლეზე გაიშვერენ და თითებს აათამაშებენ. ეს ანბანი უნდა იცოდნენ კარგად იბერიელებმა — შეუტევს „იბერია", მიიდონ ზურგზე „ნიჩურიკიანი" ხელი, თუ გაწყრა ღმერთი და გაგიჟდა „ტორპედო" მისებურად, დაიტყაპუნონ მხარზე, რა უშლით ხელს. ასე რომ, არც რეკლამაა მთლად ცუდი.

უკეთესს მოგიყვებით. იგივე „ტორპედოს" თამაშს უყურებთ, ვთქვათ. მიილო ბურთი აზვლედიანმა ფრთაზე, დაარტყა ერთი „პადსებია", მეორე, გაიჭრა ფირალივით... და გადარია თქვენი სტუმარი (მეზობელი, ახლობელი) — ეს ვინ არის? — იკითხავს იგი. თქვენ არ იცით, კომენტატორიც ქათმების კვერცხების შემფუთველებზე საუბრობს... ერთი სიტყვით, უხერხული სიტუაციაა. სტუმარი იმეორებს — ეს ვინ არის? და ამ დროს მშველელიც ჩნდება. კი, კი, რეკლამა. ეკრანიდან პატარა გოგონა საყვარლად გიღიმით — ესა? ბარფი! — არის! გაგახსენდა, ამაყად ამბობ — ბადრი... აზვლედიანი და მორჩა, ქართული ფეხბურთმცოდნის პრესტიჟიც გადარჩენილია.

რუსებსაც უხდებათ რეკლამა, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში. მაგათ სტადიონი სულ მოუწესრიგებელი არა აქვთ? ჰოდა, ერთ „უპადაგრევო" სტადიონზე, წვიმიან ამინდში ჯახი მიდის, დედა შვილს ვერ აიყვანს. ატალახებულია ყველაფერი ახტალასავით. გაიჭრა პარფიონოვი, გადაუდგა წინ მარეკ ჰოლი და იმგვარი ამოცხო, ორი წრე დაარტყა სარბენ ბილიკებს პარფიონოვმა და მაინცდამაინც ტალახში დაეშვა. მოგეხსენებათ, ტელევიზია ფულიანი საქმეა და სანამ პარფიონოვი ტალახიან ფორმას დასცქერის, რეკლამა ზედაა — ნუ გადაიხდით ზედმეტს, არავითარი განსხვავება, სარეცხი ფხვნილი „გალა"! — მოისმენს ამას და „სპარტაკის" მნემ უკვე იცის, როგორ მოიქცეს, პარფიონოვსაც მომდევნო მატჩში ქათქათა ფორმა ეცმევა.

აი, ზოგჯერ რა პრაქტიკულია რეკლამა.

ნისტელროის რომ ჰკითხო, მარტ
ფეხბურთის თამაშია საქმე. ახალგ
ზრდა კაცია, ცოტა თუ თავი არ შე
წუხა, არ გაიხედ-გამოიხედა, არ მ
დგა-მოდგა და ხალხი არ შეაწუხ
არაფერი გამოუვა. ტელევიზორის ყ
რებას მაინც რა უდგას წინ. მანჩეს
ტერში რომ ვერ მოიკიდა ფეხი (სტკ
ოდა) კარგია? არ არის კარგი! ის რე
კლამა რომ ჰქონოდა ნანახი (ესპან
თზე და „ფანტაზე", ბიჭს რომ წაა
ცევენ და ორი გოგო ჩაცივებულ „ფა
ნტას" მიურბენინებს, წამოხტება მ
შინვე და ტკივილი აღარც ახსოვს
ხომ მიხედავდა თავს და საქმეს, ახლ
„მენიუში" ითამაშებდა.

ასეა, ზოგჯერ საჭიროა რეკლამა
„ფანტაზე" და რეკლამაზე გამახ
სენდა, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემ
პიონატზე ბლანი რომ ბარტეზს ჰკო
ცნიდა, ხომ გახსოვთ. ესეც რეკლამი
გავლენაა. აი, გოგონა რომ „ფანტის
წვეთს გადმოაგდებს მაღალი სახლი
დან და ბიჭს შუბლზე დაეცემა. მო
კლედ, ნახა ბლანმა, კოცნა და კოცნ
ბარტეზს და გახდნენ ჩემპიონები.

აბა, ზოგჯერ რეკლამიდანაც ისწა
ვლი რაღაცას (ჩემპიონობას მაინც).

ჩვენი რა ვთქვი მე, ყველაფერი ულ
მლამო და უაქციზო რომ ჩვენ უნდ
გვქონდეს. „ილუზიონის" სპონსორი
საქტრანსგაზი!" ჩემს პატარა ბიჭო
ბაში ყოველ შაბათ საღამოს იძახდ
ვიღაც ბიძა და სულ მეგონა, გუდიან
კაცი და ბუა იყო...

ახლაც არა გვაქვს კარგად სარეკ
ლამო საქმე. იცით, ჩვენი ფეხბურთი
რომელ რეკლამას ჰგავს? ბაბუა, მამ
და შვილი რომ ჩამოდიან მთაწმინდი
დან საბაგირო მატარებლით — ადრ
ეს იყო, ის იყო, ეს ვიყავით, ის ვიყ
ვით — ჰყვება მოხუცი და მერე შვი
ლიშვილს გადახედავს — სძინავს! —
იტყვიან უფროსები.

აი, ზუსტად ისე სძინავს ჩვენს ფე
ხბურთს.

მე კი რითაც დავიწყე, დაახლოებით
იმით დავამთავრებ — ტვინი გამიწყა
ლა ამდენმა რეკლამამ. სხვისი ყვე
ლაფერი კარგია და ჩვენი არაფერი
ვარგა. თან თავისი ადგილი აქვს ყვე
ლაფერს — უდროო და მოულოდნე
ლი ჩემპიონთა ლიგის ფინალის ბი
ლეთი არ მინდა, რეკლამა კი არა.

დღეს 13 მაისია. ეს ვიყავით და ის
ვიყავითო, რომ ვიძახით, აბა, მაში
ნდელ 13 მაისს ვიყავით, თუ ვიყავით
ჰოდა, არც „ფანტა" მინდა, არც „ნუ
თელა", „კოკა-კოლასაც" არ დავლევ
ოღონდ გამოელვიძოს იმ პატარა ბიჭს

რა მინდა, რატომ ვაღვიძებ?

რა მინდა და მე მინდა, მაგარი ნა
კრები მყავდეს... მე მინდა, მალე მოვი
პოვოთ მსოფლიოს ჩემპიონატის საგ
ზური... მე მინდა, ორი გუნდი მაინც
მყავდეს ჩემპიონთა ლიგაში... მე მი
ნდა, მალე დავამთავროთ „გარდამავა
ლი პერიოდი"... მე მინდა, მყავდეს ბე
ვრი ვარსკვლავი... მე მინდა, მალე გა
ვემსგავსოთ ჩვენ თავს.

მე მინდა, ვიყოთ... ჩვენ!

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# დრო დინამოს მოერია
# 13 მაისს — ვერა

## ცხრამეტი წლის წინ

დღეს 13 მაისია. დაუვიწყარი, მუდამ სანატრელი და სასურველი დღე ქართული ფეხბურთისთვის, მისი ქომაგებისთვის.

თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. უზომოდ გაიხარა მთელმა საქართველომ. 1981 წლის 13 მაისის ღამეს არ უძინია ქართული ფეხბურთის არცერთ ქომაგს. უბედნიერესი, ენით აუწერელი სიხარულით დამუხტული გულშემატკივარი ვერ ისვენებდა.

მე არ მრგებია ბედნიერება, ცხრამეტი წლის წინანდელი თბილისი მეხილა. იმ 13 მაისს დედაქალაქიდან 300 კილომეტრის მოშორებით, სამეგრელოს ერთ უბრალო სოფელში ვიზრდებოდი.

მახსოვს, მამაჩემმა 12 მაისს ახალი ტელევიზორი მოიტანა სახლში. მანამდე ყველა ფეხბურთზე ლაპარაკობდა. ვერ ვაცნობიერებდი ბოლომდე ყველაფერს, მაგრამ უფროსების ალტყინება პატარებსაც გადმოგვედო.

13 მაისის ღამე... მშობლებმა ფეხბურთის ყურების ნება დამრთეს, გამიკვირდა, მაგრამ ამისთვის ვის ეცალა. ტელევიზორი ეზოში გამოიტანეს. შეიკრიბნენ მეზობელ-ახლობლები და დაიწყო...

ირგვლივ უზომოდ იხარჯებოდა ემოციები, იფერფლებოდა სიგარეტი. მეორე ტაიმი ახალი დაწყებულია. ბიძაჩემი დედაჩემს ვალიდოლსა სთხოვს. სახეზე ფერი არ ადევს კაცს.

ცოტაც და, გერმანელმა ჰოპემ გოლი გაგვიტანა. ისიც კარგად მახსოვს, მისმა უხამსმა ჟესტმა როგორ გამოიყვანა მწყობრიდან ყველა. ბავშვებს და ქალებს არავინ მორიდებია, გინების ტალღამ გადაუარა ეზოსა და ჰოპეს გვარ-ტომს.

„მოკვდება ეს კაცი“! დედაჩემი ანიშნებს რალაცას. ბიძაჩემი ძლივს სუნთქავს, მაგრამ ტელევიზორს არ სცილდება.

„თავი დამანებეთ“! კატეგორიული იყო მამაჩემი.

...და უცბად იხუვლა ტელევიზორის წინ მოკალათებულმა ოცამდე ქალმა და კაცმა. ირგვლივ სიხარულის ზღვა დატრიალდა. დღეს უკვე ვიცი, რა ხდებოდა საქართველოს ქალაქებში, დედაქალაქში.

არასდროს დამავიწყდება ის წუთები. ბურთით ყიფიანია... გადააწოდა დარასელიას... მოტყუებული მცველები მიწაზე გაშოტილი გრაპენტინი და მისი განწირულად ჩაქნეული ხელი. მსაჯს მივარდნილი ანზორ გაბიტაშვილი. თასი ჩვენი იყო, ბურთიც და უზომო სიხარულიც. ოფლით შუბლდაცვარული ნოდარ ახალკაცი (ღმერთმა აცხონოს), ნოდარ ხიზანიშვილის ტელეეკრანიდან გამოგზავნილი კოცნა — სიხარულის ამბორი მთელი საქართველოსთვის.

სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა ხდებოდა ჩემს ეზოში (სხვაგან რა იქნებოდა!). აბა, ძილისთვის ვის ეცალა. ახმაურდა სამზარეულო, საქათმეში აკრიახდნენ ქათმები.

სუფრაც მალევე გაიშალა. ვერ ვიხსენებ, ქართული ფეხბურთის რამდენი სადღეგრძელო შეისვა, მთელი „დინამო“ პერსონალურად ადღეგრძელეს, განსხვავებული სასმისებით ვლადიმერ გუცაევისა და ვიტალი დარასელიას სიმარჯვისა დაილია.

ასეთ ყოფაში დაგვათენდა თავზე, მაგრამ ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ არავინ (დიდიც და პატარაც) დაღლილა. მეორე დღეს ყველა ენერგიული და თვალებგაბრწყინებული იყო.

დღევანდელი გადასახედიდან შორსაა, ძალიან შორსაა 1981 წლის 13 მაისი. მაშინდელი გამარჯვება და სიხარული დღეს მიუწვდომელია ქართველი ქომაგისთვის. არ ვიცი, დღევანდელობის შემყურეთ, გველირსება კი მსგავსი (გნებავთ მესამედიც) ბედნიერება. ძალიან ბურუსითაა მოცული მომავალი.

ერთი რამისა მტკიცედ მჯერა. 1981 წლის 13 მაისი უდიდესი და უდიადესი დღე იყო ჩვენთვის. მაშინ ერთი იყო საქართველო და ეს ყველაფერი ფეხბურთმა შეძლო, იმ ფეხბურთმა, რომელიც, ფაქტობრივად და სამწუხაროდ, დღეს არც გაგვაჩნია.

## ვითომ იმედი...

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ყველა სიკეთე ამ ქვეყნიდან ერთდროულად გაქრებოდა. ფეხბურთისადმი ინტერესი განელდა, ერთეულები დადიან სოფელ-სოფელ — იქნებ ვინმეს ბენზინით სავსე გენერატორი ჰქონდეს, ანაც აკუმულიატორზე მომუშავე პატარა ტელევიზორი...

1998 წლის 12 აგვისტოა. „დინამო“ — „ატლეტიკს“ მასპინძლობს. შუქი, რა თქმა უნდა, არაა, ბედი არ გინდა, ისევ სოფელში ვარ... უცბად საოცრება მოხდა, ნათურა განათდა. დიდი ხნის ჩაურთველობის გამო მთელს სოფელში გამართულად ათიოდ ტელევიზორი თუ მუშაობს. ქალები და ბავშვები აბუზღუნდნენ, რა დროს ფეხბურთია, ტელესერიალი უნდა დაწყებულიყოო. მალევე წყნარდებიან, დიქტორმა, ტელესერიალს თამაშის შემდეგ გიჩვენებთო.

ჩამწკრივდნენ კაცები ტელევიზორის წინ. ახალგაზრდა დინამოელებს ვერ ცნობენ. კარგი გუნდი დაუყენებიაო მურთაზს.

„დინამო“ 2:0 იგებს. კი გვყოლია ფეხბურთელები, ასკვნის ერთი ჭარმაგი გლეხი. გაზეთის ნახევში გახვეულ თუთუნს დინჯად აბოლებს.

მთავრდება პირველი ტაიმი. ის იყო, დავით მუჯირმა ბურთი ბილბაოელთა კარის ხარიხას აძგერა და შუქიც გამოირთო. რამდენიმე კაცი მოსაბრუნებელი შეიქნა. ქალებმა წყევლა-კრულვა უძღნეს შუქის გამომრთველს. ამათ არ ეფეხბურთებათ, ოხრად დარჩათ ტელესერიალი.

გვიან ღამემდე ირჩეოდა სოფლის „ბირჟაზე“ ის ერთი ტაიმი. მერე ვილაცამ ამბავი მოიტანა, 2:1 მოიგეს ჩვენებმაო (რადიოში მოუსმენია).

მათი აზრით, შანსი გვაქვს, ჩემპიონთა ლიგაში გავიდეთ. მერე ოციოდ ლარის თავზე გავლებაც შეიძლება: ჩავიდოდით თბილისში, ნაღდ ფეხბურთს ცოცხლად ვნახვდითო, თქვეს.

ზუსტად არავის ახსოვდა, როდის იყო ბოლოს თბილისში, როდის დაესწრო „ეროვნულზე“ ფეხბურთს.

მეკარეს არაუშავს, სხარტი ბიჭია, ამბობს ერთი. მეორემ, მე მეათე ნომერი მომეწონა, რა გოლი გაიტანა, ხომ ნახეთო. მესამემ ეს თქვა: „მამამისის თამაში მახსოვს, სწრაფი იყო უსაშველოდ. აი ის, „ჰამბურგთან“ რომ... ბიჭი კარგი ჰყოლია, ცოტა ტლანქი კი ჩანს, მაგრამ დარტყმა ჰქონია, იცოცხლე. კიდევ კარგი „შტანგას“ მოხვდა და არა მეკარეს...

გოლი ორივე ლამაზი გამოვიდა. ეტყობა, არ ელოდნენ ბასკები ასე მაგრად დახვედრას. ერთიც რომ გაგვეტანა...

მაინც არის იმედი. რა იცი, ბურთი მრგვალია და...“

გვინ ღამით დაიშალა ბირჟა. მათ იმედს ასრულება არ ეწერა. მათთვის არ იყო (არ არის) ცნობილი ის დომხალი, რაც ქართულ ფეხბურთში სუფევს.

...მაგრამ ისინი ორი კვირით მაინც იყვნენ ბედნიერები, მანამ, სანამ საპასუხო მატჩის შედეგს შეიტყობდნენ.

უკვირთ და ვერც დაარწმუნებ იმაში, რომ საკლუბო დონეზე წარმატება კიდევ კარგა ხანს არ გველირსება (საერთოდ თუ მოვესწრებით, საკითხავია). შემოგედავებიან, როგორ, ნუთუ საქართველოში ვერ მოიძებნა 11 ტალიკი ბიჭი, ბურთს ძველებივით (ადრინდელი „დინამო) რომ გააგორებს. არ სურთ შეისმინონ, რომ ევროპამ (მსოფლიომაც) წარმოუდგენლად გაგვისწრო. რომ ქვეყანა დაქცეულია, ხალხს შია და სწყურია, ცივა და სიბნელეშია. არ სჯერათ, რომ ფეხბურთი მათნაირების (ცოტა სხვებისაც) გარდა არავის აინტერესებს.

...მათ კიდევ აქვთ იმედი!

## ვის ვერ უგებენ...

გამარჯვებას დანატრებულ ქართველ ქომაგს პატარა სიხარული ჰყოფნის. ევროთასების ყოველ მოახლოებას გულის ფანცქალით ელის, მერე კი...

უცხოელი მწვრთნელიო, ორი ლეგიონერიო და იმედი მოეცა საქართველოს.

...„დინამო“ თავისი უცხოელებით მოლდოვურ „ზიმბრუს“ ელის „ეროვნულზე“, ბედია, ისევ სოფელში ვარ.

შუქი, რა თქმა უნდა, არაა. ყველა იმედი მეზობელ ავტობუსის მძღოლზეა დამყარებული. თუ [illegible] ქუთაისის რეისიდან დროულად არ დაბრუნდა, მაშინ მოგვჭამათ ჭირი ფეხბურთმა.

„ვინ არის ბიჭო ეს ბასკომპი“ — მეკითხება მეზობელი. „არ ვიცი, თვალითაც არ მინახავს. ჰოლანდიელია და მთელი საფეხბურთო მოღვაწეობა ბელგიაში გაუტარებია. იქ პატივს სცემენ, კარგი მწვრთნელი ჩანს.“

შეგვიწყალა უფალმა. დროულად დაბრუნდა მეზობელი ქუთაისიდან. ამოაცალეს „პაზიკს“ აკუმულიატორი, რომელიც ტელევიზორზე დიდია, მიუსხდა ორმოცდაათამდე კაცი და დაიწყო.

უმრავლესობა ეკრანს ვერც ხედავს, დიქტორის ხმით იგებს, რაც მინდორზე ხდება. გოლი გაგვიტანეს სტუმრებმა და ნერვებიც უზომოდ დაიჭიმა. შეუჩერებლად იხვევა თუთუნი. მალე ქალალდი მთავრდება და დედაჩემთან აგზავნიან პატარა ბიჭს. გაზეთები გექნება ჩამოტანილი, ერთი ცალი გვისახსოვრე, თორემ ამის შემყურე გავთავდით ხალხიო.

„შენი ჩამომყვანის...“ — ვერ მოითმინა ერთ-ერთმა, როცა ბრაზილიელი დე სოუზას მორიგი უნიათობა ნახა.

ესაა, ბიჭო, თქვენი ფეხბურთი?! თქვენ თუ ამაზე წერთ ძმაო, მაგ გაზეთს არავინ იყიდის. ამათ ჩამომყვანს თუ ფეხბურთი ესმის...

შემობრუნდა თამაში, მოიგო „დინამომ“. დამთავრდა მატჩი და ადგილიდან არავინ დაძრულა. უზომოდ დალალა ხალხი საათნახევარმა.

კიდევ თითო გაახვიეს,ახრჩოლდა ირგვლივ ყველაფერი. მერე თამაშის გარჩევაც დაიწყეს. მეკარე აშკარად კარგია, მისი ჩამოყვანა ღირდა. მწვრთნელსაც არ ეთქმის ურიგო, წაგებული თამაში შემოატრიალა, მაგრამ ის თუ ბრაზილიელია, მაშინ წასულია ბრაზილიის საქმე. სად იპოვეს ის ოხერი. ასეთი ტლანქი და უგერგილო არაფერი გვინახავს.

„რას გვეტყვი, გვაქვს რამე შანსი“ — მეკითხებიან. რა ვუპასუხო, არც ვიცი. ან რა ვუთხრა, ტყუილად დაიწყვიტეთ ნერვები და ჩაიოხრეთ ფილტვები-მეთქი, ხომ არ ვეტყვი.

„იმათ კიშინიოვის „ნისტრუ“ არ ჰყავდათ, ადრე ჩვენი „დინამო“ ბურთს სადაც ააგდებდა, იქ სამ გოლზე ნაკლებით არ უგებდა. ახლა კი, ნახე, რა დღეში ვართ. არა, ძმაო, ამათ ვინც არ უნდა ჩამოუყვანო, მაინც არაფერი ეშველებათ.

შეიძლება ყოველ წელიწადს ერთი და იგივე მეორდებოდეს?! აქამდე აგვიკლეს ავსტრიულმა თუ პორტუგალიურმა კლუბებმა, ახლა ესენიც რომ გვიგებენ. ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში, ჩვენებს, ეტყობა, ავიწყდებათ.“

ნელ-ნელა უქრებათ ფეხბურთისადმი ინტერესი. ადრე სოფლის სტადიონზე ტევა არ იყო ხოლმე, ახლა იშვიათად, იქ ფეხი შეუცდეს ვინმეს. პატარებიც არ ბურთაობენ. დარწმუნებული ვარ, დღეს საქართველოში ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის, რა დღეა 13 მაისი, ადრე კი...

## „დინამო“ დღეს

დრომ მოიტანა ასე, „დინამო“ „დინამო“ აღარ არის, ველარაა ქართული ფეხბურთის სახე.

„დინამო“ დღეს ეროვნული ჩემპიონატის, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი რიგითი კლუბია. ბევრივით უსახსრო და ვალებში ჩაფლული.

გუნდი ჩემპიონობისთვის კი არა, ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის იბრძვის. დღეს მისი ბოლო შანსია. თუ ქუთაისურ „ტორპედოსთან“ ვერ ივარგა...

უმწვრთნელოცაა ერთ დროს საქართველოს უპირველესი და საამაყო კლუბი.

იქნებ კანონზომიერიცაა ყველაფერი, რადგან არ შეიძლება, ქართული ფეხბურთი მხოლოდ ერთი გუნდის იმედად დარჩეს. ესეც დრომ მოიტანა. საერთო საქმისთვის ასე სჯობს.

განა მარტო დროის ამბავია, მოვლენების ამგვარად განვითარება ბევრი რამის და ვინმეს ბრალია.

...მაგრამ 13 მაისი ხომ მაინც დღესასწაულია, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული თბილისის „დინამოსთან“, ფეხბურთის ათასობით ქომაგთან და ქართულ ფეხბურთთან.

დღეს 2000 წლის 13 მაისია. „ეროვნულზე“ „დინამო“ „ტორპედოს“ ეთამაშება. საჩემპიონო ორთაბრძოლაა. ალბათ, ესეც კანონზომიერია.

**მამუკა ქვანტალიანი**



თბილისის ქუჩები თასების მფლობელთა თასის ფინალის შემდეგ

სარბიელის არქივიდან



თბილისის აეროპორტი. 15 მაისის ღამე.
გამარჯვების გოლის გამტან ვიტალი დარასელიას მიწაზე ფეხიც არ დაადგმევინეს

სარბიელის არქივიდან

# უკრაინის თასს ქართველიც აწევს

## კალაძის და დემეტრაძის დინამო თუ კაიდარაშვილის კრივბასი?

ქართველი თუ ქართველები, კაიდარაშვილი თუ კალაძე-დემეტრაძე... უკრაინული თასის ფინალში სწორედ ამ ფეხბურთელთა გუნდები გავიდნენ. 27 მაისს კიევის „ოლიმპიურზე" სათასო ფინალია, „დინამო" — „კრივბასი". კიეველთა ფინალში გასვლა აბა, რა გასაკვირია, ამ გუნდს უკრაინაში კონკურენტი არ ჰყავს და ნახევარფინალური მატჩი ზაპოროჟიელებთან ლობანოვსკის შეგირდებისთვის ფორმალობად იქცა. უკრაინის სიამაყემაც ერთობ მოინდომა და ფინალის საგზურის მოცილე მეტოქე გაანადგურა — 6:1. რებროვის, შაცკიხის და ბელკევიჩის გოლებს 61-ე წუთზე სმირნოვმა ერთით უპასუხა. ამან, როგორც ჩანს, ერთობ გაალიზიანა მასპინძლები, განსაკუთრებით დემეტრაძე. გიორგიმ 66-ე წუთზე უნაკლოდ შეასრულა სტუმართა კარში დანიშნული პენალტი, შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე კი მეხუთედ შეარხია ზაპოროჟიელთა კარის ბადე. სტუმართა რბევა მატჩის ბოლო წუთზე ისევ რებროვმა დაასრულა.

მძიმე ბრძოლა გადახდა ალეკო კაიდარაშვილის „კრივბასს". კრივოიროგელებმა შინ „ზირკას" უმასპინძლეს და 44-ე წუთამდე აგებდნენ კიდეც შეხვედრას, მაგრამ ტაიმის ბოლოსწინა წუთზე გეცკოს საპასუხო გოლს პალიანიცამ მეორე ტაიმში ერთიც მიაყოლა და „კრივბასიც" ფინალში გავიდა, თუმც უკაიდარაშვილოდ. ამ შეხვედრაში ქართველი ფორვარდი არ მონაწილეობდა ტრავმის გამო. 27 მაისამდე კაიდარაშვილის გამოჯანმრთელების შემთხვევაში (ეს ალბათ ასეც იქნება) თასის ფინალში სამი ქართველი მიიღებს მონაწილეობას, ვის უფრო გაუმართლებს, მგონი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, მაგრამ ფინალი მაინც ფინალია და „კრივბასიც" არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ აქამდე უკრაინის თასი ორ ქართველს რგებია. პირველად ეს მიხეილ ფოცხვერიამ გააკეთა 1997 წელს, როცა მისმა „შახტარმა" ფინალში „დნიპროს" სძლია. კახა კალაძემ კი ეს ტროფეი ზედიზედ ორჯერ ირგუნა 1998 და 1999 წლებში, „დინამომ" შესაბამისად ცსკა (2:1) და ლვოვის „კარპატი" (3:0) დაამარცხა.

**პაატა კვანტალიანი**



გიორგი დემეტრაძე დონეცკის „მეტალურგის" მცველებთან და მეკარესთან ბრძოლისას

# ნინ...
# თბილისშ...
# იმკურნალებ...

ბულგარული პეტრიჩის „ბელა...
ცას" ქართველი მცველი კობა ნინუა თბ...
ლისში დაბრუნდა. გარკვეულწილად ეს მ...
ულოდნელიცაა, რადგან მას სლავურ კლ...
ბთან ორწლი-ნახევრიანი კონტრაქტი აკ...
შირებს და ბულგარეთის უმაღლესი დი...
ზიონის პირველობის დასრულებამდეც ო...
ტურია დარჩენილი, მაგრამ ნინუას თბილ...
სში გაუთვალისწინებელ ჩამოსვლას გა...
კვეული მიზეზი მაინც აქვს...

თსუ-ს ყოფილი კაპიტანი და გუნდის ს...
ლი და გული პირველი ეტაპის ბოლ...
გაემგზავრა პეტრიჩს. იქაურებმა ნინუ...
საქმეში ნახვისთანავე გაუფორმეს კონ...
რაქტი და ფეხბურთელის უიღბლობაც ა...
დან დაიწყო. აკლიმატიზაციის პერიოდ...
ქართველს ჯანმრთელობა შეერყა და ა...
დმყოფობა უსაშველოდ გაუგრძელდა. გ...
მოჯანმრთელების შემდეგ კი ერთ-ერთ ...
რჯიშზე სერიოზულად დაშავდა. შემდეგ...
„ბელასიცას" შემადგენლობაში მხოლ...
ორი კვირის წინ, ვარნის „სპარტაკთან" ...
ით წაგებულ მატჩში გამოჩნდა. ნინუამ სრ...
ლად ითამაშა ის შეხვედრა, მერე კი ტრ...
ვმა გაუმიზეზდა და გასული ტურის მატ...
გამოტოვა „ლოვეჩთან". ქართველის გ...
ნდმა ის მატჩი 8:0 წააგო. ნინუას ტრა...
სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს. სწ...
რედ ამან გადააწყვეტინა ექსთსუელს თბ...
ლისში დაბრუნება. გუნდს მაინც ვერ და...
ხმარებოდი და ვარჩიე, სამშობლოში მემკ...
რნალაო, გვითხრა კობამ.

გამოჯანმრთელების შემდეგ ნინუა ბუ...
გარეთის მომავალი ჩემპიონატისთვის მ...
სამზადებელი ეტაპის დაწყებამდე თბილ...
სში მოემზადება თსუ-სთან ერთად და შ...
მდეგ კონტრაქტით გათვალისწინებული ვ...
ლდებულებების შესასრულებლად ისევ „ბ...
ლასიცას" შეუერთდება.

**პაატა კვანტალიან...**



# პრიმერა დივიზიონში ძალიან ცხელა

## ესპანეთი

„დეპორტივო" თავის 94-წლიან ისტორიაში ესპანეთის ჩემპიონი არასდროს ყოფილა. არადა, რა ახლოს არის მიზანთან, ლაკორუნიელებს დანარჩენ ორ ტურში ოთხი ქულაც ჰყოფნით. ეს, ცხადია, იმ შემთხვევაში, „ბარსელონამ" ორივე თამაში თუ მოიგო. ხოლო თუ კატალონიელები კვირას სან სებასტიანში წაიფორხილებენ, ამოცანა უფრო იოლი გადასაწყვეტი გახდება.

აქამდე „დეპორტივოს" და „ბარსელონას" ერთდროულად თამაში იშვიათად უხდებოდათ. ახლა სხვა საქმეა — გუნდებს რაღაც გათვლების გაკეთების საშუალება არ უნდა ჰქონდეთ, ამიტომ ჩემპიონობის მაძიებლები ერთდროულად გავლენ მინდორზე: „ბარსა", როგორც ვთქვით, სან სებასტიანში, ხოლო „დეპორტივო" — სანტანდერში.

იკითხავთ, განა არ შეიძლება ერთმანეთის ამბები ტელეფონით ან რადიოთი გაიგონო? კი, როგორ არ შეიძლება, მაგრამ... „რას იზამს „ბარსელონა", არ მაინტერესებს. ეს მისი პრობლემაა. მთავარია, „დეპორტივომ" მოიგოს. მთელი ყურადღებაც სწორედ ჩვენი მატჩისკენ უნდა გვქონდეს მიპყრობილი და თამაშის მსვლელობისას სანტანდერული ამბების შეტყობას არ ვაპირებ" — განაცხადა „დეპორტივოს" თავკაცმა ხავიერ ირურეტამ.

გალისიელთა საქმე კი ასეა: სასჯელი მოიხადა და კლუბს დაუბრუნდა მეკარე ჟაკ სონგო, ხოლო ჯალმინიას წინა ტურში მიღებული წითელი ბარათის გამო დასვენება მოუწევს. დეპორტივოელთა მეტოქეს კი ასევე დისკვალიფიცირებული შვედი მცველი ოლაფ მელბერგი არ ეყოლება.

საინტერესოა, რომ „რასინგი" ერთადერთი პრიმერადივიზიონული გუნდია, ვისაც სტუმრად უფრო მეტი მატჩი მოუგია, ვიდრე შინ. ამასთანავე ბოლო ათწლეულში მან მშობლიურ „ელ სარდინიეროზე" „დეპორტივოს" მხოლოდ ერთხელ სძლია.

თუ კვირას „დეპორტივო" მხოლოდ მოსაგებად გავა მინდორზე, „ბარსელონაც" იგივეს აპირებს. მით უმეტეს, სოსიედადელებს აუგუსტინ არანსაბალი და მიკელ არანბურუ არ ეყოლებათ. კატალონიელთა ბანაკში კი, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნისა და ქომაგთაგან თავსდატეხილი რისხვის მიუხედავად, სრული ერთიანობაა. სადაც ვან გაალი, იქაც ჩვენო — ამბობს ხოსეპ გვარდიოლა და მას სხვებიც ეთანხმებიან.

„განა შეიძლება ადამიანს ერთი წაგებისთვის, თუნდაც ჩემპიონთა ლიგა იყოს, ასე მოექცე? — განაგრძობს გვარდიოლა — ბარსელონაში ახალი მოსული არ გახლავართ და ტრიბუნებზე თეთრი ცხვირსახოცების ტრიალი აქამდეც მინახავს — თუნდაც ბობი რობსონის დროს. თუმცა მწვრთნელის მიმართ ამგვარი სიძულვილი, როგორსაც ჩემი თანაქალაქელები ვინ გაალის მიმართ დღეს იჩენენ, არ მახსოვს".

თეთრი ცხვირსახოცების ფრიალს კიდევ რა უშავს, პროტესტის ცივილიზებული ხერხია. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნას სხვა, უფრო სერიოზულ ამბებიც მოჰყვა.

გულშემატკივართა ერთი ჯგუფი კლუბის პრეზიდენტის ლოჟასთან მიიჭრა და ხოსეპ ლუის ნუნიესისგან მწვრთნელის დაუყოვნებლივ მოხსნა მოითხოვა. იმავე დროს ათასამდე კაცმა „კამპ ნოუსკენ" მიმავალი მთავარი გზა გადაკეტა. პოლიციას ძალის გამოყენება მოუხდა.

„შექმნილი სიტუაცია არანორმალურია — ამბობს აბელარდო — მაგრამ ფანებს გააგებინებ? ერთადერთი გამოსავალიღა გვრჩება — ესპანეთს ჩემპიონობა უნდა მოვიპოვოთ".

ვან გაალის თანამემამულე ფილიპ კოკუმ კი განაცხადა: „მეჩვენება, რომ წაგება არაფერ შუაშია. უბრალოდ, გულშემატკივრებს ვან გაალი ათვალწუნებული ჰყავთ. ჩემპიონთა ლიგა რომც მოგვეგო, ვეჭვობ, მისდამი დამოკიდებულება დიდად შეცვლილიყო".

ასეა თუ ისე, „ბარსელონა" უმძიმეს დღეშია. კლუბს გულშემატკივართა სიყვარულის დაბრუნება „დეპორტივოს" გადასწრებით თუ შეუძლია. ეს კი ძნელი, ძალიან ძნელი გასაკეთებელია.

**გიორგი დარჯანია**

# ხილი — ყველასგან მიტოვებული

## „ატლეტიკოს" თავისი პრეზიდენტის ვალების გასტუმრება ძვირი უჯდება


ხესუს ხილი ხილი: მე ჩემი მითქვამს!

გუშინ ვწერდით, რომ რადომირ ანტიჩს „ატლეტიკოს" მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ გული აუჩუყა, თავისი დანაზოგი გადაითვალა და განაცხადა, მზად ვარ, მთელი წელი უხელფასოდ ვიმუშავოო. კლუბმა მწვრთნელს საქციელი მოუწონა და დიდსულოვნება გამოიჩინა, მთლად უჯამაგიროდ როგორ დაგტოვებთ, მცირედ ხელფასს დაგინიშნავთო. ატყდა ერთი ამბავი, დახეთ, როგორ უერთგულა იუგოსლაველმა მადრიდულ კლუბს, დაე, ყველასთვის მისაბაძი მაგალითი იყოსო. ეს კი ფეხბურთელებს არ ესიამოვნათ.

საქმე ის გახლავთ, რომ გუშინ ხესუს ხილს მოთამაშეები დაუბარებია და უკმეხად (როგორც ჩვევია) გამოუცხადებია, ფული არ გვაქვს, ამიტომ ქამრების შემოჭერა მოგიწევთ. გაძლევთ ხელს? გაძლევთ. არადა, კარგად ბრძანდებოდეთო. აი, სამართლიანობაც ამას ჰქვია! მილიონები პრეზიდენტმა შეჭამა, ვალები კი ხელქვეითებმა უნდა გაისტუმრონ. აბა, ეს ამბავი ვის ეამებოდა.

ხუან ვალერონი, „ატლეტიკოს" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი: „კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს და მისი პირობების შეცვლაზე არაფრით დავთანხმდები".

სანტიაგო სოლარი, „ატლეტიკოს" არგენტინელი ლეგიონერი: „რა, მუქთად ვითამაშო? ბნელა?"

თანაგუნდელები ვალერონს და სოლარის არ ჩამორჩებიან და იგივე აზრისა არიან. მაგრამ ხილი რისი ხილია, მათმა პროტესტმა შეაშინოს. მან თქვა, ვალერონს და სოლარის ამ ზაფხულს გავყიდი. სად, ჯერ არ ვიცი, მაგრამ გადაწყვეტილებას არ შევცვლიო. სამაგიეროდ, ფაქტობრივად გადაწყვეტილია ფრანსისკო მოლინას საკითხი. ესპანეთის ნაკრების კარის დარაჯი გაისად ალბათ „დეპორტივოში" გადაბარგდება. თუმცა თავად მოლინა კომენტარისგან თავს იკავებს — „ესპანიოლთან" თასის ფინალში ვითამაშებ და პასუხს მერე მოგახსენებთო. „ატლეტიკოს" მისი ბომბარდირიც ტოვებს. ხესუს ხილმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი 23,35 მილიონ დოლარად შეაფასა და მყიდველს ელის. როგორც ფეხბურთელის აგენტმა ჰემფრი ნიმენმა განაცხადა, მას ათი კლუბი შეხმიანებია, ჰოლანდიელი ჩვენთვის გვინდაო. ესენი არიან „ლივერპული", „ტოტენჰემი", „ჩელსი", „რეალი", „ვალენსია", ასევე ოთხი იტალიური და ერთიც თურქული გუნდი.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „ატლეტიკოში" ვინღა რჩება?

**გიორგი დარჯანია**

## შვეიცარია

### თასის ნახევარფინალი

**ლოზანა 3:2 ლუგანო**

1:0, 2:0, 3:0 კუცბა (8, 20, 60), 3:1 გასპოზი (79), 3:2 როტენბუჰლერი (81)

*ფინალში 28 მაისს ერთმანეთს გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი" და „ლოზანა" შეხვდებიან.*

## შვედეთი

### თასის ნახევარფინალი

**გიოტებორგი 2:2 (პენ.6:7) *იორგრიტე***

0:1 ოლბოკი (13), 1:1 გ. ანდერსონი (15), 2:1 მილდი (48), 2:2 ოლბოკი (73)

**გუნილსი 0:2 *აიკ***

0:1 ლუკიჩი (55), 0:2 ჰოხი (67)

## ლიტვა

მე-8 ტური: ნევეჟისი — ინკარასი 2:0; ჟალგირისი — დაინავა 4:0; ატლანტასი — კაუნასი 1:4; კარედა — პოლონია 2:1; ეკრანასი — ბანგა 5:0

მე-9 ტური: დაინავა — ინკარასი 3:1; ნევეჟისი — ეკრანასი 0:1; ბანგა — კარედა 0:2; პოლონია — ატლანტასი 1:3; კაუნასი — ჟალგირის 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:3 | 20 |
| კაუნასი | 9 | 5 | 4 | 0 | 16:1 | 19 |
| კარედა | 9 | 5 | 2 | 2 | 10:7 | 17 |
| ატლანტასი | 9 | 5 | 0 | 4 | 15:12 | 15 |
| ეკრანასი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:10 | 14 |
| დაინავა | 9 | 4 | 2 | 3 | 11:13 | 14 |
| ნევეჟისი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:11 | 9 |
| პოლონია | 9 | 2 | 2 | 5 | 9:18 | 8 |
| ინკარასი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | 5 |
| ბანგა | 9 | 1 | 1 | 7 | 5:18 | 4 |

## ბელგია

### XXXIV ტური

**გეელი 0:2 ბრიუგე**

0:1 კლემენტი (31), 0:2 ენგელბერტი (85)

**ლომელი 4:1 სენტ ტრუიდენი**

1:0, 2:0 ვალიგორა (12, 40), 3:0 სკავონე (57), 4:0 ვალიგორა (72), 4:1 ვალდო (81)

**ლიერსი 1:2 ლოკერენი**

1:0 სპიტერი (27), 1:1 კიმოტო (65), 1:2 მბაიო (90)

ლიერსი: ნისი, ლაერემანსი, ზდებელი, ვან მეირი, დაემსი, ლეენი, სნოექსი, კავენსი, ვან დე ვეირი, სპიტერი, შეყილაძე

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

5 700 მაყურებელი

**ბევერენი 1:4 ბეერსხოტი**

0:1 ჰააგდორენი (1), 0:2 ჰოფმანსი (12), 0:3 კარაგიანისი (35), 0:4 სონკი (39), 1:4 ვან რუმსტი (61)

**მუსკრონი 1:1 აალსტი**

1:0 დუგარდეინი (51), 1:1 ტიბო (67)

**შარლერუა 1:1 ანდერლეხტი**

0:1 სტოიჩა (4), 1:1 დ. ბრონო (51)

**სტანდარდი 1:3 ჰარელბეკე**

0:1 ვოსტინი (10), 1:1 ელ იამანი (65), 1:2 ვოსტინი (84), 1:3 პაასი (893)

**გენკი 3:1 მეხელენი**

1:0 ნსუმბუ (3), 2:0 ჰორვატი (20), 2:1 რიბუსი (61), 3:1 ჰორვატი (90)

**გენტი 2:3 ვესტერლო**

0:1 ტ. ბრონო (25), 1:1 კრაუჩე (37), 1:2 პელიჩი (41), 2:2 ხარიფი (70), 2:3 მახიელსი (82)

ბელგიაში ჩემპიონატი დასრულდა. გამოვლინდა პრიზიორები. ის ორი გუნდიც გაირკვა, რომელიც მომავალ სეზონს მეორე დივიზიონში დაიწყებს.

პირველი ლიგიდან გავარდნას გადაურჩა „შარლერუა". მან ბოლო ტურში უკვე კარგა ხნის ჩემპიონ „ანდერლეხტს" უმასპინძლა, ძლიერ მეტოქესთან ფრედ 1:1 ითამაშა და პირველ დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა.

აუტსაიდერისა და ჩემპიონის შეხვედრას ვეტერანი ბელგიელი ფეხბურთელი ენცო შიფო დაესწრო. გამოცდილი შიფო ამჟამად „ანდერლეხტში" ირიცხება, თუმცა მომავალი სეზონიდან სწორედ „შარლერუაში" გადავა.

„შარლერუას" ფეხბურთელები თავიდან ძლიერ ნერვიულობდნენ და დებიუტში გოლიც კი გაუშვეს, მაგრამ შესვენების შემდეგ დაწყნარდნენ და რამდენიმე წუთში გაათანაბრეს. 25 ათასი ქომაგი გუნდს მხურვალედ უჭერდა მხარს, რამაც ბევრი რამ განსაზღვრა. „ფრე დღეს მათთვის გამარჯვების ტოლფასია" — განუცხადა შიფომ მატჩის შემდეგ ერთ-ერთ ბელგიურ ტელეარხს.

„შარლერუამ" ძლიერთა შორის ადგილი შეინარჩუნა, მის ნაცვლად კი მეორე ლიგაში „გეელი" დაქვეითდა. აუტსაიდერმა მეორეადგილოსან „ბრიუგეს" უმასპინძლა. თეორიული შანსის შესანარჩუნებლად მას მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და 0:2 წააგო. „ბრიუგეს" მეორე ადგილს ვერავინ ეცილებოდა, თუმც მაინც მოიგო, 67 ქულა დააგროვა და გაისად უეფას თასზე იასპარეზებს.

უმაღლესი ლიგიდან გავარდა „ლომელიც". მართალია, „სენტ ტრუიდენი" 4:1 დაამარცხა, მაგრამ მისი ბედი ადრევე გადაწყდა და ბოლო ტურში მოპოვებულმა სამმა ქულამ ველარ უშველა.

უეფას თასზე მესამეადგილოსანი „გენტი" მოსინჯავს ძალებს. გუნდი შინ „ვესტერლოსთან" 2:3 დამარცხდა, მაგრამ მაინც ადრევე დაბევებულ მესამე ადგილზე დარჩა და საბოლოოდ ევროთასებზე მოხვდა. მეტოქე გუნდის ფეხბურთელები — გენტელი ოლე-მარტინ აარსტი და ვესტერლოელი ტონი ბრონო 30 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ. ნორვეგიელმა აარსტმა თავი ამჯერად ვერ გამოიჩინა, ბრონომ კი ერთი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში საბოლოოდ ორხელისუფლებიანობა დაამყარა.

„ბომბარდირობით ნამდვილად ვისიამოვნე, საბოლოო შედეგს კი მალე დავინახავ. სადღეისოდ მთავარია, ბელგიის ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიონ" — განაცხადა ბრონომ, რომელსაც რამდენიმე იტალიური კლუბი უკვე ეპატიჟება.

ბელგიელთა თავკაცი რობერტ ვასეიჟი ევრო 2000-ზე საასპარეზოდ ნაკრების ძირითად ბირთვს მალე დაასახელებს.

ჩემპიონატში მოწინავე პოზიციებზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ უეფას თასზე ასპარეზობა მაინც ძალუძთ „სტანდარდს" და „გენკს". კვირას ბელგიის თასის ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული ევროთასების საგზურს მოიპოვებს.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოლე მარტინ აარსტი (გენტი) | 30 |
| ტონი ბრონო (ვესტერლო) | 30 |
| იან კოლერი (ანდერლეხტი) | 20 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 34 | 22 | 9 | 3 | 86:36 | 75 |
| ბრიუგე | 34 | 21 | 4 | 9 | 70:32 | 67 |
| გენტი | 34 | 20 | 3 | 11 | 78:54 | 63 |
| მუსკრონი | 34 | 16 | 9 | 9 | 67:45 | 57 |
| სტანდარდი | 34 | 18 | 2 | 14 | 66:52 | 56 |
| ვესტერლო | 34 | 16 | 8 | 10 | 73:66 | 56 |
| ბეერსხოტი | 34 | 16 | 7 | 11 | 56:45 | 55 |
| გენკი | 34 | 16 | 6 | 12 | 63:59 | 54 |
| ლიერსი | 34 | 15 | 7 | 12 | 65:47 | 52 |
| ლოკერენი | 34 | 12 | 11 | 11 | 56:58 | 47 |
| მეხელენი | 34 | 12 | 5 | 17 | 47:77 | 41 |
| აალსტი | 34 | 11 | 4 | 19 | 53:72 | 37 |
| სტ. ტრუიდენი | 34 | 10 | 7 | 17 | 41:65 | 37 |
| ჰარელბეკე | 34 | 10 | 5 | 19 | 56:72 | 35 |
| ბევერენი | 34 | 9 | 8 | 17 | 51:69 | 35 |
| შარლერუა | 34 | 7 | 10 | 17 | 42:62 | 31 |
| გეელი | 34 | 5 | 13 | 16 | 32:60 | 28 |
| ლომელი | 34 | 5 | 12 | 17 | 35:66 | 27 |

## ამხანაგური მატჩები

23 მაისი

**უელსი — ბრაზილია**

3 ივნისი

**პორტუგალია — უელსი**

უელსის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ბრაზილიელებთან და პორტუგალიელებთან ითამაშებენ.

*მეკარეები: მარკ კროსლი (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), დარენ უორდი (ნოთს ქაუნთი, ინგლისი), როჯერ ფრისტონი (სუონსი);*

*მცველები: მარკ დილანი (ასტონ ვილა, ინგლისი), დარენ ბარნარდი (ბარნსლი, ინგლისი), რობი სევიჯი (ლესტერ სიტი, ინგლისი), რობერტ პეიჯი (უოტფორდი, ინგლისი), კრის კოულმენი, ენდი მელვილი (ორივე ფულემი, ინგლისი), მარკ პემბრიჯი (ევერტონი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დინ სონდერსი (ბრედფორდ სიტი, ინგლისი), გარი სპიდი (ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი), ჯონ რობინსონი (ჩარლტონი, ინგლისი), კარლ რობინსონი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), კრეიგ ბელამი (ნორვიჩ სიტი, ინგლისი), მეტიუ ჯოუნსი (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი), კიტ საიმონსი (ფულემი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ნათან ბლეიქი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), ჯონ ჰართსონი (უიმბლდონი, ინგლისი), ივან რობერტსი (ნორვიჩ სიტი, ინგლისი), ენდი ჯონსონი (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), გარეთ რობერტსი (ტრანმერი, ინგლისი), ჯონ ოსტერი (სანდერლენდი, ინგლისი)*

*გუშინდელ „სარბიელში“ „იუვენტუსის“ მდივანი ანტონიო გირაუდო და გაზეთ „ლა რეპუბლიკასთვის“ მიცემული მისი ინტერვიუ ორიოდ ციტატის მოყვანით ვახსენეთ. დღეს, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ, ამ საუბარს მთლიანად გთავაზობთ.*



ანტონიო გირაუდო

# მაშ, ფეხბურთი მაშინ გიყვართ, როდესაც იუვენტუსი სუსტია?!

**— ნახევარი იტალია დარწმუნებულია, რომ „იუვენტუსი“ მსაჯებს ქრთამავს და ჩემპიონის ტიტულს ყიდულობს. ამის თაობაზე რის თქმა შეგიძლიათ?**

— ეს დაუმტკიცებელი გამონათქვამები, რომელთაც ბოლო არ უჩანს, უტაქტობაა. ზოგი ისეთი ფრაზაც მოვისმინეთ და წავიკითხეთ, რომ იძულებული გავხდით სასამართლოში გვეჩივლა. მგონი ასე წერა წესად დაამკვიდრეს, ამიტომ იძულებული გახლავართ ხალხს შევახსენოთ, რომ საქმე თაობათა ასწლიან მუხლჩაუხრელ შრომასთან აქვთ. ის, ვინც ბრალდებებს გვიყენებს, თავად, ალბათ, მწირი წარსულისაა.

**— მაშინ აგვიხსენით, რატომაა, რომ გადამწყვეტ მატჩებში მსაჯები „იუვენტუსის“ სასარგებლოდ ერთობ საეჭვო გადაწყვეტილებებს იღებენ. მხოლოდ და მხოლოდ დამთხვევაა?**

— ეჭვს დამტკიცება უნდა, სხვა მხრივ კი სწორი და მცდარი გადაწყვეტილებები ნებისმიერი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. დღეს აღარავის ახსოვს, რომ ჩემპიონატი 34 მატჩისგან შედგება. ყველა ერთ კონკრეტულ ეპიზოდს მიშტერებია და თან მაინცდამაინც ისეთს, თავად რომ აწყობს. ვეთანხმები ვინც ამბობს, რომ მსაჯობის დონე ასამაღლებელია და ახალი პროფესიონალებია აღსაზრდელი, მაგრამ ამას კლუბების ხელმძღვანელთა სურვილი სჭირდება.

**— კი მაგრამ, გაგვაგებინეთ, ყველაზე დიდი შეცდომები მაინცდამაინც თქვენს სასარგებლოდ რატომ ხდება?**

— ეს არ არის მართალი და ამის უამრავი მაგალითი არსებობს. უბრალოდ, „იუვენტუსის“ სასარგებლო შეცდომებს კუდებს აბამენ, ხოლო სხვებისას შემთხვევითობას უწოდებენ.

**— დღეს ბევრი ამბობს, რომ ჩემპიონატი გაუფასურდა, ხოლო „იუვენტუსს“ საკუთარი თავისა უნდა რცხვენოდეს. ასეთ გამონათქვამებზე რა პასუხს იტყოდით?**

— ჩვენს ქომაგებს სამარცხვინო არაფერი სჭირთ. ზოგი აჩირებული რას ამბობს, ჩვენი საქმე არ არის. ქომაგები თავიანთი გუნდით ამაყობენ, მაგრამ რაკილა საქმე აქამდე მივიდა, იცით რას გეტყვით? მე „ლაციოსთან“ გადათამაშება მირჩევნია. პლეი ოფში ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლდება და გამოჩნდება, რომელი გუნდი უფრო ძლიერია.

**— ისიც კი თქვეს, რომ მსაჯის, მასიმო დე სანტისის საერთაშორისო კარიერას ხელი თქვენ შეუწყვეთ და იმასაც თქვენ აკონტროლებთ, რომელი მსაჯი რომელ შეხვედრას უნდა მოემსახუროს. ესეც გამოგონილია?**

— გამოგონილი კი არა, ბოროტი ნათქვამია, უსინდისობაა. ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში მსაჯთა დანიშვნის ყველა შესაძლო სისტემა გამოვცადეთ: სრული კენჭისყრა, ნაწილობრივი კენჭისყრა და მსაჯთა უშუალო დანიშვნა. ახლა გინდათ მითხრათ, რომ „იუვენტუსი“ ყველა ვარიანტით მანიპულაციის მეთოდებს იგონებს? ჩვენ ვაკონტროლებთ ყოველ წამოწყებას? ყველა ჩვენი კონსპირაციის მსხვერპლია?

**— „რომას“ პრეზიდენტი ფრანჩესკო სენსი ამბობს, რომ სანამ ფეხბურთში თქვენი გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოგი ტრიალებს, არაფერი გამოსწორდება. „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის კი კლუბის უცხოეთში გადაყვანა სურს. ამაზე რაღას იტყვით?**

— მესმის იმ ხალხის გულისტკივილი, ვინც მუშაობს, ფულს ხარჯავს და მიზანთან ძალიან ახლოსაც მიდის, თითქმის აღწევს კიდეც მას. აქ ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის გახლავთ, რომ დამარცხების მიზეზები ფეხბურთელების, მწვრთნელების და კლუბის დირექტორთა საქმიანობაში უნდა ეძიონ და არა მხოლოდ მსაჯობაში, მით უფრო კი მათ სასარგებლო, თითზე დასახვევ ერთ ეპიზოდში. ჩემპიონატი 34 მატჩისგან შედგება. ვერ დამისახელებთ ქვეყანას, სადაც ერთი ეპიზოდი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სხვა ყველაფერი. ხომ არავინ აბრალებს „რეალს“, „ბარსელონას“, „აიაქსს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ან „ბაიერნს“, რომ ჩემპიონები ერთი ჯარიმის გამო ხდებიან.

**— პირდაპირ გეკითხებით, გასულ კვირას პარმელი ფაბიო კანავაროს მიერ თქვენს კარში გატანილი გოლი უნდა ჩათვლილიყო?**

— გოლი არც ყოფილა, რადგან თამაში დარტყმამდე იყო გაჩერებული და პლუს ბურთი არარსებული კუთხურიდან ჩააწოდეს.

**— დიახ, მსაჯმა თქვა, თამაში კანავაროს თავურამდე გავაჩერეო, მაგრამ ტელეგამეორებებმა გვაჩვენა, რომ იცრუა.**

— სწორედ იმ ტელეგამეორებების დროს გამოჩნდა, რომ დე სანტისს ხელი სასტვენისკენ თავურამდე მიაქვს. შემდეგ მან დაუყოვნებლივ ჩასტვინა და ხმაც დარტყმამდე გაისმა. მოკლედ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რისი დანახვა გინდა.

**— ხალხი „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ასე არასდროს ამხედრებულა. ხომ არ შიშობთ, რომ პოპულარობით რისკავთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამიერიდან ყველა სტადიონზე ქურდებს დაგიძახებენ?**

— ჩვენ ზოგიერთი ტელეპროგრამის ზოგიერთმა კომენტარმა აგვიმხედრა ხალხი. ამან ცალკეული ადამიანები განარისხა კიდეც და რაიმე ძალადობაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო. გარწმუნებთ, ჩვენი კლუბის რომელიმე წევრს, გულშემატკივარს ან ვინმე სხვას რაიმე რომ მოსწეოდა, ჟურნალისტებს დავაბრალებდით. ადამიანი ხალხის წინაშე სოციალურ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდე. ახლა გარკვეულ ნაბიჯებს ვდგამთ, რათა რისკი თავიდან ავიცილოთ.

**— მაშ პატიოსანი ფეხბურთის ისევ უნდა გვჯეროდეს?**

— წავიკითხე და მოვისმინე კიდეც, რომ ფეხბურთისადმი რწმენის დაკარგვაში მთავარი დამნაშავენი ჩვენ ვყოფილვართ. თუ ასეა, გეკითხებით: გასულ წელს, როდესაც „იუვენტუსი“ არათუ უეფას თასზე ვერ გავიდა, არამედ პლეი-ოფში „უდინეზესთან“ დამარცხდა და იძულებული შეიქნა ინტერტოტოს თასზე ეთამაშა, ფეხბურთი სპორტის უფრო კარგი და სარწმუნო სახეობა იყო? გამაგებინეთ, როდესაც გუნდი კარგად ვერ თამაშობდა, რატომ არ გამოიყენა მსაჯებზე ზემოქმედების ხრიკები?

თარგმნა პაპუნა ქედიამ.

# ხუან სებასტიან გოჭუნა — სიცრუე და ორპირობა?

ფანიანო კასტელო სამხრეთ იტალიის ჩუმი, იდილიური სოფელია, რომლის მაცხოვრებელთა უმრავლესობამ კარგად იცის, ვინ არის ხუან სებასტიან ვერონი. ამ სოფელში, ისევე როგორც ქვეყნის ყველა სხვა დასახლებულ პუნქტში, ძალიან უყვართ ფეხბურთი და ბუნებრივია, „ლაციოს“ არგენტინელ ნახევარმცველს ყოველ კვირას ტელევიზიით უცქერენ.

მაგრამ ვერონს ეს სულაც არ ახარებს. მას ერჩივნა ფანიანო კასტელოელებს მისი ბაბუის მამა ხსომებოდათ.

საქმე ის გახლავთ, რომ ხუან ვერონმა იტალიის მოქალაქის პასპორტი მიიღო, როგორც 1870 წლის 28 ნოემბერს ზემოხსენებულ სოფელში დაბადებული ანტონიო პორჩელას შთამომავალმა. თქმულების თანახმად, სინიორ პორჩელა მრავალი შეჭირვებული თანამემამულის მსგავსად სიღარიბეს ოკეანის გაღმა გაექცა და არგენტინაში დასახლდა. მე-20 საუკუნის დამდეგს იტალიიდან, მეტადრე მთიანი კალაბრიიდან, ხომ უამრავმა ადამიანმა უშველა თავს.

მოკლედ, ხუან ვერონმა გასული წლის სექტემბერში წინაპართა სამშობლოს ბაბუამისის მამა შეახსენა და ამ ქვეყანაში მოღვაწეობის სამი წლის თავზე ჯიბეში პასპორტი ჩაიდო. შედეგად „ლაციოს“ საშუალება მიეცა არგენტინელი მოედანზე იტალიელის სტატუსით გაეყვანა და ამით ძირითად შემადგენლობაში კიდევ ერთი უცხოელისთვის გაუნთავისუფლდა ადგილი. მოგეხსენებათ, კანონის თანახმად გუნდს მხოლოდ სამი არაევროკავშირელი ფეხბურთელით შეუძლია თამაში.

## ვითომ?

რომის მაგისტრატურაში ეჭვი შეეპარათ: ხომ არ გააყალბეს არგენტინის ქალაქ ლა პლატაში მდებარე იტალიის საკონსულოში საბუთები? მაგისტრმა სილვერიო პირომ ვერონისა და „ლაციოს“ სპორტულ საქმეთა დირექტორის, ფელიჩე პულიჩის სახლებიდან საბუთები სამსახურში წაიღო და სეიფში ჩაკეტა.

პირო კომენტარს თავს არიდებს, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, ზემოხსენებული ორივე პიროვნება დაკითხა და ვერონის აგენტ გუსტავო მასკარდისაც გაესაუბრა.

ფანიანო კასტელოში დიდი მითქმამოთქმა ატყდა. აქ, კოზენცადან 60 კილომეტრში, 5 ათასივე კაცი ამ ამბავზე ალაპარაკდა.

სად შეიძლება სოფლელებმა საუბრით გული იჯერონ? საქართველოში ბირჟაზე, იტალიაში კი იქ, სადაც საღამოობით თითო ჭიქის გადასაკრავად შედიან — ბარში. სოფლის ცენტრში, ალდო მოროს მოედანზე, ფრანჩესკო რიკას „ევრო ბარი“ გაუხსნია, ბიჭებს ღვინოს ჩამოუსხამს და მათ ლაპარაკს ისმენს ხოლმე.

„აქ ვერონის ამბებს ყოველდღე არჩევენ, მაგრამ ზუსტად არავინ არაფერი იცის. ერთადერთი, რასაც მოხუცები იხსენებენ, ის არის, რომ, თითქოს, ოდესღაც, მართლაც ცხოვრობდა ჯელი გვარად პორჩელა“ — ამბობს ბარმენი.

შემდეგ, როდესაც გზას მთებისკენ გაუყვებით და ფანიანო კასტელოს ეკლესიის გაღმა, „ბარ ჩენტრალეში“ შეხვალთ, იქაური ბარმენიც მხრების აჩეჩვით დაგიხვდებათ. ის გეტყვით: „გაზეთებში რა აღარ დაწერეს, მაგრამ ყველაფერი ბურუსითაა მოცული. მე თუ მკითხავთ, ამის გამოკვლევა შეუძლებელია. ყველა, ვისაც შეიძლებოდა ის პორჩელა თვალით ენახა, კარგა ხნის მკვდარია“.

## გოჭუნა

აი, კიდევ რა ართულებს საქმეს: ანტონიო პორჩელას დაბადებიდან დღემდე 130 წელიწადია გასული და ამ ხნის განმავლობაში პორჩელებმა გვარი გადაიკეთეს. ზოგმა ამად, ზოგმაც იმად. რატომ? იმიტომ, რომ პორჩელა რომ ვთარგმნოთ, გოჭუნა გამოგვივა და, ცხადია, არავის უნდა გვარად გოჭუნა იყოს!

ფანიანო კასტელოს მერი ლუიჯი ბრუსკო: „ვერონის სავარაუდო წინაპრებს გვარისა რცხვენოდათ და, რამდენადაც ცნობილია, ცხოველური წარმოშობისგან თავის დასაღწევად იგი გადაიკეთეს“.

ამასობაში კი „ლაციომ“ მაგისტრატურის ეჭვსა და წამოწყებულ გამოძიებას აგრესია და ძალადობა უწოდა. „ჩვენს წინააღმდეგ დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. მიაქციეთ ყურადღება, ვერონის ამბავიც სეზონის მიწურულს ააგორეს, როდესაც თითოეულ ქულას საგანგებო ფასი აქვს. ამ საქმესთან დაკავშირებით ყველა შესაბამისი უწყებისთვის დაგზავნილი გვქონდა დოკუმენტაცია, ახლა კი ორ გავლენიან ვექილსაც მივეცით მოქმედების სრული თავისუფლება. თუ ვინმემ მოგვატყუა, პირადად მივსდევ, მაგრამ მანამდე ერთხელაც უნდა დავრწმუნდე, რომ ვერონის პასპორტთან დაკავშირებით გაყალბებული მართლა არაფერია. აი, ამაში რომ დავრწმუნდები, მერე ძირფესვიანად გამოვიკვლევ რა და როგორ მოხდა“ — თქვა რომაული კლუბის პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ.

მიხეილ სურგულაძე



ხუან სებასტიან ვერონი, ძე პორჩელასი

# ნუ დაძაბავთ სექსუალურ იტალიელებს

იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ახალი ფორმის პრეზენტაცია მოაწყო. საგულისხმოა, რომ შეფასების უფლება „სკუადრა აძურას“ ქალ გულშემატკივრებს მიენიჭათ.

ამ მაღალსაყელოიან ნიმუშს, მისი შემქმნელების განცხადებით, ერთი საინტერესო თვისება ჰქონია: ნაჭერი იწელება და იკუმშება ანუ თუკი იტალიელ ფეხბურთელს მოწინააღმდეგე მაისურაზე დაებღაუჭება, იგი ბურთს მაინც მიწვდება.

„ასეთი თვისება საქმეს მსაჯებსაც გაუიოლებს. არბიტრი თვალნათლივ დაინახავს, რომ მაისურა გაიწელა და მისი ბოლო მეტოქეს აქვს ჩაბღუჯული“ — განაცხადა ავტორი ფირმის, „ბეიზიკნეტის“ პრეზიდენტმა მარკო ბოლიონემ. პრეზენტაციას „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი დინო ძოფიც ესწრებოდა.

ახალ ნიმუშს იტალიელთა ოდინდელ მაისურასთან ბევრი აქვს საერთო. პირველყოვლისა, ცხადია, ფერი, თუმცა შესაძლოა ის ამ სამოსში ღია გეჩვენოთ. მკერდის მარცხენა მხარეს სამფეროვანი გერბია გამოსახული, ხოლო სპონსორთა ლოგოები ჩვეულებისამებრ სახელოებზეა.

საკუთრივ ნაჭერი უფრო ლიკრაა, ვიდრე ხელოვნური შენარევი, როგორც ეს ადრე იყო.

„მაისურას შექმნისას კომერციული მხარეც გავითვალისწინეთ. ვგონებთ მისი სექსუალურობა ქალების მოწონებას დაიმსახურებს, რადგან ამ სამოსში სხეულის ყოველი კუნთი გამოკვეთილია. გვინდოდა შემოტმასნილი შორტებიც შეგვექმნა, მაგრამ ბოლოს გადავიფიქრეთ“ — დასძინა პრეზიდენტმა.

ახალ ფორმას პირველად იტალიის 21 წლამდელთა ნაკრები მოზომავს. მაისის ბოლოს ახალგაზრდა „სკუადრა აძურა“ სლოვაკეთში ევროპის ჩემპიონატზე ინგლისს უნდა ეთამაშოს.



ფრანკ ლებეფი

# ლებეფი სამშობლოში ბრუნდება

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ამჟამად კი „ლიონის“ მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაკომბი შაბათს გუნდს „მონპელიეს“ წინააღმდეგ მატჩში უხელმძღვანელებს, შემდეგ კი თანამდებობას დატოვებს.

— ყველაფერი ორი თვის წინ გადავწყვიტე — განუცხადა ლაკომბმა ლიონურ გაზეთს.

საფრანგეთის ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გუნდს 1996 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობს, წლეულს კი „ლიონმა“, შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს — საფრანგეთის პირველობაზე მესამე ადგილზეა და ბოლო ტურში აწ უკვე გავარდნილ „მონპელიეს“ სტუმრობს.

თუ „ლიონმა“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, ალბათ რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს შეიძენს. გაისად მათ რიგებს მსოფლიოს ჩემპიონი ფრანკ ლებეფი შეუერთდება. ლონდონური გაზეთების ცნობით, ფრანგმა ლიონში უკვე სახლი იყიდა. ფეხბურთელმა თავადაც დაადასტურა, რომ კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

— „ლიონთან“, ალბათ კონტრაქტს გავაფორმებ — განუცხადა 32 წლის ლებეფმა ინგლისურ „მირორს“ — ერთი ცხადია, ჩემს საფეხბურთო კარიერაში ეს ბოლო გუნდი იქნება.

ლებეფის ამჟამინდელი კლუბი „ჩელსი“ გაისად ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა და ჯანლუკა ვიალის გუნდს სავარაუდოდ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დატოვებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**პორტუგალიელი** ნახევარმცველის ლუიშ ფიგუს გადაბირებას იტალიის ჩემპიონი „მილანი“ ცდილობს. ეს ინფორმაცია კატალონიურმა სააგენტოებმა გაავრცელეს, თუმცა სატრანსფერო თანხა არ დაუსახელებიათ. „მილანის“ გენერალური მენეჯერი არიელ ბრიადა და გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი „ბარსელონასა“ და „ვალენსიას“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩს დაესწრნენ, ხოლო შემდეგ ფიგუს აგენტ ხოსე ვეგას შეხვდნენ. თუ რაზე ილაპარაკეს, მხარეებს არ გაუცხადებიათ.

**არგენტინელი ფორვარდი ხუან პაბლო ანხელი, შესაძლოა, რომის „ლაციოში“ გადავიდეს. იტალიური კლუბი „რივერ პლეიტის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და 25 წლის ფეხბურთელს ზაფხულის ტრანსფერების დროს, ალბათ, რომში გადაიყვანს, ხოლო თუ რა თანხის საფასურად, ჯერჯერობით უცნობია. ანხელი ერთობ პერსპექტიული თავდამსხმელია, მას სხვა ევროპულმა გრანდებმაც დაადგეს თვალი.**

**რუსეთის** უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე „ურალანმა“ მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ავერიანოვი რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა, მისი შემცვლელი კი ხუთშაბათს დაასახელა. კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, „ურალანს“ ვლადიმირ დერგაჩი უხელმძღვანელებს. ამ სპეციალისტს უმაღლეს დივიზიონში აქამდე არასდროს უმუშავია, ბოლოს იგი პირველდივიზიონელ კალინინგრადის „ბალტიკას“ თავკაცობდა.

**ავსტრიული „რაპიდის“ იუგოსლავიელმა თავდამსხმელმა დეიან სავიჩევიჩმა ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, სამი კვირა გაუცდება. ახლო წარსულის ცნობილი ფეხბურთელი ჩემპიონატის ბოლო ტურში გრაცის „შტურმის“ წინააღმდეგ მატჩში დაშავდა. ამის მიუხედავად, სავიჩევიჩმა კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა.**

**თურქულმა** „ფენერბაჰჩემ“ იტალიელი ჯანფრანკო ძოლას გადაბირება რომ მოისურვა, „სარბიელმა“ ადრეც გაუწყათ. სტამბოლური კლუბის გენერალური მენეჯერი ირწმუნება, რომ ძოლასთან შეთანხმებას თითქმის მიაღწიეს და ახლა მათ „ჩელსიში“ მოთამაშე კიდევ ერთ იტალიელს, გაბრიელე ამბროზეტისაც დაადგეს თვალი. „ძოლას პირადად შევუთანხმდით, აგენტების დახმარება არ დაგვჭირვებია, გარდა ამისა, ამბროზეტის შეძენაც გვსურს. 20 მაისს, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალის შემდეგ, ლონდონში ჩავალთ და „ჩელსის“ თავმჯდომარეს კენ ბეიტსს შევხვდებით“ — აცხადებს „ფენერბაჰჩეს“ გენერალური მენეჯერი.

**ურუგვაელ თავდამსხმელ გუსტავო პოიეტს „სარაგოსა“ ელის. ესპანელებს საგაისოდ თავიანთი ყოფილი ფეხბურთელის დაბრუნება სურთ. 32 წლის პოიეტის პასუხი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მან ადრინდელ ინტერვიუში აღნიშნა, რომ „ჩელსიში“ თამაშით კმაყოფილია და არსად გადასვლას არ აპირებს. შესაძლო ტრანსფერზე არც ლონდონელთა თავკაცს ჯანლუკა ვიალის უთქვამს რამე.**

**გერმანიის** ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს“ მცველ კრისტიან ვიორნსის შეძენა სურს და დორტმუნდის „ბორუსიას“ 4,6 მილიონ გირვანქას სთავაზობს. 28 წლის გერმანელი ფეხბურთელი დორტმუნდულ კლუბში შარშან გადავიდა ფრანგული პსჟ-დან, რომელმაც სანაცვლოდ მილიონი გირვანქა მიიღო. მიუნხენელთა თავკაც ოტმარ ჰიცფელდს „კაიზერსლაუტერნის“ 29 წლის შვეიცარიელი ლეგიონერი ჩირიაკო სფორცაც შეუგულებია და არ არის გამორიცხული, სულ მალე გადაიბიროს. „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე აცხადებს: „ნახევარდაცვის და დაცვის ხაზში ძლიერი ფეხბურთელები გვჭირდება. ორ-სამ კვირაში ყველაფერს დავაზუსტებთ“.

# შღალატე სიყვარულს!

## ინგლისი

**ჩემპიონი** გარკვეულია. ქვედა ლიგაში ჩამავალი ორი გუნდიც ვიცით. შესაბამისად, ხვალისთვის ორი უცნობილა დარჩა ამოსახსნელი: იქსია ჩემპიონთა ლიგის მესამე მონაწილე, იგრეკი — პრემიერლიგიდან გავარდნილი მესამე გუნდი. ამათ ამოსახსნელად სამი თამაშის შედეგის გარკვევაა საჭირო.

*„ბრედფორდი“ — „ლივერპული“.* ამ თამაშში, შესაძლოა, ორივე კითხვას ერთდროულად გაეცეს პასუხი. მასპინძლები, წაგების შემთხვევაში, ლიგას ტოვებენ — „უიმბლდონს“ ბურთების გაცილებით უკეთესი სხვაობა აქვს და ძნელი სავარაუდოა, ეს უპირატესობა საუთჰემპტონში გაფლანგოს. ასე რომ, „ბრედფორდი“ ჩემპიონთა ლიგის მაძიებელ „ლივერპულთან“ გამარჯვების შემთხვევაშიც კი „საუთჰემპტონზეა“ დამოკიდებული. ისე, გლენ ჰოდლის გუნდს შინ არ უნდა გაუჭირდეს, ვინაიდან „უიმბლდონს“ სეზონის გახსნის დღის მერე სტუმრად აღარ მოუგია. საინტერესოა, რომ „ბრედფორდის“ მწვრთნელი პოლ ჯიუელი ბავშვობიდან „ლივერპულის“ გულშემატკივარია და 80-იანების დასაწყისში ამ გუნდის სათადარიგოებშიც თამაშობდა. ასე რომ, ჯიუელს ან თავისი საყვარელი გუნდის ჩემპიონთა ლიგის გარეთ დატოვება, ანაც საკუთარი კლუბით დაქვეითება მოუხდება. ბედის ირონიაა, მაგრამ „ბრედფორდის“ გამარჯვების შემთხვევაში, თუ „უიმბლდონმაც“ მოიგო, ჯიუელი ორივე უბედურების მოწმე შეიქნება.

*„საუთჰემპტონი“ — „უიმბლდონი“.* სამხრეთლონდონელთა მოგება ერთ უცნობს ეგრევე გამოავლენს — ლიგას „ბრედფორდი“ დატოვებს. მასპინძლებს თითქოს არავითარი სტიმული არ გააჩნიათ, მაგრამ თუ წააგეს და ამ დროს თასის ფინალის მომლოდინე „ჩელსი“ ქინქლაძის „დერბიმ“ დაამარცხა, ჰოდლის გუნდი ერთი საფეხურით დაქვეითდება.

*„ვესტ ჰემი“ — „ლიდსი“.* როგორც გუშინ ხმა გავრცელდა, უეფამ შესაძლოა ინგლისელებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურიც აჩუქოს, მაგრამ „ლიდსი“ ამის იმედად ვერ იქნება. თუ დევიდ ოლირის გუნდმა „აპტონ პარკზე“ მოიგო, ევროპის მესამე, ჯერჯერობით ნაღდი, ბილეთიც მას შეხვდება.

დანარჩენ მატჩებში მოსალოდნელია, რომ:

ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეეცდება 4 გოლის გატანას და 100 ბურთიანი ბარიერის მიღწევას. ბოლოს ასეთი შედეგი 1962-63 სეზონის „ტოტენჰემს“ ჰქონდა;

არსენ ვენგერი თავისი გუნდის ძირითად მოთამაშეებს დაასვენებს — ოთხშაბათს „არსენალს“ უეფას თასის ფინალი ელის. თუმცა ნიუკასლში რომ 0:0 არ იქნება, ნაღდია: ამ გუნდების წინა 66 ნიუკასლური შეხვედრიდან ასეთი ანგარიშით არცერთი დამთავრებულა;

შეფილდში სტადიონი ნახევრადცარიელი იქნება, რადგან „უენსდეის“ გულშემატკივრები ბოლო თამაშის ბოიკოტირებას აპირებენ.

...კვირას, თბილისის დროით საღამოს ცხრა საათზე, ყველაფერი გარკვეული იქნება.

# კაცისა და ჯამაგირის შესახებ

**ლონდონის** ფრიად ავტორიტეტულმა აუდიტორულმა ფირმა „დელოი ენდ ტუშმა“ პრემიერლიგის კლუბების ფინანსური ანგარიშები შეამოწმა და დასკვნების გამოტანაც არ დააყოვნა. აღმოჩნდა, რომ ბოლო ერთ წელიწადში პრემიერლიგელთა კაპიტალბრუნვამ აქამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია და 670 მილიონი გირვანქა შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 101 მილიონით მეტია. ბრუნვის 18-პროცენტიანი ზრდა — ასეთი შედეგით ნებისმიერი კომპანია (საუკეთესოთა შორის საუკეთესოც) იამაყებდა, მაგრამ...

რამდენი თქმულა ფეხბურთელთა საარაკო ხელფასებსა და პრემიებზე. რაღა შორს წავიდეთ, როი კინის მაგალითი გავიხსენოთ — 50 ათასი გირვანქა კვირაში. ცხადია, სხვათა ხელფასები ჩამორჩება თავხოტორა ირლანდიელისას, მაგრამ მაინც შთამბეჭდავია. ჯერ კიდევ ორი წლის წინ პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელთა საერთო ჯამაგირი 86 მილიონი იყო. დღეს კლუბებს თანამშრომელთა კუთვნილი ანაზღაურებისთვის უკვე 397 მილიონი სჭირდებათ. ელემენტარული არითმეტიკა მოვიშველიოთ და მივიღებთ, რომ ხელფასები მთელი 301 პროცენტით გაზრდილა.

საბოლოოდ, აუდიტორთა დაანგარიშებით, კლუბების მიერ პრემიერლიგაში თამაშით მიღებული შემოსავალი (გადასახადების გადახდამდე) 41,4 მილიონი გირვანქიდან 18,7 მილიონამდე შემცირდა. დასკვნა ასეთია — კლუბი, რომელიც თავისი ფინანსური ბრუნვის 50 პროცენტზე მეტს ფეხბურთელთა ხელფასებზე ხარჯავს, უფსკრულის პირას დგას. მიმდინარე სეზონში ამაზე ნაკლები ეს მაჩვენებელი მხოლოდ სამ კლუბს ჰქონდა — „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ასტონ ვილასა“ და „ლიდსს“.

# ამათ რა უჭირთ

UNDER-16 Championship

**ხვალ** ისრაელის ქალაქ რამათ განში ორი მატჩი გაიმართება: მესამე ადგილისთვის და ფინალი. ამით 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი 16 წლამდე ფეხბურთელებისთვის ისტორიას ჩაბარდება.

ხუთშაბათს იერუსალიმში ჩატარებული ორივე ნახევარფინალი ერთნაირი ანგარიშით 2:1 დამთავრდა, თუმცა სანამ ამ მატჩებზე ვიტყოდეთ, მეოთხედფინალები გავიხსენოთ.

ყველაზე იოლად ის ბარიერი ჰოლანდიელებმა გადალახეს: გრააფსხაპელი ჰუნტელაარის და აიაქსელების — ჰაიტინგას და ვან დერ ვაარტის — სამ გოლს რუსებმა ვერაფრით უპასუხეს და შინ გაემგზავრნენ. მათ შორის იყო სოჭის „ჟემჩუჟინაში“ მოთამაშე გიორგი მიქაძე, ვინც ჰოლანდიელებთან, თუ ყვითელ ბარათს არ ჩავთვლით, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ასევე ძირითად დროში შეძლეს გამარჯვება ჩეხებმა და ესპანეთს 2:0 მოუგეს.

დანარჩენ ორ შეხვედრაში მსაჯებს დამატებითი დროის დანიშვნა მოუხდათ, თუმცა იქ ვერაფერი გაირკვა და კიდევ ორი ნახევარფინალისტი პენალტების სერიის შედეგად გამოვლინდა. პორტუგალიამ, ძირითადში 1:1-ის მერე, 6:5 სძლია გერმანიას, საბერძნეთმა კი 4:2 სლოვაკეთს. არადა, ბერძნებს ოთხი წუთი დააკლდათ, საქმე ძირითად 80 წუთში (ამდენს თამაშობენ 16 წლამდელები) რომ მოემთავრებინათ — 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში შეცვლაზე შესულმა ტომაშ სლობოდამ ტყუპი გოლით დამატებითი 20 წუთი გაახერხა. მერე კი ქართველმა მსაჯმა ლევან ფანიაშვილმა გუნდებს პენალტებიც დაარტყმევინა...

ნახევარფინალში ბერძნები პორტუგალიასთან 52-ე წუთზე კი დაწინაურდნენ, მაგრამ რვა წუთში უკვე მეტოქე ლიდერობდა და თამაშის ბოლომდე ანგარიში აღარც შეცვლილა. ასევე წარიმართა ჰოლანდიისა და ჩეხეთის მატჩიც. ჰაიტინგას გოლით ჰოლანდიელებმა პირველი ტაიმი მოიგეს, შესვენების შემდეგ კი ჯერ ჩეხთა ერთადერთმა ლეგიონერმა გერმანული „შალკედან“ ტროიანმა გაათანაბრა, ბოლო, მე-80 წუთზე კი ტომაშ იუნიმ თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

მაშ ასე, ხვალ ფინალში ჩეხეთი პორტუგალიას შეხვდება. ეტყობა, ამ ორ ქვეყანას, ეროვნული გუნდები რომ უფროსთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჰყავს წარმოდგენილი, ახალი თაობაც ნიჭიერი ეზრდება.

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

*— დიახ, მოხდება ხოლმე ასე, დიდი გუნდი შეასკდება პატარა გუნდს და პატარა გაიმარჯვებს.*

— მე რას ვამბობდი რივალდოზე?

*— დიდ გუნდს დიდი ტკივილები აქვს, მისი მარცხი ასჯერ უფრო ლამაზია, ვიდრე პატარა გუნდის გამარჯვება.*

— მაგ ლათაიებს მოეშვი. რომელ დიდ გუნდზე მელაპარაკები?

*— „ბარსა“, „ბარსა“ დიდი გუნდია...*

— „რეალი“?

*— „რეალს“ დიდი ისტორია აქვს.*

— ერთი ეს მითხარი, რედონდო უკეთესია თუ კოკუ.

*— ეგ რა შეკითხვაა?*

— რა ვიცი, სიდიდეებზე ლაპარაკობდი და...

*— ეგრე შედარება არ შეიძლება, სერვიზი კი არ არის, ცოცხალი ხალხია.*

— ერთი სია შევადგინე.

*— რა სია?*

— იმ ხალხისა, ვინც რივალდოს ჯობია.

*— ჰმ...*

— „ა“-დან იწყება. ანგულო, ანგლომა, ანელკა...

*— ჰმ და ჰმ...*

— ნუ ნერვიულობ, ფიგუც წერია.

*— სისულელეა.*

— ეს რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ აგებენ დიდი გუნდები.

*— რაც გინდა ისა თქვი, ისტორია შენს საპირისპიროდ ლაპარაკობს.*

— რას ლაპარაკობს, „ვალენსია“ სოფლის გუნდიაო?

*— არა, უბრალოდ გარკვეულია ისტორიული სილამაზის საკითხი.*

— სოფი ლორენი შედის მაგ ისტორიულ სილამაზეში?

*— არა, ბიჭო ბრუკ შილდსი შედის...*

— შენ გინდა, ფინალში სულ „ბარსელონა“ იყოს...

*— და გაზა?*

— გაზა რა შუაშია?

*— რასაც შენ გაზაზე ამბობ, მეც იმას ვამბობ „ბარსაზე“.*

— მე რას ვამბობ გაზაზე?

*— ისეთი კარგი იყო, რომ ვერ თამაშობდაო.*

— მერე რა გინდა?

*— არაფერი, დიდი მოგებულს არ ნიშნავს.*

— სისულელეა. დიდი თუ ხარ, პატარასავით უნდა გაპამპულონ?

*— შენ ეგრე ამბობ და...*

— მე ვამბობ, რომ სია მაქვს შედგენილი...

*— და რივალდო ჯობია თუ გაზა?*

— შენ რამდენი წააგე?

# რა გინდათ აქ?

## მიხაელ როტი ადგილს ეძებს

რა უნდა ხდებოდეს ისეთი, ამა თუ იმ ქვეყნის მეორე ლიგის კლუბმა დიდი ზეიმი მოაწყოს, 2500 საპატიო სტუმარი დაპატიჟოს და მთელი საღამო კარგ გუნება-განწყობილებაზე იყოს?

აი, გერმანულმა „ნიურნბერგმა" კი 4 მაისს თავს ამის უფლება მისცა, ჰქონდა კიდეც მიზეზი — წლეულს ეს გუნდი საუკუნისა მოიყარა. 100 წელი ისეთი ღირსშესანიშნავი თარიღია, სულ რომ არ გელხინებოდეს, მაინც იზეიმებ. ჰოდა, კლუბის პრეზიდენტმა მიხაელ როტმაც ფული არ დაიშურა, ხარჯს არ მოერიდა და... მთელი გერმანული ელიტა 4 მაისს ნიურნბერგში შეიკრიბა. მოწვეულ სტუმართა შორის პოლიტიკის, კულტურის, ხელოვნებისა და ცხადია, სპორტის გამოჩენილი პიროვნებები ჭარბობდნენ.

ისე, ეს ზეიმი საერთოდ არ შედგებოდა, რომ არ ყოფილიყვნენ ნიურნბერგელი

### სკოლის ბიჭები

ნიურნბერგში ერთი-ერთი სკოლის უფროსკლასელი ბიჭები გაკვეთილების დასრულებას მოუთმენლად ელოდნენ-ხოლმე. მათი ერთადერთი საფიქრალი ფეხბურთი იყო. მორჩებოდა გაკვეთილები და ხურდებოდა ფეხბურთი. ერთ ჩვეულებრივ საღამოსაც ბურთის გორებით გულნაჯერებმა ბიჭებმა მოიპალარაკეს, მეორე დილით სკოლის ნაცვლად იქვე მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სამიკიტნოში მისულიყვნენ.

დათქმულ დროსა და ადგილზე თვრამეტივე ყმაწვილი გამოცხადდა. ბიჭებმა საკმაო ხანს ითათბირეს და სამიკიტნო გახარებულებმა დატოვეს. 16-17 წლის ყმაწვილებმა 1900 წლის 4 მაისს „პირველი საფეხბურთო კლუბი ნიურნბერგი" დააარსეს. სწორედ ასე ეწოდა გუნდს. პატრონიც იოლად იპოვეს, ერთ-ერთი ყმაწვილის მამამ ბურთისა და ფორმის შეძენაზე თანხმობა განაცხადა. მეტი ნიურნბერგელებს მაშინ არც არაფერი უნდოდათ. ეს კლუბი მთლად საფეხბურთო არ ყოფილა, რადგან ზოგიერთ წესს რაგბს დაესესხა, თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელებულა, ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდებმა სარაგბო წესებზე უარი თქვეს და „ნიურნბერგიც" წმინდა საფეხბურთო კლუბი გახდა.

პირველი ოფიციალური მატჩი ნიურნბერგელებმა 1901 წლის 29 სექტემბერს ჩაატარეს — „ბამბერგი" 5:1 გაანადგურეს. მერე კი ასევე ახალშექმნილ მიუნხენის „ბაიერნს" დაუპირისპირდნენ და დიდი მონდომების მიუხედავად, პირწმინდად დამარცხდნენ 0:6.

ამ მატჩის შემდეგ კლუბში მწვრთნელიც გამოჩნდა. უნგრელმა ფრიც შერვაშმა ბერლინის „ბრიტანიას" „ნიურნბერგი" ამჯობინა.

მალე „ნიურნბერგი" გერმანიის ჩემპიონატშიც ჩაება, თუმცა 1920 წლამდე ვერაფერს მიაღწია, მერე კი...

**იუბილარი 100**

**ნიურნბერგი (გერმანია)**

*დაარსდა: 1900 წლის 4 მაისს*
*პრეზიდენტი: მიხაელ როტი*
*მენეჯერი: იგნაც გოოდი*
*მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი*
*სტადიონი: „ფრანკენშტადიონი" (ტევადობა 44 600)*
*გერმანიის ჩემპიონი (9): 1920, 21, 24, 25, 27, 36, 48, 61, 68*
*გერმანიის თასის მფლობელი (3): 1935, 39, 62*
*ფორმა: შავ-წითელი კომბინირებული მაისური, შავი ტრუსები, შავი გეტრები*

### ოციანი წლები

ეს ხანა მართლაც რომ საუკეთესოა ამ კლუბის ასწლიან ისტორიაში. 1920-27 წლებში „ნიურნბერგი" ხუთჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი.

ყველაზე ტკბილი კი, ბუნებრივია, მაინც პირველი ტიტული გახლდათ. 1920 წლის პირველობის გადამწყვეტ მატჩს ფრანკფურტმა უმასპინძლა. ნიურნბერგელთა მეტოქე „ფიურტი" გახლდათ. ეს გუნდები იმ ჩემპიონატში მანამდეც შეხვედროდნენ ერთმანეთს. ის შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა. 13 ივნისს, ფრანკფურტში კი, „ნიურნბერგმა" იმძლავრა. შეხვედრის მე-12 წუთზე პოპმა ითამაშა კარგად და „ფიურტს" ლამაზი გოლი გაუტანა, 73-ე წუთზე უნგრელმა პეტერ ჟაბომ ერთიც დაუმატა და „ნიურნბერგმა" 2:0 მოიგო. ფრანკებმა ჩემპიონის ტიტული მომდევნო წელსაც შეინარჩუნეს — გადამწყვეტ მატჩში დიუსელდორფში ბერლინის „ფორვერტსს" შთამბეჭდავი ანგარიშით 5:0 სძლიეს. შეხვედრის გმირი პოპი გახდა, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა. ორჯერაც ტრეგმა იყოჩაღა. ჩემპიონის ნიურნბერგში დაბრუნება ამაღელვებელი გამოდგა. გუნდს ცენტრალური სადგურთან 50 ათასამდე ქომაგი ელოდა. ორწლიანი ტრიუმფის შემდეგ „ნიურნბერგიდან" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, რამაც შედეგზეც იმოქმედა. მომდევნო ორი წელი კლუბისთვის არცთუ კარგი გამოდგა.

1924, 1925 და 1927 წლებში ნიურნბერგელები სამჯერ გახდნენ უძლიერესები. მეხუთე ჩემპიონობას მაინც სხვა ფასი ჰქონდა, რადგან უიღბლო დებიუტის შემდეგ არავის ეგონა, თუ ცხრილის ბოლოში დამკვიდრებული გუნდი ჩემპიონატის ფინალში გავიდოდა. 1927 წლის 12 ივნისს „ნიურნბერგი" ბერლინში იქაურ „ჰერტას" ეწვია. ეს პირველი ფინალი იყო, რომლის რეპორტაჟიც რადიოთი გადაიცემოდა. „ნიურნბერგმა" ჩინებულად ითამაშა და 2:0 გაიმარჯვა.



პრეზიდენტი მიხაელ როტი 1948 წლის ჩემპიონ ფეხბურთელებთან ერთად კლუბის საუკუნოვან იუბილეზე

### პირველი თასი

თუ „ნიურნბერგი" ჩემპიონატში წარმატებებს აღწევდა, გერმანიის თასზე არაფერი გამოსდიოდა. გუნდი თასის გათამაშებას საკმაოდ მალე ეთიშებოდა. ნავსი 1935 წელს გატყდა. „ნიურნბერგმა" თავის ისტორიაში პირველად ქვეყნის თასი მოიგო. ფინალი 8 დეკემბერს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" შედგა. მეტოქე იმ დროის საუკეთესო გერმანული კლუბი „შალკე 04" გახლდათ. ფინალში ფავორიტად, ბუნებრივია, გელზენკირხენელები ითვლებოდნენ. თასის ალებას უმრავლესობა მათ უწინასწარმეტყველებდა, თუმცა „ნიურნბერგმა" პროგნოზები არად ჩააგდო. გადამწყვეტი სიტყვა მატჩში ნიურნბერგელთა ლიდერებმა, აიბერგერმა და ფრიდელმა თქვეს, ორივემ გოლი გაიტანა. „შალკემ" კი ამ გოლებს ვერაფრით უპასუხა, 0:2 დამარცხდა და უთასოდაც დარჩა.

„ნიურნბერგი" კი ამის შემდეგ კიდევ ორჯერ დაეუფლა ქვეყნის თასს. ეს 1939 და 1962 წლებში მოხდა. ვიდრე ნიურნბერგელები თასს მეორედ აიღებდნენ, ერთი ტიტულიც მოიპოვეს — 1936 წელს გუნდი მეექვსედ გაჩემპიონდა.

### ომის შემდეგ

მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ გერმანიამ მალე მოიცალა ფეხბურთისთვის. „ნიურნბერგი" თავისი გზით მიდიოდა, გზით, რომელმაც 1948 წელს გერმანული ფეხბურთის მწვერვალზე მეშვიდედ აიყვანა.

ამ დროს გუნდში მაქს მორლოკი ბრწყინავდა, კაცი, რომელმაც 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში უნგრეთს გადამწყვეტი გოლი გაუტანა და გერმანია პლანეტის უძლიერესი ნაკრები გახადა.

მორლოკი „ნიურნბერგსაც" დიდად დაეხმარა, სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით მიაღწია ამ გუნდმა 1948 წელს ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩამდე. 8 აგვისტოს ნიურნბერგელები „კაიზერსლაუტერნს" შეხვდნენ. ფავორიტი ამ შეხვედრაშიც მეტოქე გახლდათ. „კაიზერსლაუტერნში" ხომ თვით ფრიც ვალტერი თამაშობდა. თუმც „ნიურნბერგთან" ისიც ვერას გახდა. ვინტერშტაინის გოლი „ლაუტერნმა" კი გაქვითა, მაგრამ პიოშლისას ვერაფერი მოუხერხა. „ნიურნბერგიც" მეშვიდედ გაჩემპიონდა.

ამას ცამეტწლიანი შესვენება მოჰყვა, მერე კი იყო მატჩი დორტმუნდის „ბორუსიასთან", რომელშიც „ნიურნბერგმა" გაიმარჯვა 3:0.

მეთორმეტე და ჯერჯერობით ბოლო ტიტული „ნიურნბერგმა" 1968 წელს მოიგო. გუნდი მეცხრედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ამჯერად საქმე ფინალამდე აღარ მისულა, ამ დროს ბუნდესლიგა უკვე დაარსებული იყო. ჩემპიონატიც ახლანდელი სისტემით ტარდებოდა. „ნიურნბერგი" თავიდანვე ლიდერობდა. ჩემპიონობა კი ოფიციალურად ბოლოსწინა ტურში გაიფორმა, როცა „ბაიერნს" 2:0 სძლია.

ამას საშინელი წელი მოჰყვა — „ნიურნბერგი" პირველი ბუნდესლიგიდან გავარდა. დაბრუნება კი ათი წლის შემდეგღა შეძლო.

### ზოგადად

„ნიურნბერგი" ერთი ჩვეულებრ... არაფრით გამორჩეული გუნდია. მარ... თალია, ცხრაგზის ჩემპიონობითა დ... სამი თასით ბევრი ვერ დაიკვეხნი... მაგრამ ეს წარსულის გადმონაშთი... დიდი ხანია, „ნიურნბერგს" გერმანი... ისთვის თავი არ შეუხსენებია.

ევროპულ ასპარეზზე ამ კლუბს თა... ვი არაფრით გამოუჩენია. ყოველთვი... პირველ ან მეორე ეტაპზევე ეთიშ... ბოდა გათამაშებას.

„ნიურნბერგი" მეორე ბუნდესლი... გის ხშირი სტუმარი გახლავთ. პი... რველ და მეორე ბუნდესლიგაში ხში... რად მოგზაურობს. ერთხელ კი...

ამ გუნდის ყველაზე ცუდი მოგონე... ბა ახლო წარსულს უკავშირდება. 199... წელს გერმანიის საფეხბურთო კავში... რმა კლუბის ხელმძღვანელობას დო... კუმენტებში შეცდომები აღმოუჩინა და... ექვსი ქულა დააკლო, ამას „ვალდ... ოფთან" მარცხი მოჰყვა და „ნიურნბე... რგიც" რეგიონალლიგაში აღმოჩნდა... თუმცა შარშან ფრანკები უკვე პირველ... ბუნდესლიგაში თამაშობდნენ, თითქო... ადგილიც უნდა შეენარჩუნებინათ... მაგრამ ბოლო ტურში შინ იაშვილის... კობიაშვილის და ცქიტიშვილის „ფრა... იბურგთან" წააგეს და ისევ გავარდნენ...

„ნიურნბერთან" ქართველების კავ... შირი ამით არ ამოწურულა. 1995 წელ... ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მა... ტჩში გერმანიის ნაკრებმა ჩვენს ერო... ვნულ გუნდს სწორედ ნიურნბერგში... „ფრანკენშტადიონზე" უმასპინძლა და... 4:1 დაამარცხა.

მეორე ბუნდესლიგაში წლეულ... ოთხი ტურიღაა გასამართი. „ნიურნ... ბერგს" მეოთხე ადგილზეა და ერთ... საფეხურით ანაცვლებისთვის იბრძვის... მესამე ადგილზე გასვლა პირველ ბუ... ნდესლიგაში გადასვლის ტოლფასია...

კლუბის პრეზიდენტ მიხაელ როტს... და მწვრთნელ კლაუს აუგენტალერს სჯე... რათ, რომ 4 მაისის ზეიმს იმედგაცრუე... ბა არ შეცვლის. „ჩვენ პირველ ბუნდეს... ლიგაში ალზევების ძალა შეგვწევს. ვფი... ქრობ, დასახულ მიზანს მივაღწევთ" — ამბობს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი (როგორც ფეხბურთელი) მწვრთნელი. ელი... ტაში დაბრუნების იმედი აქვს გუნდის... ყველაზე ტიტულიან წევრ მეკარე ანდ... რეას კიოპკესაც. „მალე კარიერის დამ... თავრებას ვაპირებ. მინდა, თამაში ბუნდე... სლიგაში ჩავამთავრო" — განაცხადა ამის... წინათ კიოპკემ.

„რა გინდათ აქ? თქვენი ადგილი პირველ, მხოლოდ პირველ ბუნდესლიგაშია" — ეს სიტყვები გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა 4 მაისის ზეიმზე წარმოთქვა. როტმა კვერი დაუკრა, ჩვენ ამ... ადგილს ვეძებთ და ვიპოვით კიდეცო... ვინც ეძებს, პოულობსო, ნათქვამია...

**ვანო ოქროპირიძე**





„ნიურნბერგი"-2000. ზედა რიგში (მარცხნიდან): ბრუნერი (მწვრთნელი), ლიოში, ჰაინბირი, კოსი, გრასერი, ტოიბერი, გუსიჩი, ნიკლი, ჰობში;
შუა რიგში: რაუში (მწვრთნელი), რაინჰარდტი, გიუნტერი, ბელიაკოვი, სტოილასი, ლაიტლი, კრჟინოვეკი, ლისენი (მასაჟისტი), მიოსლე (მწვრთნელი), კირხნერი (ექიმი);
სხედან: დრილერი, კრისტი, ვაიგლი, ჰორხერი, კიოპკე, კამპა, სკოოგი, ციმერი, შტონცერჰოფეკერი



ანდრეას კიოპკეს ბუნდესლიგა მოენატრა



დომინიკ ჰრბატი

# მოკალ ღიმილით!

**...ომი. მასტერსის სერია — იტალი-
...ის ღია პირველობა. თიხნარი.
საპრიზო 3 მილიონი $**

...ჯერ კიდევ გუშინ ამ სტრიქონების ...ტორი ქება-დიდებით ამკობდა ანდრე ...სის ბოლო ხანებში ჯიგრიანი თა-...მისთვის და სამარცხვინო ბოძზე აკ-...და ევგენი კაფელნიკოვს კორტზე ...ლგრილი გარჯისთვის.

...საკუთარი სიტყვების, მით უმეტეს, ...წერილ-დაბეჭდილის უკან წაღება შე-...ლებელია, ამიტომ საკუთარ შეცდო-...ზე სწავლის მეტი აღარაფერია და-...ენილი — იტალიის ღია პირველო-...ს მერვედფინალში აგასიმაც ზუსტად ...ვე ანგარიშით წააგო, როგორც წინა ...ეს კაფელნიკოვმა და აღშფოთებუ-...ა მაყურებლებმა მასაც უსტვინეს.

...ოტორა ამერიკელს თავის გასამა-...ლებლად ის თუ გამოადგება, რომ ...ი მეტოქე, სლოვაკი დომინიკ ჰრბა-... ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია და ...იოდ კვირის წინ მონტე კარლოს ...ა პირველობის ფინალისტიც გა-...ლდათ.

...მას შემდეგ, რაც მატჩი კატასტრო-...ულად დაიწყო და 1:3 ჩამორჩა, მსო-...ლიოს პირველმა ჩოგანმა მხოლოდ ...ერე ხნით მოახერხა უპირატესობის ...ლში ჩაღგება და ანგარიშის გათანა-...ება. თუმცა ეს იყო და ეს — აგასიმ ...ტად ველარც მოწოდება აართვა მე-...ოქეს და მანქანასავით სტაბილურად ... მძლავრად მოთამაშე ჰრბატის ვე-...ფერი დააკლო.

„პირველ სეტში ერთი განსაკუთრე-...თ მძიმე გათამაშების შემდეგ გავი-...მე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაძა-...ლი აღარ ვარ და უკეთ ვიწყებ თა-...მაშს. ასეთ დროს საერთოდ აღარ ვნე-...იულობ, უბრალოდ მინდა, ლამაზად ...თამაშო და ხალხს კარგი სანახაობა ...უქო. ზოგჯერ ზედმეტი კონცენტ-...რებაც საზიანოა, შეიძლება ყველა-...ერი გაგიშეშდეს და უარესად გაისა-...ო. ჯობია გაიღიმო და სცადო, მა-...ურებელს სიამოვნება მიანიჭო“ — აღ-...ნა მოგვიანებით სლოვაკმა.

...ჰრბატის ღიმილი მისი მეტოქეები-...ვის კარგს არაფერს მოასწავებს — ჩოგბურთში ძნელად თუ მოიპოვება მოთამაშე, რომელიც ისე სტაბილურად ასრულებდეს ყუმბარისებურ დარტყმებს, როგორც იგი.

აგასისაც სულ უფრო უჭირდა არტილერიული თავდასხმის მოგერიება, მუდმივად ერთი ნაბიჯით ჩამორჩებოდა მეტოქეს და როდესაც თავის დაცვა მობეზრდა, უსიამოვნო შეხვედრას მატჩ-პოინტზე ორმაგი შეცდომით დაუსვა წერტილი — 4:6, 4:6.

შარშან რომში პატრიკ რაფტერთან დამარცხების შემდეგ ანდრე საშინლად იმედგაცრუებული და განაწყენებული იყო საკუთარ თავზე, ამჯერად კი მსგავსიც არაფერი ეტყობოდა. პრესკონფერენციაზე უკვე ის ილიმებოდა ხშირად და ისე იქცეოდა, თითქოს მერვედფინალში წაგებას როლან გაროსისთვის უკეთ მომზადების მისეული გეგმა ითვალისწინებდა.

„რაც უფრო მეტს თამაშობ, მეტია დაშავების რისკი, მე კი მსურს, პარიზისთვის სრულყოფილად ვიყო მომზადებული, დასვენებული და გამარჯვებას მოწყურებული. არ მინდა, დომინიკს რაიმე დავაკლო, დღეს მან მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ არც საკუთარი თავით ვარ უკმაყოფილო. ახლა მხოლოდ ტრენაჟორებზე ვარჯიშილა მაკლია საჭირო დონის მისაღწევად“ — განაცხადა აგასიმ.

მეტად კმაყოფილი დარჩა თავად ჰრბატიც, რომელმაც აგასის უკვე მეორედ აჯობა და შარშან საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალში წაგებისთვის შური იძია: „ანდრესთან პაექრობას არაფერი მიჯობს. ისიც კაფელნიკოვივით ჩემთვის ხელსაყრელ ტემპში თამაშობს, მასთან ბევრი ფიქრი არ მიხდება და უმეტესად წინასწარ ვიცი, საითაც დაარტყამს. იცით, ერთი ამბავი უნდა გიამბოთ. კი ბისკეინში შარშან აგასი რომ დავამარცხე, ჩემთან კაროლ კუჩერა მოვიდა და მითხრა, სანამ კორტზე გნახავდი, ვთვლიდი, რომ მაგიდის ჩოგბურთი სწრაფი თამაშია, მაგრამ ახლა უკვე ამაში ეჭვი მეპარებაო“.

ყველაზე საინტერესო კი რომში ტომას ენკვისტისა (7) და ...იტონ ჰიუიტის (9) მერვედფინალი გამოდგა. მომქანცველ, თითქმის ორსაათნახევრიან შეხვედრაში ორივე ჩოგბურთელი იმსახურებდა გამარჯ...ს, თუმცა საბოლოოდ მეოთხედფ...ალის საგზური მუდმივად საბრძოლველად შემართულ და ენერგიულ ავსტრალიელს ხვდა წილად — 7:6 (8:6), 2:6, 6:3.

მატჩის შემდეგ რომის მაქებარ ჰიუიტს ჰკითხეს, იქნებ რაიმე ცუდიც ნახეთ ჩვენს ქალაქშიო: „ჯერჯერობით არ წამიგია, ასე რომ, ავად არაფერი მახსენდება. თუმცა ჰო, მძღოლები... ამ დილით კინაღამ ავარიაში მოვყევით. ქუჩები ძალიან ვიწროა, მანქანები კი ისე სწრაფად დადიან!“

**მერვედფინალი:** **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (7:4), 6:1; **გუსტავო კუერტენი** (4, ბრაზილია) — იუნეს ელ აინაუი (14, მაროკო) — ტრავმა; **ალექს კორეტხა** (10, ესპანეთი) — ფაბრის სანტორ (საფრანგეთი) 6:2, 6:3; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — ხუან კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:4; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:2; **ფელიქს მანტია** (ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4, 6:2.

**ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი.
საპრიზო 1,05 მილიონი $**

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა თავისი გამარჯვებათა სერია 12 მატჩამდე გააგრძელა, თუმცა ბერლინში, სულისშემხუთველ სიცხეში მერვედფინალური ბარიერის გადალახვა საკმაოდ გაუჭირდა — 22 წლის ხორვატმა სილვია ტალაიამ გულადად იბრძოლა.

„სილვიას აქამდე არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ დედაჩემმა ადევნა თვალი მის მატჩს და მითხრა, ფრთხილად იყავიო. სხვათა შორის, თამაშის სტილით ძალიან მგავს“ — განაცხადა მარტინამ.

ტალაიას 6:5-ზე პირველ ხელში ორი სეტ-პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ განერვიულებულმა ვერ გამოიყენა და ტაი-ბრეიკზე დამარცხდა. „ძალების სრული მობილიზება დამჭირდა. სულაც არ მინდოდა კორტზე კიდევ დიდი ხნით დარჩენა, ისეთი სიცხე იყო“ — ეს, რა თქმა უნდა, ჰინგისის სიტყვებია.

19 წლის შვეიცარიელს ამის შემდეგ დიდად აღარ გასჭირვებია 7:6 (7:4), 6:3.

**მერვედფინალი:** **კონჩიტა მარტინესი** (3, ესპანეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 6:3; **ამანდა კუტცერი** (10, სამხრეთ აფრიკა) — ჟული ალარი (4, საფრანგეთი) 6:2, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (5, საფრანგეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 7:6 (7:0), 6:2; **ანკე ჰუბერი** (8, გერმანია) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:7 (6:8), 6:4; **გალა ლეონ გარსია** (ესპანეთი) — ჩანდა რუბინი (15, აშშ) 6:1, 6:7 (5:7), 6:3; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — კვეტა ჰრდლიჩკოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1.



მარტინა ჰინგისი

* * *

**წინალდით** ანა კურნიკოვას მიერ ბერლინში მიღებული ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა. საავადმყოფოში გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ 18 წლის რუსმა მარცხენა კოჭის მყესი გაიწყვიტა და სავსებით შესაძლებელია, პარიზში საფრანგეთის ღია პირველობაზე ასპარეზობაც ვერ მოახერხოს.

**ავთანდილ სვანიძე**



# ტაისონის მორიგი ქალი

## ოღონდ გალახული და არა გაბახული

### შე დაბოლილო ბოზო! იღრიალა მაიკმა და...





მაიკ ტაისონს შესაძლოა ისევ ნარზე კოტრიალმა მოუწიოს

**მაიკ ტაისონის** თავს ახალი სკანდალი ტრიალებს და საქმეში ისევ გალახული ქალია გარეული. ლას ვეგასის ბარ „ჩიტაში“ ტაისონს მოსტრიპტიზე გოგოსთვის შემოუკრავს ხელი და თანაც ბოზი უწოდებია. პლანეტის ყველაზე ცუდი ბიჭის ამბავს იქაური პოლიცია იკვლევს. მოსტრიპტიზე გოგოს ვიქტორია ბიანკო ჰქვია, 24 წლისაა და „ჩიტაში“ შიშვლად მოცეკვავედ მსახურობს. მთელი ამბავი ის ყოფილა, რომ ამ ბარში მაიკი თავად მეპატრონეს, ვინმე ლონის მიუწვევია. დახლიდან თავის ადგილზე მიბრუნებულ ტაისონს იქ დასკუპებული ვიქტორია დახვედრია და უთქვამს აეთრიეო. მერე აღარ დაუხანებია და გაშლილი ხელი ისე წაუთაქებია გოგოსთვის, რომ...

„ისეთი დამარტყა, რომ ოთახის მეორე ბოლოსკენ გავფრინდი“ — ამბობს მოცეკვავე.

გოგო შეშფოთებულ ლონის წამოუყენებია და უკითხავს, რამე ხომ არ გეტკინაო. ტაისონს კი მიუყოლებია, შე დაბოლილო ბოზო და ჩათლახოო.

პოლიცია საქმეს იძიებს, თუმცა ტაისონი ჯერ არ დაუკითხავს. ამგვარი შემთხვევები გაუპატიურებაზე ნაჯდომი ტაისონის ცხოვრებაში ხშირია, ვერაგი გოგოები ხშირად გამოიწვევენ ხოლმე, მაგრამ საქმე სასამართლომდე არცერთხელ მისულა. ვნახოთ, ახლა რა იქნება, ტაისონი ისედაც პირობითაა გამოშვებული მერილენდის ციხიდან, სადაც ორი კაცის ცემისთვის მოხვდა შარშან თებერვალში.

ამასობაში კი ევროპაში ჩხუბზე გადასული ტაისონის მოსანადირებლად ომი იწყება. ლუ სავარეზეს წინააღმდეგ მილანში გამოცხადებული ჩხუბი შესაძლოა სულაც არ გაიმართოს მილანში, არამედ გლაზგოში. ამისთვის სქოთი საქმოსნები ჩალიჩობენ და საბრძოლო არენად გლაზგოს ცნობილ სტადიონებს „პარკაჰედსა“ და „ჰემპდინ პარკს“ ასახელებენ. ყველაფერი იმ კვირაში გაირკვევა, თუმცა იქაური ქალთა ორგანიზაციები უკვე გაჰყვირიან, ეყოფა მაგ ვირს, ერთხელ რომ შემოვუშვით ბრიტანეთში, ქალთა მცემელს გადაველობებითო და შინაგან საქმეთა მინისტრ ჯეკ სტროუს მოუწოდებენ, მეორედ აღარ დათმოო.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# გვრიტები



REUTERS ოსაკადან

**როგორი** სიყვარულია?! რამხელა აზრია ჩაქსოვილი მარიონ ჯონსის მზერაში, მეუღლისკენ რომ მიუმართავს. ეს ბიზონივით კაცი სი ჯეი ჰანტერია, ბირთვის კვრაში დიდად გაწაფული და ცოლზე სიგიჟემდე შეყვარებული. ბოლო ხანებში მაინც, რაც ჯონსმა ზურგის ტრავმა მოიშუშა, ჰანტერს საკუთარი თავი დაავიწყდა და ლამისაა მეუღლის ჩრდილად იქცეს. ეს ფოტო იაპონური ოსაკიდან მოვიდა, სადაც სეზონის პირველი გრან-პრი უნდა გათამაშდეს. ჯონსი სერიოზულ კომპანიაში ირბენს, ცალ მხარს ავსტრალიელი მელინდა გეინსფორდ-ტეილორი დაუმშვენებს და მეორეს — ბაჰამელი სავათედა ფაინსი, წლეულს ყველგან ჩინებულად რომ გამოვიდა. მიუხედავად ამისა. მარიონს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება და უქმეებზე აუცილებლად პირველი ადგილის დაკავებას გეგმავს, ისევე, როგორც მეორე სახელგავარდნილი ამერიკელი მორის გრინი, რომლის ორი ძირითადი მიზანი წლეულს სიდნეის ოლიმპიადის სამი ოქრო და ბედნიერი დაბადების დღის გადახდა ყოფილა. პირველი ნათელია, რაც შეეხება მეორეს, გრინმა ოსაკაში დააკონკრეტა, რომ 23 ივლისს 26 წლისა ხდება და იმავე დღეს ამერიკელთა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში 200 მეტრზე მაიკლ ჯონსონის დამარცხებას გეგმავს..

**დავით გულუა**

# საქართველოს ნაკრებს ორი რამ სჭირდება: ავანტიურა და ტელევიზორი

*საქართველოს ეროვნული ნაკრების საევროპო მზადება დასკვნით სტადიაში შედის. დღეს საღამოს გუნდი ზღვისპირეთს დატოვებს და თბილისს მოაშურებს, ზეგ კი მოსკოვის გავლით დანიაში გაემგზავრება, სადაც ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ჩაებმება. 3 მაისიდან ნაკრები ბათუმში ვარჯიშობს. საწვრთნელმა პროცესმა, შეიძლება ითქვას, ულეგიონერებოდ ჩაიარა, სლოვენიურ „სლოვანში“ მოთამაშე ჩვენებურები — ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და დავით უგრეხელიძე გუშინწინ გვიან ღამითღა ჩავიდნენ ბათუმში, თურქულ „ულქერში“ მოთამაშე ზაზა ფაჩულია კი ჯერ არ გამოჩენილა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ გუშინ პირველად ნახა ლეგიონერები საქმეში. მის მიერ გამოძახებული 14 კანდიდატიდან ახლა უკვე 13 ჰყავს მწვრთნელს ადგილზე. გუშინ ტომარაძეს ბათუმში რომ დავუკავშირდით, ნაკრებს დილის ვარჯიში ის-ის იყო დაემთავრებინა. გუნდის თავკაცს თავდაპირველად ლეგიონერებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...*



გურამ [illegible] ფოტო

ზურაბ ტომარაძე

— ბიჭები ძალიან დაღალა მგზავრობამ, ოდნავ მოდუნებულები ჩანან, დასვენება აკლიათ, წესიერად გამოძინებაც ვერ მოასწრეს. სხვა მხრივ ნორმალურად გამოიყურებიან, გულიანად ივარჯიშეს, ვფიქრობ, ნელ-ნელა კიდევ უფრო მოუმატებენ.

**— ახლა, ალბათ, ძირითადად ტაქტიკურ წვრთნას გადიხართ, კომბინაციებს ამუშავებთ...**

— ფიზიკური მომზადებისთვის დრო ნამდვილად არ გვქონდა, რაც აქ ვართ, თითქმის სულ ტაქტიკაზე ვმეცადინეობთ. ახლა ლეგიონერებიც შემოგვიერთდნენ და შევეცდებით, დარჩენილი ორი-სამი ვარჯიში ბიჭების უკეთ შესათამაშებლად გამოვიყენოთ, კომბინაციებსაც უფრო დავხვეწთ.

**— ამ მიზნით ხომ არ ჯობდა, სპარინგ-მატჩები გაგემართათ?**

— ჩვენ რომ გვსურს, ისეთ მეტოქეს საქართველოში ვერ მოვიძიებთ, მაგრამ რას ვიზამთ, მცირედითაც უნდა დავკმაყოფილდეთ. თბილისში წამოსვლამდე „ბასკოს“ ვეთამაშებით, რომ ჩამოვალთ, „მაკაბისთან“ ვაპირებთ საკონტროლო მატჩის გამართვას. ეს შეხვედრები კიდევ უფრო კონკრეტულ წარმოდგენას შეგვიქმნის ამა თუ იმ კალათბურთელზე.

**— ზაზა ფაჩულიას საქმე როგორღაა, შეძლებს იგი საქართველოში ჩამოსვლას?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, ფაჩულიას საკითხზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი აწარმოებს „ულქერთან“ მოლაპარაკებას. მისი ბათუმში ჩამოყვანა გამოირიცხა, იქნებ თბილისში შემოგვიერთდეს, ან სულაც მოსკოვის აეროპორტში დაგვხვდეს.

**— გამოდის, რომ ფაჩულიას თორმეტ კაცში განაღდებული აქვს ადგილი...**

— მისი დიდი იმედი გვაქვს, ფარქვეშ სწორედ ფაჩულიას უნდა დავეყრდნოთ.

**— კი მაგრამ, თქვენ ხომ ფაქტობრივად არც კი გინახავთ მისი თამაში?**

— როგორ არა, „ულქერის“ ორ თამაშს ვუყურე ტელევიზორში ბურსას „თოფაშის“ წინააღმდეგ. ზაზა ამერიკელ რაშარდ გრიფიტს იჭერდა, ტოლი არაფერში დაუდო, ფარზე ძალიან კარგად იმუშავა, დაცვაშიც ჭკვიანურად მოქმედებდა.

**— თქვენი აზრით, ნაკრებში რომელი რგოლია ყველაზე სუსტი?**

— ყველგან დიდი პრობლემები გვაქვს, გუნდი გაძლიერებას ნებისმიერ ამპლუაში საჭიროებს.

**— ყველაფერი ხომ მაინც შედარებითია...**

— ძალიან გვიჭირს ცენტრზე, არანაკლებ უკანახაზში, ამის კვალობაზე ფორვარდები შედარებით უკეთ გამოიყურებიან. თუმც ვერ ვიტყვი, რომ ეს რგოლი იდეალურადაა დაბალანსებული.

**— ნიკა ცქიტიშვილს სად ათამაშებთ, ცენტრზე თუ თავდამსხმელად?**

— ცხადია, წინა ხაზში, ოღონდ ცენტრზე არა. ცქიტიშვილი ფიზიკურად არცთუ ძლიერია და ვფიქრობ, თავდამსხმელობას უკეთ გაართმევს თავს.

**— თუ გამოიკვეთა მოთამაშე, რომელიც გამთამაშებლის ფუნქციებს იკისრებს?**

— ჩემი აზრით გამთამაშებლობას სხვებზე უკეთ ირაკლი ხოშტარია და მამუკა აბრამიძე შეძლებენ.

**— ამათგან ერთიც რომ არ არის კლასიკური გამთამაშებელი?...**

— გეთანხმებით, ასეა, მაგრამ სხვა საშუალება არ არის, რა ვქნათ? სადღეისოდ ნაკრებს იმის ფუფუნება ნამდვილად არა აქვს, კლასიკური გამთამაშებელი ჰყავდეს, ამიტომ, შეტევაში ავანტიურულ თამაშს ვაპირებთ. გამორიცხული არაა, რომელიმე მაღალ კალათბურთელს დაეკისროს თამაშის წარმართვა, კონკრეტულ სიტუაციას გააჩნია.

**— საბოლოო, თორმეტკაციან შემადგენლობას როდის შევიტყობთ?**

— დანიაში წამსვლელთა ვინაობას თბილისში დავასახელებ, გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე.

გიორგი ბიკაშვილი

## იტალია

# რიცხვთა მაგია თუ უბრალო დამთხვევა?

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ფორტიტუდო** | **2** |
| **მიულერი** | **0** |

**მიულერი 66:70 ფორტიტუდო**

მიულერი: ბალოკი (17), ბერიჩი (19), შმიდტი (14), კამატა (8), ალბანო (4), ნობილე, არიგბაბუ (4), რომბალდონი

ფორტიტუდო: ფუჩკა (19), მაიერსი (16), ბაზილე (6), კარნიშოვასი (17), ვრანკოვიჩი (4), იარიჩი (2), გალანდა (6), პილუტი

პირველი ტაიმის დამთავრებისას ვერონელი გულშემატკივარი იმედიანად იყო: მისი „მიულერი“ 45:31 იგებდა და, თან, საგრძნობ სათამაშო უპირატესობასაც ფლობდა. განახლდა თუ არა თამაში, ამ იმედმა ნელ-ნელა კვდომა დაიწყო, რადგან ბოლონიის „ფორტიტუდომ“ მოსალოდნელზე მეტად გაამკაცრა დაცვა და „მიულერს“ სულ უფრო და უფრო გაუჭირდა ბურთების ჩაგდება. საბოლოოდ, ვერონელებმა მეორე ტაიმში 21 ქულა იკმარეს. ფორტიტუდოელებმა კი შეტევაში საქმე გამოასწორეს და კარლტონ მაიერსისა და არტურას კარნიშოვასის წყალობით სერიის მეორე მატჩიც მოიგეს. დიდი შანსია, ამ წყვილიდან იტალიის ჩემპიონატის ფინალში გასული, კვირას, ბოლონიაში გაირკვეს.

| | |
|---|---|
| **კინდერი** | **0** |
| **ბენეტონი** | **2** |

**ბენეტონი 78:59 კინდერი**

ბენეტონი: ედნი (16), პიტისი (11), შეპარდი, მარკონატო (15), დი სპალატრო, ნიკოლა (13), სანტოსი (3), ნეესი (6), ტრაინა, ბულერი

კინდერი: დანილოვიჩი (12), აბიო (21), ფროზინი (6), სკონოჩინი (4), ეკონომუ (2), რიგოდო (7), დ. ანდერსენი (4), მ. ანდერსენი (2), მი (1)

რა არის ეს — რიცხვთა მაგია თუ უბრალო დამთხვევა? 2000 წლის 29 იანვარს, იტალიის თასის ფინალში, ტრევიზოს „ბენეტონმა“ 78:59 მოუგო ბოლონიის „კინდერს“. იგივე ანგარიში დაფიქსირდა 2000 წლის 11 მაისს, ქვეყნის ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალის მეორე მატჩში. იტალიის თასის ფინალში, „ბენეტონმა“ პირველ ტაიმში 45 ქულა გააკეთა, იმდენივე, რამდენიც 11 მაისის მატჩში. ბენეტონელმა დენის მარკონატომ ორივე შეხვედრაში 15-15 ქულა შესძინა თავის გუნდს.

ამ მოვლენათა არსი სხვამ ამოიცნოს, ჩვენ კი ის დავსძინოთ, რომ „ბენეტონი“ ნაღდი საპლეიოფო გუნდია. გეხსომებათ, ტრევიზოელებმა არცთუ დამაჯერებლად, მესამე ადგილზე დაასრულეს რეგულარული ჩემპიონატი. პლეი ოფში კი გუნდი გარდაიქმნა და ერთიმეორის მიყოლებით დაიფრინა ყველა მეტოქე. ნახევარფინალში „ბენეტონი“ ჯერჯერობით იოლად, დიდი ძალდატანების გარეშე ამარცხებს ვარსკვლავებით დახუნძლულ „კინდერს“.

„ბენეტონის“ მწვრთნელი პიერლუიჯი ბუჩი თავისიანთა წარმატებას ამგვარად ხსნის: „ჩვენ გუნდურად ვთამაშობთ და ამიტომაც ვიგებთ. გასაგებია, რომ დღეს დენის მარკონატო შესანიშნავი და შეუჩერებელი იყო, მაგრამ დანარჩენებსაც ნუ დავუკარგავთ შრომას. ჩემი გუნდის ხუთმა მოთამაშემ ათზე მეტი ქულა გააკეთა. ფინალში ჯერ არ გავსულვართ, ერთი მატჩი კიდევ უნდა მოვიგოთ, რაც ძალიან ძნელი იქნება. თუმცა ამის მიღწევა გაცილებით იოლია, როცა სერიას 2:0 იგებ“.

მესამე მატჩი დღეს გაიმართება ბოლონიაში.

## ესპანეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ბარსელონა** | **1** |
| **ტაუ** | **0** |

**ბარსელონა 71:65 ტაუ**

ბარსელონა: როდრიგესი, გოლდვაიერი (10), დე ლა ფუენტე (7), ალსტონი (18), ელსონი (6), გუროვიჩი, დუენიასი (4), ნავარო (14), რენციასი (10), გასოლი (2)

ტაუ: კორჩიანი (2), გარბახოსა (7), ბენეტი (3), ფუარე (9), ესტელერი (14), ესპილი (3), მილზი (21), ობერტო (6)

| | |
|---|---|
| **რეალი** | |
| **ესტუდიანტესი** | |

**რეალი 83:73 ესტუდიანტესი**

რეალი: ა. ანგულო (17), სტრიულენსი ...
ჯორჯევიჩი (8), ლ. ანგულო (3), გა...
ლეა (6), ნუნიესი, ერეროსი (16), ბ...
(4), სკოტი (13), იტურბე

ესტუდიანტესი: მარტინესი (6), რობ...
(6), აისა (12), ხიმენესი (14), ვანდი...
(10), გარსია (4), აზოფრა (6), რეიესი ...

# მაშველები ნავარო 9, ალსტონი ...

„ბარსელონა“ შორსაა კარგი სათამაშო ფორმისგან, ისეთისგან, ამ დიდი გუნდის ძლიერებას და ტრადიციას რომ ეკადრება. ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ განცდილი ფიასკო, ქვეყნის ჩემპიონატის პლეი ოფის მეოთხედფინალში მალაგის „უნიკახას“ ძლივს დამარცხება — ყველაფერი ამის დასტურია.

„ბარსელონა“ ნახევარფინალის პირველ მატჩსაც აგებდა. ვიტორიას „ტაუ“ თავიდან კარგად თამაშობდა და სახელოვან მეტოქეს დიდ პრობლემებს უქმნიდა. ბარსელონელი კალათბურთელები არეულნი იყვნენ და ხეირიანად ვერ ისროდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს „ბარსას“ მწვრთნელმა აიტო გარსია რენესესმა 20 წლის ხუან კარლოს ნავარო შეუშვა მოედანზე, რომელმაც ზედიზედ ცხრა ქულა გააკეთა და შესვენებისთვის მნიშვნელოვნად შეამცირა თავის გუნდის ჩამორჩენა — 30:33.

მეორე ტაიმში კვლავ „ტაუმ“ იმძლავრა. დიდებული იყო „ბარსელონადან“ ვიტორიელთა რიგებში წლეულს გადასული როჯერ ესტელერი. მას შერონ მილზიც აჰყვა და დამთავრებამდე სამი წუთით ადრე „ტაუ“ ათი ქულით დაწინაურდა.

თითქოსდა უიმედო სიტუაციაში მასპინძლები ამერიკელმა დერიკ ალსტონმა გადაარჩინა. ამ 210-სანტიმეტრიანმა ფორვარდმა რვა ქულა გააკეთა დროის იმ მცირე მონაკვეთში, რომელიც „ბარსელონამ“ 12:0 მოიგო. „ტაუ“ გატყდა და ხელიდან გაუშვა ნახევარფინალურ სერიაში დაწინაურების შანსი.

მეტოქეებს დაცვისთვის განსა...
რებული ყურადღება არ მიუქცევ...
და ერთთავად შეტევაზე გადაერთ...
ამ საქმეში კი „რეალმა“ უფრო ი...
ჩალა და ამიტომაც დაწინაურდა ...
რიაში, რომელიც, ამავდროულად ...
დრიდული დერბი გახლავთ.

პირველ ტაიმში თამაში მეტ-ნ...
ლებად თანაბარი იყო. ჩაგდებულ ს...
ლათა პროცენტი ორივე გუნდის ...
რიდან საკმაოდ მაღალი იყო. „ეს...
დიანტესმა“ ერთხანს შვიდქულ...
უპირატესობა მოიპოვა (27:20), მაგ...
მეტის მიღწევა ველარ შეძლო. „რ...
ლის“ ლიდერმა და შესანიშნავმა ...
იპერმა ალბერტო ეჩეროსმა თანგ...
ნდელებს მაგალითი მისცა და პირ...
ლი ტაიმის ბოლოს ხუთი ქულით უ...
სამეფო კლუბი იყო წინ — 46:41.

მეორე ტაიმში „რეალმა“ კიდ...
უფრო გაზარდა უპირატესობა, რაც ...
ლგიელი ერიკ სტრიულენსის, ამ...
კელი ბრენტ სკოტის და ალბერ...
ანგულოს დამსახურება იყო. ჩრდილ...
მოექცა იუგოსლავიელი გამთამაშ...
ლი ალექსანდრ ჯორჯევიჩი, თუ...
მისი ოსტატობა ამჯერად საჭირო ...

„რეალს“ დანაკლისიც აქვს — ფ...
რვარდმა იკერ იტურბემ მხოლოდ ...
მი წუთი ითამაშა და მარცხენა ...
ხლი დაიზიანა. ტრავმა სერიოზულ...
იმდენად, რომ შესაძლოა სეზონის ...
რჩენილი მატჩები გამოატოვებინოს ...
ლათბურთელს. სერიის მეორე მატ...
დღეს გაიმართება. ცხადია, მადრიდ...
ოღონდ კვლავ „რეალის“ მოედანზ...

## თურქეთი

# ყველა ეფესის სასარგებლოდ შეცდ...

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ეფესი** | **3** |
| **ბეშიქთაში** | **1** |

**ეფესი 75:69 ბეშიქთაში**

ეფესი: მულაომეროვიჩი (19), თურქოღლუ (4), ონანი (2), ქუთლუაი (22), ჰ. ბეშოქი (18), ვინსლოუ (6), დრობნიაკი (4)

ბეშიქთაში: გიულერი (10), ფ. ბეშოქი (16), ბლექველი (17), ელი (12), თამსოზი (2), აიდინი (2), პრაშკევიჩუსი (10)

თურქეთის ჩემპიონატის პირველი ფინალისტი გაირკვა. მოლოდინისამებრ, ეს უფლება სტამბოლის „ეფესმა“ მოიპოვა. გამარჯვება კი იოლად არ მოსულა — თანაქალაქელმა „ბეშიქთაშმა“ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტს. მეტიც, ბოლო წუთებზე ბეშიქთაშელებს და მსაჯებს სერიოზული შეცდომები რომ არ დაეშვათ, ამ სერიაში ანგარიში გათანაბრდებოდა. დარჩებოდა გადამწყვეტი მატჩი, რომელიც „ბეშიქთაშის“ დარბაზში გაიმართებოდა. იქ კი, ვინ იცის...

დღეს კი ყველამ იცის, რომ „ეფესი“ ფინალშია. იბრაჰიმ ქუთლუაის მიერ ბოლო წუთებზე ჩაგდებულმა ორმა სამქულიანმა „ბეშიქთაშს“ ყველაფრის ხალისი დაუკარგა...

პირველ ტაიმში „ბეშიქთაში“ უკეთ გამოიყურებოდა, გუნდს კომბინაციური თამაში გამოსდიოდა, მაშინ, როცა „ეფესი“ მხოლოდ ხორვატი დამირ მულაომეროვიჩის სამქულიანებით და ჰუსეინ ბეშოქის ფარქვეშ გაბატონებით თუ მოიწონებდა თავს. ბეშიქთაშელთა უპირატესობამ ერთხანს რვა ქულასაც უწია, მაგრამ შესვენებისთვის სამ ქულამდე შემცირდა, რადგან ქუთლუ...
და მულაომეროვიჩმა წამიერად დამ...
ვიდებულ მეტოქეს ზედიზედ ჩაუგ...

მეორე ტაიმში „ბეშიქთაშმა“ ოღნ...
შეზღუდა ჰუსეინ ბეშოქის ფარქვ...
თარეში, რაც ამერიკელ ელის და ლ...
ტველ პრაშკევიჩუსს ბევრ პერსონ...
ლურ ჯარიმად დაუჯდათ. ელი 30...
წუთზე გავარდა, ხოლო პრაშკევიჩ...
სმა მატჩის უდიდესი ნაწილი ოთ...
პერსონალურით ითამაშა. „ეფესმა“ ...
ლე იგდო ხელთ ლიდერობა, თუმ...
„ბეშიქთაშმა“ გაიბრძოლა და ფარ...
ბეშოქის და მურათჯან გიულერის წ...
ლობით წონასწორობა აღდგა.

ბოლო წუთებში ბეშიქთაშელებმა ...
მჯერ დაუფარეს მეტოქეს და სწრ...
ფი კონტრშეტევის საშუალება მ...
ცათ. ამერიკელმა გამთამაშებელმა ჯ...
იმს ბლექველმა შეტევის სწორად გ...
გრძელება ვერცერთხელ ვერ შეძლ...
— ბურთი დროულად ვერ მიჰქონ...
მეტოქის ფარამდე. ეფესელები დაცვ...
ჩასვლას ასწრებდნენ, „ბეშიქთაში“ ...
სამქულიანების სროლაზე უკეთესს ...
რაფერს ახერხებდა: გიულერი, ბეშ...
ქი და ბლექველი მორიგეობით ...
ლებდნენ. მერე ქუთლუაიმ პირველ...
სამქულიანი ჩააგდო. „ბეშიქთაშმა“ ...
ინც მოახერხა სხვაობის ერთ ქულ...
მდე შემცირება. „ეფესის“ შეტევის...
იატაკზე გაგორებული ბურთისთვ...
გიულერი და ჰუსეინ ბეშოქი შეიბ...
ბურთი აუტში გავიდა, ოღონდ ...
უკანასკნელად ბეშოქი შეეხო. მსაჯ...
„ეფესს“ განაახლებინა თამაში, რ...
შემდეგაც ქუთლუაიმ მეორე და მი...
გუნდის ფინალში გასვლის მომსწ...
ვებელი სამქულიანი ჩააგდო.

გიო აზვლედიანის

სვეტი

# შაკ

თქვენს პატივისმცემელ მესვე-
ტეს დღეს განუზრახავს გაგესა-
ბროთ იმ ცენტნერნახევრიან მთა-
კაცზე, რომელსაც ამ კვირის და-
საწყისში ეროვნული საკალათბუ-
რთო ასოციაციის უძვირფასესი
მოთამაშის ტიტული მიანიჭეს.

ამის გადამწყვეტი მესვეტე დი-
ახაც ჩახედავს ინტერნეტის „ლე-
გენდარულ“ საიტებს, მაგრამ ტი-
ტულოსანი მთაკაცის უკეთ შე-
საცნობად თავის შავ-თეთრ სპო-
რტულ ფეხსაცმელსაც დახედავს.
ყანწზე ამოიცნობს გამარჯვებულს,
რომელიც ბურთის კალათში ჩა-
ტენვის პროცესშია გამოხატული.
ლოჯზე ამ მთაკაცისავ გაცინებულ
ფოტოგრაფიას იპოვნის, ქუსლთან
კი უშველებელ ნომერსაც აღმო-
აჩენს: „34“.

მოკლედ, მესვეტის სპორტულ
ფეხსაცმელს „შაკი“ ჰქვია.

სხვანაირად კი, შაკილ ონილი,
„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“, №34,
ცენტრი.

და ერთ რომელსამე კავკასი-
ურ ქალაქში მისი სახელობის სპო-
რტული სამოსი... ეს იქეთ იყოს,
წლევანდელმა უძვირფასესმა ასო-
ციაციაში გამოჩენისთანავე დაი-
მკვიდრა ადგილი ამერიკულ (და
შესაბამისად მსოფლიო) საზოგა-
დოებრივ ფოლკლორში.

ის რეპიო, ეს მულტფილმებიო,
მთაკაცობაო, ბავშვებთან მეგობ-
რობაო, მერე რა რომ ჯარიმებს
ვერ ძვრიდა კარგად. შაკილ ონილი
ადრევე შეიქნა გამორჩეულ ცე-
ნტრად, ძალისმიერების სიმბოლოდ.
წორხაზოვანი და მონდომებული,
აგრესიული და სახელოვანი წლე-
ულსაა შეიქნა უძვირფასესად. 90-
იან წლებში შაკს უკეთესი მაჩვე-
ნებლები ჰქონდა. ხომ ცნობილია
რას ნიშნავს სტაბილური სტატი-
სტიკა ენბიეის კალათბურთში? მა-
გრამ 90-იან წლებში უძვირფასე-
სად აღიარებდნენ ჯორდანს, მე-
ლოუნსა და ბარკლის. ამათთან თუ-
ნდაც ყველაზე ძალმოსილი ყმაწვი-
ლის შედარებაც კი უაზრო იყო.

ეჰ, ჩაქრა ის 90-იანი წლების
ერთდაგვარი სიდიადე, ისე, რო-
გორც თავის დროზე 80-იანებისა.
ვინ იცის, ეგებ შაკილ ონილი ყვე-
ლაზე უკეთ გამოხატავს თამაშის
იმ სტილსა და მიმდინარეობას, ენ-
ბიეიში რომ გამეფებულა.

მერე რა, რომ ამისთვის შაკილ
ონილმა რვა წელიწადს იცადა?
121 დამსახელებლიდან 120-მა მას
მისცა ხმა. რაღა თქმა უნდა, ვე-
რანაირი ხმა ვერ გაატოლებს შაკს
90-იანების უძვირფასესებთან. უბ-
რალოდ, მისი აღიარება გვახსე-
ნებს — დღეს კალათბურთი ასეთია.

სადაც აქ, კავკასიის ერთ რო-
მელსამე დავიწყებულ ქალაქში,
მავან მესვეტეს აცვია „შაკები“, იქ
ერთი უძვირფასესობაც უნდა გა-
მოხატავდეს შაკილ ონილის ფო-
ლკლორიდან კალათბურთის ოფი-
ციალურ ლიდერებში გადაბარ-
გებას.

## პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# საბონისის ჯერი

**დასავლეთი**

11 მაისი

| | |
|---|---|
| **პორტლენდი** | **3** |
| **იუტა** | **0** |

**იუტა 84:103 პორტლენდი**

**იუტა:** სტოქტონი (4 ქულა, 12 პასი), ჰორნაჩეკი (24), რასელი (18), მელოუნი (28 ქულა, 11 მოხსნა), პოლინაისი (8); გილიამი (2), ეისლი, ლუისი, ოსტერტაგი.
**პორტლენდი:** სტუდემაიერი (4), სმიტი (21), პიპენი (4), ვოლესი (17), საბონისი (22); ველსი (19), შრემპფი (9), ენტონი (6), გრანტი (1), ონილი.

სერიის მოგებას და შემდეგ წრეში გასვლას ვინლა ჩივის, „იუტა ჯაზს“ ერთი კინკილა გამარჯვებაც სანატრელი გახდომია. ახლა სოლტ ლეიკ სიტიში მეოთხე თამაშისთვის გამწარებით ემზადებიან, ერთგვარ რევანშის აღებას აპირებენ სერიის წაგების წინ, მაგრამ რამდენად სარწმუნოა ეს, როცა „იუტა“ ფაქტობრივად ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევს „პორტლენდს“ მან ხომ სამივე თამაში 18-19 ქულის სხვაობით დათმო. ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი ასე არ უნდა აგებდეს. ახლა იუტელები ამ მარცხებს იმით ხსნიან, შემადგენლობა არა გვყავს „პორტლენდივით“ ძლიერი და თანაბარი, ვერც ასაკი გვიწყობს ხელს და „სიეტლმა“ სულ არაქათი გაგვაცალა, თამაშებიც ისე ახლო-ახლო დანიშნეს, სული ველარ მოგვითქვამსო, მაგრამ წუწუნი და თავის მართლება წაგებულ საქმეს რას უშველის. წაგებასთან ერთად მოგებაც უნდა შეგეძლოს, მაგრამ ასოციაციის ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, გუნდი პლეი ოფში 0:3 აგებდეს და სერია მოეგოს. კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის საჩემპიონო ოცნება წლიდან წლამდე ოცნებად რჩება და უფრო და უფრო ხუნდება. მართალია, მელოუნი ლამის რკინის კაცია, თორმეტი სეზონია, ორ-ორი ათას ქულას აგროვებს, მაგრამ აი, ის და მისი გუნდი ზედიზედ მეორედ მარცხდება „პორტლენდთან“, ახლაც მეორე წრეში. სტოქტონი კი... სამი-ოთხი თამაშიდან ერთს რომ კარგად ითამაშებს და დანარჩენებს ჩააგდებ, ჩემპიონი ვერ გახდები.

„პორტლენდს“ კი ჰყავს ხალხი, რომელთაგან ერთ თამაშს პიპენი მოიგებს, მეორეს — საბონისი, მესამეს — ვოლესი, მეოთხეს კი სულაც ვიღაც ბონზი ველსი. ეს უკანასკნელი სულაც უსახური კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციიდან მოხვდა ნბა-ში.

11 აპრილს არვიდას საბონისის ჯერი იყო. ამ უნიჭიერესმა, ახალგაზრდობაში ტრავმებით დატანჯულმა კაცმა შავი დღე აყარა იუტელ ცენტრებს — ოლდენ პოლინაისს და გრეგ ოსტერტაგს. ამათგან პოლინაისი უკეთესია, მას ლიტველმა მალევე მიაღებინა ექვსი პერსონალური ჯარიმა და მოედნიდან გაისტუმრა. გრეგ ოსტერტაგს კი ქულაც არ ჩააგდებინა. სამაგიეროდ, საბონისი დიდებულად ირჯებოდა შეტევაში, ბურთს ბურთზე აგდებდა და ქულებიც მოიხვეჭა. როცა ლიტველს ჰკითხეს, თქვენ იშვიათად აგდებთ ამდენ ქულას და ახლა რა დაგემართათო, უპასუხა გახსნილი ვიყავი, ხელს ვერავინ მიშლიდა და აბა, სხვას რას ვიზამდიო.

„იუტამ“ თამაშს უზარმაზარი ენერგია დაახარჯა და სამი მეოთხედის შემდეგ თითქოს არც ისე უსაშველოდ ჰქონდა საქმე. მასპინძლები ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ ხუთი ქულის სხვაობით აგებდნენ, მაგრამ აქ დამაშვრალ „ჯაზს“ ბონზი ველსი მოევლინა რისხვად. მისი აქტიურობის წყალობით სხვაობა ხუთიდან ცხრამეტ ქულამდე გაიზარდა. მელოუნს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა, ბოლო თორმეტ წუთში სულ ორი ქულა ჩააგდო. თავად ველსს კი ამ პერიოდში ათი ქულა მოუგროვდა.

ამასობაში სკოტი პიპენს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. ცხადია, არც იყო ამის დიდი აუცილებლობა. პიპენმა თამაში მაინც კმაყოფილმა დასტოვა. ერთი, რომ მისმა გუნდმა თითქმის გაინაღდა კონფერენციის ფინალის საგზური. თან პიპენს პლეი ოფებში 190 თამაში დაუგროვდა და სულ ერთი აკლია, რომ ამ მხრივ მესამეადგილოსან ლეგენდარულ მეჯიქ ჯონსონს წამოეწიოს.

სერიის მეოთხე თამაშს „იუტას“ მშობლიური ქალაქი სოლტ ლეიკ სიტი 14 მაისს უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ახალბედათა ტიტული ორად გაიყო



ელტონ ბრენდი



სტივ ფრენსისი

11 მაისს ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 1999-2000 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა დაასახელა. ასეთი კი ერთბაშად ორია — „ჩიკაგო ბულზის“ თავდამსხმელი ელტონ ბრენდი და „ჰიუსტონ როკიტსის“ გამთამაშებელი სტივ ფრენსისი. თითოეულმა მათგანმა 121 შესაძლებლიდან 58-58 ხმა მიიღო. დანარჩენი 5 ხმა კლიპერსელ ლამარ ოდომსა (3) და კლივლენდელ ანდრე მილერზე (2) განაწილდა. ეს მესამე შემთხვევაა ასოციაციის ისტორიაში, როცა წლის ახალბედად ყოფნის პატივი ორ კაცს ერგო. პირველად ეს შორეულ 1971 წელს მოხდა — დეივ კოუენსმა და ჯეფ პეტრიმ ერთად იმარჯვეს, მეორედ კი, 1995 წელს, გრანტ ჰილი და ჯეისონ კიდი შეწყვილდნენ. წლევანდელი გამოკითხვის გამარჯვებულებს კარგი სადებიუტო სეზონი ჰქონდათ, ორივე სამ-სამჯერ გახდა თვის საუკეთესო ახალბედა: ბრენდი იანვარში, თებერვალსა და აპრილში (ფრენსისთან ერთად), ხოლო ფრენსისი — აპრილში, დეკემბერსა და მარტში. ასე რომ, მათი აღიარება მოულოდნელი არ ყოფილა. ისინი დაჯილდოების ცერემონიალზეც ერთად გამოცხადდნენ და ერთმანეთს გულითადად მიულოცეს ეს წარმატება.

„ჩიკაგო ბულზის“ გენერალურ მენეჯერ ჯერი კრაუზის სეზონის წინ ბევრის აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან 1999 წლის დრაფტში პირველ ნომრად ელტონ ბრენდი აიყვანა: ეს ყმაწვილი, მართალია, სტუდენტური კალათბურთის ბოლო სეზონის საუკეთესო მოთამაშეა, მაგრამ ნბა-ში გაუჭირდება, რადგან თავდამსხმელის ამპლუისთვის ერთობ დაბალია (203 სანტიმეტრი), ხოლო სიმაღლის კვალობაზე საკმაოდ მოუქნელიო. მაგრამ ახლა, სეზონის შემდეგ, კრაუზე კრიტიკოსებს ნიშნს უგებს. ბრენდმა სრულიად გაამართლა, იგი გვარიანად მოსუსტებული „ჩიკაგოს“ ერთპიროვნულ ლიდერად იქცა. მისი შედეგიანობაა საშუალოდ მატჩში 20,1 ქულა, 10 მოხსნა და 1,63 დაფარება. ელტონი სამივე კომპონენტში პირველია ახალბედებს შორის. ამასთან, მისი 20,1 ქულა მთლიანად ლიგაში მე-19 შედეგია, 10 მოხსნა კი — სულაც მე-7. ბრენდის ბენეფისად იქცა 13 აპრილს გამართული მატჩი „ვაშინგტონთან“, კლუბთან, რომლის პრეზიდენტიც „ჩიკაგოს“ ძველი ლიდერი მაიკლ ჯორდანი გახლავთ. ამ თამაშში მან 44 ქულასა და 12 მოხსნას მოუყარა თავი. აღსანიშნავია, რომ ჯორდანისა და ბრენდის გარდა არც ერთი ჩიკაგოელი არ დაუსახელებიათ სეზონის ახალბედად. „ელტონი შესანიშნავი ბიჭია. იგი კიდევ დიდხანს ითამაშებს ჩვენთან“ — ამბობს ჯერი კრაუზე, რომელიც 90-იან წლებში ექვსგზის გამარჯვებული „ჩიკაგოს“ აღმშენებელია. ახლა იგი ახალი დიდი „ჩიკაგოს“ შექმნას აპირებს, რასაც საფუძვლად სწორედ ბრენდი უნდა დაედოს.

ვილ პერდიუ, ბრენდის თანაგუნდელი, ვეტერანი ცენტრი: „ხშირად მსმენია, რომ ისეთ ცუდ გუნდში, როგორიც „ჩიკაგოა“, ყველა მოაგროვებს 20 ქულა და 10 მოხსნას და ბრენდი სხვა ახალბედების — ფრენსისისა და ოდომისგან განსხვავებით, აღარ გაიზრდება. არ უარვყოფ, რომ ოდომი და ფრენსისი მომავლის მოთამაშეები არიან, მაგრამ იმის თქმა, რომ ელტონის შესაძლებლობები აქ მთავრდება, ნამდვილი სისულელეა. ბრენდი ძლიერია ორივე ფარზე, განსაკუთრებით დაცვაში და შეუძლია, ფარისგან მოშორებით ჩაკეტოს დაბალი კალათბურთელები. სამომავლოდ იგი გამოცდილებასაც შეიძენს და დარწმუნებული ვარ, ღირსეულ ადგილს დაიჭერს ლიგის წამყვან მოთამაშეებს შორის“.

ბრენდზე დიდი ხმაურით მივიდა ლიგაში სტივ ფრენსისი. იგი მეორე ნომრად კანადურმა „ვანკუვერ გრიზლიზმა“ აიყვანა. ამ ცივ, „ნბა-ს ციმბირად“ წოდებულ ქალაქსა და უხეირო გუნდში გაჩერება ფრენსისმა არ ისურვა და იმდენი ქნა, „ჰიუსტონში“ გადავიდა. „ჰიუსტონი“ ფრენსისის სანაცვლოდ სასტარტო ხუთეულის ორ წევრს — ოთელა ჰარინგტონსა და მაიკლ დიკერსონს შეელია (სულ ამ გაცვლაში 11 კაცი მონაწილეობდა და სხვათა ხსენება არ ღირს). ამით „ჰიუსტონმა“ ნამდვილად მოიგო. „ბებერი მგლების“ — ჰაკიმ ოლაჯუონისა და ჩარლზ ბარკლის ტრავმების შემდეგ ფრენსისი „რაკეტების“ ლიდერად იქცა. მისი საშუალო მონაგარია 18,1 ქულა (მეორე შედეგი ახალბედებში, პირველი გუნდში), 6,6 პასი (პირველი შედეგი ახალბედებში). 5,2 მოხსნა და 1,53 ჩაჭრა. იმავდროულად, ლიგის ისტორიაში ფრენსისი მხოლოდ მეშვიდე ახალბედაა, რომელსაც პირველ სეზონში მატჩში საშუალოდ 15 ქულაზე, 5 მოხსნასა და 5 პასზე მეტი გაუკეთებია. ამით იგი სახელოვანი ხალხის — ოსკარ რობერტსონის, ელვან ადამსის, მეჯიქ ჯონსონის, მაიკლ ჯორდანის, ანფერნი ჰარდევეისა და გრანტ ჰილის მარაქაში გაერია. ახლა ფრენსისი „ჰიუსტონის“ მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩის საყვარელი მოთამაშეა. ჭკვიანი დამრიგებელი და უდიდესი ნიჭი — აი, ორი რამ, რაც ფრენსისს თანდათან ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს უკანახაზელად აქცევს.

**ივანე ქობიაშვილი**



# რუსეთში, კაცურად

*როცა ახალგაზრდა ქართველ წყალბურთელთა ნაკრები „ლაგუნა-ვერეზე“ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ მიიწევდა, ჭაბუკები რუსეთის ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავეს. იმ დღეებში სოსო მაისურაძეს დიდი ჯაფა დაადგა. იგი ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელია და თბილისი-მოსკოვის გზაზე ბევრიც იმოგზაურა. ჯერ ახალგაზრდული ნაკრებს ამზადებდა, მერე ჭაბუკთა პლეი ოფზე მოსკოვს გაფრინდა და ნაკრები ფინალში გაიყვანა.*

*ახალგაზრდულ ნაკრებზე ამ დღეებში საკმაოდ ვწერეთ, ჭაბუკებზე კი ვერა, ამიტომ სოსო მაისურაძესთან საუბრის თემაც სწორედ ჭაბუკთა ნაკრები გახლდათ.*

**— ჭაბუკთა ნაკრებს პლეი ოფიდან შეუერთდით. ვინ იყო მეტოქე, როგორ წარიმართა შეხვედრა?**

— პლეი ოფამდე რვაგუნდიან ფინალურ ჯგუფში გავიმარჯვეთ და ნახევარფინალში მეოთხეადგილოსან მოსკოვის ცსკ-ს შევხვდით, მეორე წყვილი კი მოსკოვური გუნდების — „ბურევესტნიკისა“ და „შრომითი რეზერვებისა“ იყო. ნახევარფინალში 9:5 მოვიგეთ, ფინალში კი, რომელსაც მე არ დავსწრებივარ, „ბურევესტნიკს“ შევხვდით და 4:5 წავაგეთ. თამაშის დაძაბულობაზე ანგარიშიც მეტყველებს.

**— ფინალურ ეტაპამდე როგორ მიხვედით?**

— ჯერ ვოლგოგრადში ვითამაშეთ შესარჩევი ეტაპი. იქ სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ „შრომითმა რეზერვებმა“ გაგვიწია, რომელსაც ქართველი, კოტე ჭიჭინაძე წვრთნის. 3:6 ვაგებდით, მაგრამ 8:6 მოვიგეთ. დანარჩენი მეტოქენი იოლად დავამარცხეთ და ცხადია გავიმარჯვეთ. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი ძერჟინსკში ჩატარდა. იქაც მხოლოდ ერთხელ, მოსკოვის „იუნოსტთან“ გაგვიჭირდა, თუმცა ორი ბურთით მაინც მოვიგეთ. მერე სხვებიც ზედ მივაყოლეთ და კვლავ გავიმარჯვეთ. მოკლედ, ფინალში წაუგებლად გავედით. თავი არც იქ შეგვირცხვენია. ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, სამწუხაროა, თუმც გუნდის დიდი პოტენციალიც ცხადად გამოჩნდა.

**— ახლა გუნდი გაგვაცანით ამპლუების მიხედვით.**

— ორი მეკარე გვყავს — ლადო გურგენიძე და ზურაბ ჭუმბურიძე. ორივემ კარგად ითამაშა და მადლობის მეტი რა მეთქმის. ძირითადი გურგენიძეა, რომელმაც კარგი რეაქცია და სისწრაფე გამოავლინა. ის კრიტიკულ მომენტებში კარგად თამაშობდა.

სანდრო შარაშიძე, თამაზ მანძულაშვილი და ილია ბუტიკაშვილი დაცვის ბურჯები არიან. მათი დამსახურებაა, რომ ყველაზე ცოტა ბურთი გავუშვით. შარაშიძე რამდენიმე თვის გადმოსულია „მართვე-ნეპტუნიდან“ „ლაგუნა-ვერეში“, რომლის ბაზაზეც იყო დაკომპლექტებული ნაკრები, მაგრამ ძირითადი მცველის ფუნქციების შესრულება უკვე დაიმსახურა. იმავე კლუბიდან შემოგვიერთდა გაგა ჩხეიძე, ხოლო გიორგი ჩუბინიძე „მართვე-ნეპტუნიდან“ წავიყვანეთ ნაკრებში. სამივე ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა, რაც კლუბის კარგ მუშაობაზე მეტყველებს.

შუა ხაზში ბექა ჩიგოგიძე, დავით კალანდაძე და ზურაბ რურუა თამაშობენ. რურუა სხვებზე სამი წლით უმცროსია, მაგრამ მათ არაფერში ჩამორჩება. აქვეა ჩუბინიძე და ავთანდილ ბაზაძე. თავდასხმაში კი ჩხეიძე, გურამ კოტარია და ირაკლი ბაზაძე თამაშობენ. ლადო გულორდავასა და ლევან კვარაცხელიას კი იქ გამოვიყენებთ, სადაც დაგვჭირდება. ყველა პოზიციაზე თამაშობენ. ამ გუნდის სიძლიერე რუსმა სპეციალისტებმაც აღიარეს და თქვეს, მაგ ნაკრებს ჩვენს გუნდზე ძლიერების დამარცხებაც შეუძლიაო.

**ირაკლი თაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. 33-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ულმი-ვოლფსბურგი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 002 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტ. | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 003 | მიუნხენ 1860-ჰერტა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 004 | ჰამბურგი-უნტერჰახინგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 005 | დორტმუნდი-შალკე | 1,65 | 3,1 | 4,4 |
| 006 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 007 | ლევერკუზენი-აინტრახტი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 008 | ჰანზა-შტუტგარტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 009 | არმინია-ბაიერნი | 6,0 | 3,8 | 1,35 |
| 010 | ვერდერი-დუისბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 011 | ვერდერი-დუისბურგი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 2,7 | 2,6 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. 31-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | კიკერსი-ნიურნბერგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | მიონხენგლადბახი-ოფენბახი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 016 | მიონხენგლად.-ოფენბახი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 017 | კოტბუსი-ვალდჰოფი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 018 | კიოლნი-კარლსრუე | 1,2 | 4,0 | 5,0 |
| 019 | ფიურტი-ქემნიცი | 1,8 | 2,5 | 5,0 |

15 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ბოხუმი-მაინცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

ინგლისი. პრემიერლიგა. 38-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 022 | ბრედფორდი-ლივერპული | 3,2 | 3,2 | 1,9 |
| 023 | წელსი-დერბი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 024 | წელსი-დერბი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 025 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 026 | ნიუკასლი-არსენალი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 027 | უენსდი-ლესტერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 028 | საუთჰემპტონი-უიმბლდონი | 2,4 | 3,4 | 2,2 |
| 029 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 030 | უოტფორდი-ქოვენტრი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 031 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 3,3 | 3,0 | 2,1 |

ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 032 | ბირმინგემი-ბარნსლი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 033 | ბოლტონი-იფსვიჩი ($17^{00}$) | 2,0 | 3,2 | 3,3 |

ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 034 | მილუოლი-უიგანი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 035 | სტოკი-ჯილინგემი | 1,9 | 3,1 | 3,4 |

ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 036 | ბარნეტი-პიტერბრო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 037 | ჰარტლპული-დარლინგტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 038 | მონპელიე-ლიონი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 039 | ბასტია-ბორდო | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 040 | ლანსი-სტრასბური | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 041 | სენტ ეტიენი-მონაკო | 2,2 | 3,1 | 2,6 |
| 042 | სედანი-მარსელი | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 043 | ნანსი-ოსერი | 1,8 | 3,1 | 3,1 |
| 044 | რენი-მეცი | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| 045 | ტრუა-პსჟ | 3,0 | 1,8 | 3,0 |
| 046 | ლე ავრი-ნანტი | 3,4 | 3,4 | 1,6 |

იტალია. სერია "ა". 34-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 058 | ბარი-ბოლონია | 2,2 | 2,5 | 3,5 |
| 059 | კალიარი-ინტერი | 6,5 | 3,6 | 1,35 |
| 060 | ფიორენტინა-ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 061 | ფიორენტინა-ვენეცია | | | |
| | 0:1 | 1,6 | 3,0 | 3,5 |
| 062 | ლაციო-რეჯინა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 063 | მილანი-უდინეზე | 1,75 | 1,4 | 7,0 |
| 064 | პარმა-ლეჩე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 065 | პერუჯა-იუვენტუსი | 7,0 | 3,6 | 1,3 |
| 066 | ტორინო-პიაჩენცა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 067 | ვერონა-რომა | 2,8 | 2,2 | 2,9 |

იტალია. სერია "ბ". 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 069 | ატალანტა-ემპოლი | 1,5 | 2,7 | 8,0 |
| 070 | კოზენცა-ფჯერმანა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 071 | ჯენოა-ბრეშა | 2,5 | 2,3 | 3,4 |
| 072 | მონცა-ჩეზენა | 2,0 | 2,0 | 5,0 |
| 073 | ნაპოლი-ალძანო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 074 | ნაპოლი-ალძანო | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 075 | რავენა-კიევო | 2,1 | 1,6 | 5,3 |
| 076 | ტერნანა-სავოია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 077 | ტრევიზო-პისტოიეზე | 1,8 | 2,5 | 5,0 |

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 078 | ვიჩენცა-სალერნიტანა | 1,7 | 2,7 | 5,6 |

იტალია. სერია "ც1/ა". 34-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | ალბინოლეფე-კომო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 080 | კარარეზე-მოდენა | 1,4 | 2,9 | 5,0 |
| 081 | კრემონეზე-ლივორნო | 1,9 | 2,6 | 4,0 |
| 082 | ლეკო-ბრეშელო | 2,5 | 2,7 | 2,5 |
| 083 | მონტევარკი-ლუმეცანე | 2,4 | 1,8 | 3,0 |
| 084 | პიზა-ვარეზე | 1,8 | 2,4 | 5,0 |
| 085 | რეჯანა-სიენა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| 086 | სანდონა-ჩიტადელა | 1,8 | 2,9 | 3,0 |
| 087 | სპალ ლუკეზე | 3,0 | 2,5 | 2,2 |

იტალია. სერია "ც1/ბ". 34-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 088 | ასკოლი-ატლეტიკო | 1,5 | 1,8 | 8,0 |
| 089 | აველინო-ვიტერბეზე | 2,3 | 1,8 | 4,0 |
| 090 | ბენევენტო-არეცო | 2,8 | 1,8 | 3,2 |
| 091 | კატანია-დი სანგრო | 1,5 | 2,5 | 6,5 |
| 092 | კროტონე-ანკონა | [illegible] | 2,6 | |
| 093 | ჯულიანოვა-სტაბია | 2,3 | 1,8 | |
| 094 | ლოდიჯანი-ნოჩერინა | 1,4 | 2,9 | |
| 095 | მარსალა-გუალდო | 1,5 | 3,0 | |
| 096 | პალერმო-ფ.ანდრია | 1,35 | 3,3 | |

ესპანეთი. I დივიზიონი. 37-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 097 | ატლეტიკო-სევილია | 1,6 | 3,2 | |

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 098 | რაიო ვალეკანო-ოვიედო ($15^{00}$) | 1,9 | 3,3 | |
| 099 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,4 | 2,9 | |
| 100 | ალავესი-ნუმანსია | 1,4 | 3,5 | |
| 101 | ესპანიოლი-ბილბაო | 2,0 | 2,9 | |
| 102 | რასინგი-დეპორტივო | 3,4 | 2,9 | |
| 103 | სარაგოსა-მალაგა | 1,3 | 4,0 | |
| 104 | სელტა-ვალენსია | 2,5 | 3,0 | |
| 105 | სოსიედადი-ბარსელონა | 4,0 | 3,0 | |
| 106 | ბეტისი-რეალი | 3,0 | 3,3 | |

ესპანეთი. II დივიზიონი. 39-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 107 | ელჩე-კორდობა | 2,2 | 2,9 | |
| 108 | ეიბარი-ლას პალმასი | 2,6 | 2,8 | |
| 109 | ვილიარეალი-კომპოსტელა | 1,5 | 3,6 | |
| 110 | ალბასეტე-სალამანკა | 2,9 | 3,0 | |

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 111 | ხეტაფე-ლოგრონიესი ($14^{30}$) | 1,9 | 2,9 | |
| 112 | ლევანტე-ოსასუნა ($15^{00}$) | 2,3 | 3,0 | |
| 113 | ესტრემადურა-ტოლედო | 1,15 | 5,6 | |
| 114 | უელვა-მერიდა | 1,9 | 3,3 | |
| 115 | სპორტინგი-ატლეტიკო "ბ" | 1,4 | 3,8 | |
| 116 | სპორტინგი-ატლეტიკო "ბ" | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | |
| 117 | ტენერიფე-ლეგანესი | 1,7 | 3,0 | |
| 118 | ბადახოსი-ლეიდა | 2,5 | 2,8 | |

პორტუგალია. 34-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 119 | ბენფიკა-მარიტიმუ | 1,6 | 3,2 | |
| 120 | ამადორა-კამპომაიორენსე | 1,6 | 3,2 | |
| 121 | ბოავიშტა-ბრაგა | 1,5 | 3,4 | |
| 122 | ჟილ ვისენტე-პორტუ | 4,7 | 3,5 | |
| 123 | სალგეირუში-სპორტინგი | 4,7 | 3,5 | |
| 124 | ფარენსე-ბელენენსეში | 1,4 | 4,0 | |
| 125 | სეტუბალი-ლეირია | 1,4 | 4,0 | |
| 126 | რიუ ავე-ალვერკა | 1,7 | 3,3 | |
| 127 | სანტა კლარა-გიმარაეში | 2,9 | 3,0 | |

ჰოლანდია. 34-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 128 | დენ ბოსხი-სპარტა ($17^{30}$) | 1,6 | 3,6 | |
| 129 | კამბური-ვალვაიკი ($17^{30}$) | 1,5 | 3,8 | |
| 130 | გრააფსხაპი-ჰერენვენი ($17^{30}$) | 3,0 | 3,2 | |
| 131 | მაასტრიხტი-ტილბურგი ($17^{30}$) | 1,6 | 3,6 | |
| 132 | პსვ-ნაიმეგენი ($17^{30}$) | 1,3 | 2,9 | |
| 133 | პსვ-ნაიმეგენი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,6 | |
| 134 | როდა-ალკმაარი ($17^{30}$) | 1,9 | 3,2 | |
| 135 | ფეიენოორდი-ტვენტე ($17^{30}$) | 1,45 | 3,5 | |
| 136 | უტრეხტი-აიაქსი ($17^{30}$) | 4,0 | 3,5 | |
| 137 | ვიტესი-სიტარდი ($17^{30}$) | 1,25 | 4,0 | |

საბერძნეთი. 32-ე ტური

13-15 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 138 | ტრიკალა-კალამატა | 2,3 | 3,0 | |
| 139 | იონიკოსი-არისი | 2,3 | 3,0 | |
| 140 | კავალა-აეკ | 4,2 | 3,2 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 141 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 142 | აპოლონი-პაოკ | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 143 | პანილიაკოსი-ქსანთი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 144 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 4,0 | 3,0 | 1,7 |
| 145 | ირაკლისი-პანაჰაიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 146 | პრუდეფტიკი-ეთნიკოსი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

ჩეხეთი. 29-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 147 | ოპავა-დუკლა | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 148 | ვიქტორია-იაბლონეცი | 2,3 | 3,0 | 2,0 |
| 149 | დრნოვიცე-ტეპლიცე | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 150 | სიგმა-სპარტა | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 151 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 152 | სლავია-ბუდეიოვიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 153 | ბლშანი-ბრნო | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 154 | ლიბერეცი-ბოჰემიანსი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 155 | ჰ.კრალოვე-ბანიკი | 2,7 | 3,0 | 2,1 |

პოლონეთი. 27-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 156 | რუხი-ზაგლებე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 157 | რუხი-ზაგლებე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 158 | სტომილი-ლეგია | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 159 | რაძიონკოვი-ვიძევი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 160 | ლკს-ლეხი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 161 | პოგონი-ოდრა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | 14 მაისი | | | |
| 162 | პოლონია-ამიკა ($17^{00}$) | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 163 | ვისლა-გურნიკი ($17^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 164 | ვისლა-გურნიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,4 |
| 165 | გროცლინი-პლოცკი | 1,7 | 2,9 | 4,2 |

თურქეთი. 33-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 172 | დენიზლი-გიოზთეფე | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 173 | ტრაბზონი-სამსუნი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | 14 მაისი | | | |
| 174 | ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 1,9 | 3,0 | 3,5 |

შოტლანდია. 35-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 175 | დანდი იუნ.-მოზერუელი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 176 | რეინჯერსი-ჰართსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 177 | რეინჯერსი-ჰართსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 178 | სენტ ჯონსტონი-სელტიკი | 4,0 | 3,0 | 1,75 |
| | 14 მაისი | | | |
| 179 | დანდი-ჰიბერნიანი | 2,1 | 3,0 | 3,0 |
| 180 | აბერდინი-კილმარნოკი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

ავსტრია. 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 183 | ტიროლი-რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 184 | ტიროლი-რიდი 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 185 | ლინცერი-ზალცბურგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 186 | ლუსტენაუ-აუსტრია | 4,0 | 3,0 | 1,6 |
| 187 | გრაცერი-შტურმი | 5,0 | 3,4 | 1,6 |

შვეიცარია. მე-10 ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | ქსამაქსი-ივერდონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 190 | ლუცერნი-სერვეტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 14 მაისი | | | |
| 191 | ლოზანა-გრასჰოპერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

დანია. 30-ე ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 193 | კოპენჰაგენი-ორჰუსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 194 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 195 | ესბიერგი-ჰერფიოლგე | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 196 | ოლბორგი-ვაილე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | 15 მაისი | | | |
| 197 | სილკებორგი-ბრიონდბიუ | 2,9 | 3,0 | 2,3 |

რუსეთი. მე-8 ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 199 | ლოკომოტივი-დინამო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 200 | კრილია-ნ.ნოვგოროდი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 201 | სპარტაკი-ანჟი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 202 | სპარტაკი-ანჟი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 203 | ფაკელი-როტორი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 204 | როსტსელმაში-ტორპედო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 205 | ალანია-ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 206 | ურალანი-სატურნი | 1,7 | 2,9 | 4,7 |

შვედეთი. მე-6 ტური

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 208 | გაის-სუნდსვალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 209 | ჰოკენი-ჰალმსტადი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | 15 მაისი | | | |
| 210 | ნორჩიოპინგი-ფრიოლუნდა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 211 | იორებრო-ჰელსინგბორგი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 212 | იორგრიტე-აიკ | 2,1 | 3,0 | 3,1 |

ნორვეგია. მე-7 ტური

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | ბოდიო გლიმტი-მიოლდე | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 214 | ბრინი-ბრანი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 215 | მოსი-სტაბეკი | 2,1 | 3,3 | 2,8 |
| 216 | ოდ გრენლანდი-ჰაუგესუნდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 217 | სტარტი-რუსენბორგი | 6,0 | 3,5 | 1,4 |
| 218 | ტრომსიო-ვიკინგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 219 | ვოლერენგა-ლილესტრიომი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

ბელგია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე)

14 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | სტანდარდი-გენკი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

კალათბურთი

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | ფილადელფია-ინდიანა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| | 14 მაისი | | | |
| 804 | ნიუ იორკი-მაიამი | | | |
| 805 | ფინიქსი-ლეიკერსი | | | |
| 806 | იუტა-პორტლენდი | | | |
| | 15 მაისი | | | |
| 807 | ინდიანა-ფილადელფია | | | |

ჰოკეი

13 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 808 | დალასი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| | 14 მაისი | | | |
| 809 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | 15 მაისი | | | |
| 810 | დალასი-კოლორადო | | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# დღეს ფორმულის დღეობაა

## ყველაზე: ძვირი, სახიფათო, სარფიანი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ნახევარი საუკუნის წინ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ავტოსპორტში ისტორიული ცვლილებები მოხდა. 1947 წელს ახალშექმნილმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) სარბოლო მანქანები ძრავის სიძლიერის მიხედვით კლასებად დაყო და თითოეულისთვის ცალკე ჩემპიონატის ჩატარებაც დაგეგმა.

უმაღლეს ჯგუფში, ანუ ფორმულა 1-ში ის ზემძლავრი ბოლიდები გაერთიანდა, რომელთა ძრავის მოცულობა შეადგენდა 4,5 ლიტრს ჩვეულებრივ, ხოლო ლიტრა-ნახევარს ტურბო, კომპრესორიან ვარიანტში.

წლების მანძილზე ძრავის ცილინდრების რაოდენობა და მოცულობა, აქედან გამომდინარე, სიმძლავრეც, არც თუ იშვიათად იზღუდებოდა FIA-ს ექსპერტების გამო. ეს კი არამარტო მრბოლების, არამედ მაყურებლების უსაფრთხოების მიზნითაც კეთდებოდა, რადგან რამდენჯერმე, მართვადაკარგული მანქანები ხალხში შეიჭრა და დიდი მსხვერპლიც გამოიწვია. სიჩქარის ზრდისკენ კონსტრუქტორთა მუდმივმა სწრაფვამ დროთა განმავლობაში ისეთ კრიტიკულ დონეს მიაღწია (ძრავების სიმძლავრე 1 000 ცხენისძალამდე ავიდა), რომ ფედერაციამ 1989 წლიდან საერთოდ აკრძალა ტურბოძრავების გამოყენება, მომდევნო წლებში კი კიდევ რამდენიმე ზეთანამედროვე გამოგონებასაც დაადო ტაბუ. ბოლო დროს განხორციელებული შეზღუდვებისა და ბოლიდების კონსტრუქციაში უამრავი სასიკეთო ცვლილების შედეგად, ფატალურ შემთხვევათა ალბათობა მინიმუმამდე შემცირდა.

მართალია, დღევანდელი ურჩხულების ძრავები „სულ რაღაც" 750-800 ცხენისძალიანებია, მოცულობა კი — 3 ლიტრი, ეს ხელს ვერ უშლის უზარმაზარი, 350 კმ/სთ სიჩქარე განავითარონ.

### დასაწყისი

ფორმულის ისტორიაში მუდამ გამორჩეულ თარიღად დარჩება 1950 წლის 13 მაისი. სწორედ იმ დღეს ლონდონიდან 130 კილომეტრის მოშორებით, სილვერსტოუნის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე, ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბის დიდი პრიზი გათამაშდა. ეს გახლდათ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის პირველი რბოლა. გასაკვირი კია, რაღა მაინცდამაინც დანავსული რიცხვი შეარჩიეს ორგანიზატორებმა, პილოტები ხომ მას ცეცხლივით უფრთხიან — მანქანას 13 ნომრით ვერსად ნახავთ.

ასე თუ ისე, სწორედ 13 მაისია სამეფო რბოლების დაბადების დღე. იმ უპირველესი, ზეისტორიული ეტაპის სტარტზე 21 ბოლიდი იდგა, მათ შორის არ იყო ენცო ფერარის ბედაურები, ისინი მეორე რბოლიდან ჩაებნენ გათამაშებაში. თითქმის ორსაათიანი ჯირითი, რომლის ფინიშამდე 12 მანქანამ მიაღწია, „ალფა რომეოს" ტრიუმფით დასრულდა — სამივე საპრიზო ადგილი ამ იტალიური საჯინიბოს წარმომადგენლებმა დაიკავეს. პირველი იყო 44 წლის ჯუზეპე „ნინო" ფარინა, შემდეგ ლუიჯი ფაჯიოლი და რეჯინალდ პარნელი. გამარჯვებულმა 329-კილომეტრიანი დისტანცია (4 700 მ. სიგრძის 70 წრე) 152, 98 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა. სინიორ „ნინოს" „ალფეტას" ტურბოძრავა 370 ცხენისძალისა იყო.

მას შემდეგ, 51 წლის მანძილზე 651 ეტაპი მოეწყო. რბოლების რიცხვით (17) წლევანდელი პირველობა სარეკორდოა, სადებიუტო ჩემპიონატის კალენდარში კი სულ 6 ევროპული და ერთიც ფორმულისგან ყოველმხრივ განსხვავებული (მანქანების ტიპით, დისტანციით) ინდიანაპოლისის ხუთასმილიანი რბოლა იყო. ამერიკული ეტაპი, რომელიც 11-ჯერ გაიმართა, მხოლოდ სიმბოლურად შედიოდა სამეფო რბოლების ჩათვლაში რადგან, ევროპელები სწორედ ბოლიდების კონსტრუქციული სხვაობის გამო არც ფიქრობდნენ ოკეანის გაღმა გასვლაზე და არც იანკები იწუხებდნენ თავს აქეთ სტუმრობით.

ახალ-ახალი ავტოდრომების აგების კვალობაზე ეტაპების რაოდენობაც რეგულარულად იზრდებოდა. იცვლებოდა ქულათა დარიცხვის სისტემაც. თავიდან, 50-იან წლებში, ჩათვლას საუკეთესო ხუთეული იღებდა შესაბამისად 8, 6, 4, 3 და 2 ქულას. ერთი ქულა იყო განკუთვნილი უსწრაფესი წრის გავლისთვის. 1961 წლიდან გამარჯვება ცხრაქულიანი გახდა, ის ერთი ქულა კი მეექვსეადგილოსნებისთვის გაიმეტეს. ბოლო ათი წელია, რაც მოგებას მეტი ფასი დაედო და უკვე 10 ქულა „ღირს".

651 რბოლის სტარტზე სულ 584 პილოტი გამოსულა 31 ქვეყნიდან (დაუმატეთ ამას 103 ამერიკელი მხოლოდ ინდი 500-ზე). ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ბრიტანეთს ჰყავს: გაერთიანებული სამეფოს ღირსებას 141 მრბოლი იცავდა და ღირსეულადაც — რვა მათგანმა ჯამში ჩემპიონის 12 ტიტული დაისაკუთრა. სულ კი სამეფო რბოლების 27გვირგვინოსანია.

ნახევარ საუკუნეში 25 ქვეყნის დიდი პრიზი გათამაშდა. მხოლოდ ორად ორი — ბრიტანული და იტალიური ეტაპებია, რომლებიც ერთხელაც არ გამცდარა. რაც შეეხება რბოლებს აშშ-ის ტერიტორიაზე, წინათ იქ ფორმულისადმი ინტერესი ისეთი დიდი იყო, რომ ზოგჯერ წელიწადში ორი, 1982 წელს კი ერთბაშად სამი (დეტროიტი, ლონგ ბიჩი, დალასი) დიდი პრიზის გათამაშებაც კი მოეწყო.

ყველაზე მეტ რბოლას (49) უმასპინძლა „მონცამ" — იტალიის დიდი პრიზის გათამაშება იქ მხოლოდ ერთხელ გაცდა. მონტე კარლოს „აქტივში" 46 ეტაპია, შემდეგ მოდის „სილვერსტოუნი" და „სპა" — 34-34, მათ ოთხი რბოლით ჩამორჩება ჰოლანდიური „ზანდვორტი".

| | რბოლა | ტრასა |
|---|---|---|
| 1. ბრიტანეთი | 51 | 3 |
| 2. იტალია | 50 | 2 |
| 3. საფრანგეთი | 49 | 7 |
| 4. გერმანია | 47 | 3 |
| 5. ბელგია | 46 | 3 |
| 6. მონაკო | 46 | 3 |
| 7. აშშ | 43 | 8 |
| 8. კანადა | 31 | 3 |
| 9. ჰოლანდია | 30 | 1 |
| 10. ესპანეთი | 30 | 5 |
| 11. ბრაზილია | 28 | 2 |
| 12. სამხრეთ აფრიკა | 23 | 2 |
| 13. ავსტრია | 22 | 2 |
| 14. არგენტინა | 20 | 1 |
| 15. სან მარინო | 20 | 1 |
| 16. პორტუგალია | 16 | 3 |
| 17. ავსტრალია | 16 | 2 |
| 18. მექსიკა | 15 | 1 |
| 19. იაპონია | 15 | 2 |
| 20. უნგრეთი | 14 | 1 |
| 21. ინდიანაპოლისი | 11 | 1 |
| 22. ევროპა | 9 | 3 |
| 23. შვედეთი | 6 | 1 |
| 24. შვეიცარია | 6 | 2 |
| 25. ლუქსემბურგი | 2 | 2 |
| 26. წყნარი ოკეანე | 2 | 1 |
| 27. მაროკო | 1 | 1 |
| 28. მალაიზია | 1 | 1 |
| 29. პესკარა | 1 | 1 |

კარგა ხანს ყველაზე გრძელ ტრასებად ნიურბურგრინგი (22, 8 კმ) და სპა (14,1) რჩებოდა. რეკონსტრუქციის შემდეგ ორივე საგრძნობლად დამოკლდა. რეკორდი კი „პესკარას" ეკუთვნის — ამ კიდევ ერთი იტალიური წრის სიგრძე 25,5 კმ იყო.

ერთი ქვეყნის დიდი პრიზი ყველაზე მეტჯერ ორმა პილოტმა მოიგო — ალენ პროსტმა ბრაზილიასა და საფრანგეთში, ხოლო აირტონ სენამ მონაკოში ექვს-ექვსჯერ გაიმარჯვეს. ამასთან, ჯადოქარმა ბრაზილიელმა მონტე კარლოს ურთულეს ტრასაზე ზედიზედ ხუთჯერ მიაღწია წარმატებას (1989-93), რაც აჯევე სარეკორდო მაჩვენებელია.

### ფორმულა თბილისში?

ფორმულა 1 მთელს დედამიწაზე სპორტის ყველაზე ძვირი სახეობაა. მაგრამ ფანტასტიკურ დანახარჯებს ორგანიზატორებისთვის ზღაპრული მოგებაც მოაქვთ. ამიტომაც სამეფო რბოლების მასპინძლობისთვის ერთი ამბავია ატეხილი. საგაისოდ რიგში დგას ჩინეთი, ლივანი, ჩეხეთი, ჰოლანდია, პორტუგალია, სამხრეთ აფრიკა. მიზეზიცა და მიზანიც ყველასთვის გასაგებია — გარდა იმისა, რომ თუნდაც ერთი ეტაპის ჩატარება ნებისმიერი ქვეყნისთვის პრესტიჟის საქმეა, ამასთან, წარმოუდგენლად სარფიანი ღონისძიებაცაა. 100-150 ათასი, ზოგჯერ კი მეტი მაყურებელიც ადევნებს თვალს 22 გადარეული მილიონერის ფეთიან ჯირითს და საამისოდ უზარმაზარ დანახარჯებსაც არ ერიდებიან. რეკორდსმენი ამ მხრივ მონტე კარლოა — სტარტის მახლობლად საუკეთესო ადგილზე მოკალათება 1000 დოლარი ღირს. არც ცხრამთასიქითა ავსტრალიაში უჩივიან ცხოვრებას — მელბურნის ხაზინა შარშანდელი რბოლის უქმეებზე 100 მილიონი დოლარით გამდიდრდა.

ხანგრძლივი, ცხრაწლიანი იზოლაციის შემდეგ ფორმულას აშშ-ის დიდი პრიზი დაუბრუნდა. რბოლა 24 სექტემბერს ინდიანაპოლისის სახეშეცვლილ „ოვალზე" შედგება. ორგანიზატორებმა, რაკი იმედი არა აქვთ, რომ ამერიკელები მათთვის უცხო ხილის სანახავად გაგიჟდებიან, მით უფრო, რომ
არც ერთი [...] 
მონაწილეთა შორის, ბილეთებ[...]
ცილო, ყველაზე დაბალი ფასი [...]
— სულ 100 დოლარამდე.

ისე, ცხადია, რბოლასაც გ[...]
არცთუ იშვიათად, როგორც ი[...]
ლად აღნიშნა ფორმულის ვეტ[...]
პილოტმა პიტერ გეტინმა, რამ[...]
სასტარტო წუთის შემდეგ ყველ[...]
ინტერესო სანახავი ისღაა, თ[...]
გორ ებრძვიან პოდიუმზე პრიზ[...]
შამპანურის ვეებერთელა ბოთლ[...]

20-25 წლის წინ საბჭოთა [...]
რიც აპირებდა სამეფო რბოლებ[...]
რაქაში გარევას, ანუ ფედერაც[...]
ეტაპის „დათრევას". საამისო [...]
რომის მოსაწყობად თავიდან ს[...]
რიანტი განიხილებოდა — რ[...]
ბალტიისპირეთში და ჩვენთან, [...]
ვის გზატკეცილზე, დოსააფის [...]
გადაკეთების შემდეგ. თუმც ლა[...]
ლაპარაკად დარჩა. მაგრამ, რ[...]
ჩანს, რუსებს დღემდე არ ამო[...]
გულიდან ფორმულის სამყაროშ[...]
ნჯრის გაჭრის" სურვილი და [...]
ვლიანადაც ფაციფუცობენ. ტრას[...]
საწყობად ორი ადგილი შეარჩ[...]
ერთი მოსკოვიდან არც ისე შორ[...]
ლაში, მეორე კი უშუალოდ დ[...]
ლაქში, შერემეტიევოს აეროპორტ[...]
ხლობლად. ტულის ტრეკის პრ[...]
უკვე კარგა ხანია, მზადაა, ც[...]
შვეიცარიული ფირმის „სტუდ[...]
ზაინის" მიერ დამუშავებული. ა[...]
სკოვის ხელისუფლებაა გულხ[...]
რეფილი — ფედერაციაში წინ[...]
სალიცენზიო განაცხადიც აფრინე[...]
მილიონების წვიმისთვის წვალ[...]
მდვილად ღირს. ამიტომაც ძ[...]
ტყავიდან, რომ საერთო სიდუხ[...]
მიუხედავად, როგორმე აისრულ[...]
დილი.

### მთავარია უსაფრთხო[...]

იმ 651 ეტაპს, სამწუხაროდ, [...]
რპლოდ არ ჩაუვლია. 44 პილოტ[...]
ცოცხლე შეწყდა. უშუალოდ რბ[...]
თუ მანქანების ტესტირების დრო[...]
დევ რამდენიმე სამუდამოდ ხეიბა[...]
რჩა და ინვალიდის ეტლითღა გ[...]
გილდება.

დაღუპულთა შორის ოთხი ჩ[...]
ნია, ყველაზე ტიტულოვანი — ა[...]
სენა. სამგზის ტრიუმფატორი 6 [...]
წინ, 1 მაისს დაიღუპა იტალიაში, [...]
ლაზე" რბოლისას. საჭეგატეხილ[...]
სი „უილიამსი" უდიდესი სიჩქარ[...]
ენარცხა ბეტონის კედელს, თუ[...]
არ გამხდარა ბრაზილიელის ს[...]
ლის მიზეზი — ავარიისას წინ[...]
რბლის მოტეხილი ღერძი აირტონ[...]
ვში მოხვდა, ჩაფხუტი გაგლიჯ[...]
საფეთქელში შეერჭო.

ორგზის ჩემპიონი, იტალიელი [...]
რტო ასკარი მშობლიურ „მონცაზ[...]
იღუპა (1955) „ფერარის" ახალი [...]
ლის გამოცდისას. ასევე ორგზის [...]
რჯვებული ბრიტანელი ჯიმ კ[...]
ნაწვიმარმა ტრასამ იმსხვერპლ[...]
მანიაში, „ჰოკენჰაიმზე" ფორმუ[...]
ის მორიგ ეტაპზე (1968). იოხ[...]
ნდტი კი ერთადერთია, ვინც ს[...]
ლის შემდეგ გახდა ჩემპიონი. ავ[...]
ელი პილოტიც „მონცაზე" და[...]
(1970) სეზონის ფინიშამდე 4 [...]
ადრე, მაგრამ ქულათა იმხელა მ[...]
ჰქონდა, მისი გასწრება ვერავინ შ[...]

ყველაზე სისხლიანი რეპუტაც[...]
ინდიანაპოლისის „ოვალი". ფორმ[...]
ჩათვლაში შემავალმა იმ 11 რბოლ[...]
პილოტის სიცოცხლე იმსხვერპლ[...]

პილოტთა უსაფრთხოების დ[...]
ვად, FIA-ს მიერ გატარებულმა [...]
რავმა ღონისძიებამ სასურველი [...]
გი გამოიღო და სამეფო რბოლებ[...]
ცილებით ნაკლებ სახიფათო გახ[...]

ამ მხრივ საინტერესოა ფორმუ[...]
ადმინისტრაციის თავკაცის, ბერნ[...]
ლსტოუნის კომენტარი:

— თუკი ავტოკატასტროფაში [...]
ვედრა გიწერიათ, უმჯობესია, ი[...]
მენტში ფორმულის ბოლიდში იჯ[...]
უფრო მეტ უსაფრთხოებას ვერც [...]
სხვა ავტომობილი ვერ უზრუნველ[...]
ამას „სილვერსტოუნზე" მიხაელ [...]
მახერის შარშანდელი ავარიაც [...]
დყოფს. რბოლისას ახლა უფრო [...]
შეჯახება ხდება, ვიდრე წინათ. სხ[...]
ბა ისაა, რომ დღეს იღუპებიან [...]
ლოდ მანქანები და არა პილოტებ[...]

**ირაკლი ნიკოლ[...]**


ფორმულა 1 ორმოცდაათი წლის წინ


დღევანდელი ფორმულა, სამწუხაროდ, უმსხვერპლო არ გახლავთ, მაგრამ ასეთი ავარიისასაც კი უმრავლეს შემთხვევაში პილოტები ცოცხლები რჩებიან


ბრაზილიელ „ჯადოქარ" აირტონ სენას ადრიანა გალისტეუსთან დაქორწინება არ ეღირსა

# ...მინდა მამამ ...მკოზრმეც დალოცა
## ...ომის პაპის ველომესა



...ანე პავლე მეორის კურთხევით მარკო პანტანი „ჯიროს“ დაუბრუნდა

გუშინ რომის პაპს ხუთასამდე სტუმარი ჰყავდა. მათი უმრავლესობა ველომრბოლი იყო — დიდებული ველორბოლის, „ჯირო დიტალია...“ მონაწილენი. დანარჩენთაგან გამო... ...ვეულით ლეგენდარულ სამთომოთ...მურე ალბერტო ტომბას და ოლი...რ ჩემპიონს ტანვარჯიშში, იური ... ისინი ცოტა უკან იდგნენ, პაპის ...ლო სიახლოვეს კი რკინის მერა...ჭენების ოთხი ბრწყინვალე ოსტატი აღმართულიყო — რუსი პაველ ტონკოვი, იტალიელები: ივან გოტი, მარიო ჩიპოლინი და ჰოი, საოცრებავ!.. „მეკობრე“ მარკო პანტანი. იმას რაღა უნდოდა, როცა ჯერ კიდევ გუშინ მოწინავე საინფორმაციო სააგენტოთა ცნობების საფუძველზე მკითხველს ვარწმუნებდით, პანტანი „ჯიროზე“ არ ირბოლებსო. ყველაფერი აუდიენციის შემდეგ გაირკვა და სიახლე საკმაოდ სენსაციური გამოდგა. შაბათ დილას სტარტზე გამოსულ ასობით მრბოლთაგან ერთ-ერთი „მეკობრე“ იქნება — განუცხადა ეს პანტანიმ მასმედიას და ვატიკანში თავმოყრილი ხალხის ემოციებმაც იფეთქა. პანტანის საერთოდ თავის ქვეყანაში დიდ პატივს სცემენ და იტალიის ბარე ნახევარს გულწრფელად აწუხებს ის უიღბლობანი, ბოლო ხანებში მრბოლელის განუყრელ თანამგზავრებად რომ იქცა (დისკვალიფიკაცია, ავარიები, სპორტული წარუმატებლობანი — ამაზე მკითხველმა იცის). „გადაწყვეტილება ორი დღის წინ მივიღე — უთხრა ჟურნალისტებს პანტანიმ — ხოლო მისი უწმინდესობისგან ნაბოძებმა კურთხევამ საკუთარი თავისთვის საბოლოოდ მათქმევინა: „ან ახლა, ან არასოდეს“. პათეტიკური შესავლის შემდეგ პანტანი ტურის პრაქტიკულ ასპექტებზე გადავიდა და თავისი შანსი საკმაოდ ზომიერად შეაფასა. „თავიდან გამიჭირდება — აღიარა „მეკობრემ“ — არცთუ ბევრი ვივარჯიშე და ფორმაში სრულად ვერ ჩავდექი. პირველი ათი დღე თუ გავძელი, მერე პიკს ვუწევ და ვერაფერი შემაჩერებს“.

პაპთან ველომრბოლთა აუდიენცია სხვანაირადაც საყურადღებო იყო. მსოფლიოს კათოლიკეთა ...მამ საზოგადოებას საკმაოდ ამაღ... ...ელი სიტყვით მიმართა და მოუწოდა, არ დაივიწყონ ჭეშმარიტი სპორტული ღირებულებები, რაშიც პატიოსან შეჯიბრსა და დოპინგის უარყოფას გულისხმობდა. მაგალითად იოანე პავლე მეორემ აწ განსვენებული ჯინო ბარტალი მოიყვანა, ერთი კვირის წინ 85 წლისა რომ შეუერთდა ზეციურ სამყაროს. „ის იყო ჭეშმარიტი კათოლიკე და „ტურ დე ფრანსის“ ორჯერ და „ჯიროს“ სამგზის უაღრესად პატიოსნად მომგები — აღნიშნა პაპმა — ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!“ ბოლოს პაპმა ველომრბოლთა ჯგუფის მიერ ჩრდილოიტალიური კომოდან ჩამოტანილი ვერცხლის ჩირაღდანი აანთო და საზეიმოდ გადასცა სპორტსმენებს. ჩირაღდანი ველომრბოლთა წმინდა მფარველის, გისალოს მადონას სახელობისა ყოფილა.

წინ კი სამი კვირა და 3707 კილომეტრია. 4 ივნისს, მილანში გავიგებთ, გისალოს მადონას კალთა ვის გადაეფარება.

**დავით გულუა**

## ჯირო 2000. გუნდები და მრბოლები

...ტი (იტალია): ივან გოტი (იტალია), იერონ ბლიილევენსი (...ოლანდია), ენრიკო კასანი (იტალია), დანიელ კლავერო (ეს...ნეთი), სილვიო მარტინელო (იტალია), ედი მაძოლენი (იტა...ია), ოსკარ პელიჩიოლი (იტალია), ხოსე მანუელ ურია (ეს...ნეთი), ბარტ ვოსკამპი (ჰოლანდია)

...ბა (იტალია): კურტ არვესენი (ნორვეგია), ივან ბასო (იტა...ია), პიეტრო კოჩიოლი (იტალია), დიეგო ფერარი (უკრაი...), ფაბიო მალბერტი (იტალია), ჯუზეპე პალუმბო (იტალია), ...ილიპო სიმეონი (იტალია), ალენ ტურიჩია (იტალია), ოსკარ ...ძი (იტალია)

...ესტო (ესპანეთი): დარიუშ ბარანოვსკი (პოლონეთი), კანდი...ო ბარბოზა (პორტუგალია), ტომაშ ბროზინა (პოლონეთი), ...არსიო ბრუსეგინი (იტალია), ელადიო ხიმენესი (ესპანეთი), ...რანსისკო პერესი (ესპანეთი), უნაი ოსა (ესპანეთი), ორლა...დო როდრიგესი (პორტუგალია), ლეონარდო პიეპოლი (იტა...ია)

...ტინა ტოლო (იტალია): დანილო დი ლუკა (იტალია), კრი...ტიან გასპერონი (იტალია), მასიმილიანო ჯენტილი (იტალია), ...სიმო ჯიუნტი (იტალია), ჯანპაოლო მონდინი (იტალია), რო...ერტო სგამბელური (იტალია), ანდრია ტონტი (იტალია), გვიდო ...რენტი (აშშ), მარკო ვერნიანი (იტალია)

...რამიკა (იტალია): მიკელ ვან კესელი (ჰოლანდია), ნიკლას ...ქსელსონი (შვედეთი), ვლადიმირ დოუმა (უკრაინა), გერიტ ...ლომსერი (ავსტრია), ენრიკო დეგანო (იტალია), ნათან ონი...ი (ავსტრალია), ლუკა სეი (იტალია), ანტონიო ვაირალე (იტა...ია), პაოლო ბერტოლიო (იტალია)

...რმ ფრაიტსი (ჰოლანდია): სერვეის კნავენი (ჰოლანდია), ...იშელ ლაფისი (შვედეთი), რობი მაკივენი (ავსტრალია), კოს ...ორენჰოუტი (ჰოლანდია), ვინ ვანსევენანტი (ბელგია), მარტინ ...ან სტეენი (ჰოლანდია), რენკო ვან დერ ვენი (ჰოლანდია), ...იკელ ვან კესელი (ჰოლანდია), პიტერ ვრიესი (ჰოლანდია)

...სა ბორტოლო (იტალია): ფაბიო ბალდატო (იტალია), ვლა...დიმირ ბელი (იტალია), ანდრია ფერიგატო (იტალია), მარკო ...ინკატო (იტალია), დარიო ფრიგო (იტალია), დიმიტრი კო...იშევი (რუსეთი), ანდრეა პერონი (იტალია), რაიმონდას რუ...მსასი (ლიტვა), მატეო ტოსატო (იტალია)

...ლმე (ესპანეთი): ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი), ოსკარ სე...ილია (ესპანეთი), ხოსე კასტელბლანკო (კოლუმბია), ფელიქს ...არდენასი (კოლუმბია), ხოსე ბუტიერესი (ესპანეთი), ხუან დე ...ლოს ანხელესი (ესპანეთი), ფრანსისკო ლეონი (ესპანეთი), ხო...ე გომეს გონსალო (ესპანეთი), ანხელ არკოსი (ესპანეთი)

...ფრანსეზ დე ჟე (საფრანგეთი): ფაბრიციო გიდი (იტა...ია), გრეგორ გვიაზდოვსკი (პოლონეთი), ივონ ლედანუა (სა...ფრანგეთი), ბრედლი მაკჯი (ავსტრალია), ფრანკ პერკი (საფ...რანგეთი), ნიკოლა ვოგონდი (საფრანგეთი), დანიელ შნაიდე...რი (შვეიცარია), ჟან-მიშელ ტესიე (სსაფრანგეთი), ჟიმი კას...პერი (საფრანგეთი)

...მარე (იტალია): ჯილბერტო სიმონი (იტალია), სერჯიო ბა...რბერო (იტალია), მასიმო კოდოლი (იტალია), ლუდო დირქ...სენსი (ბელგია), სიმონე ბერტოლეტი (იტალია), მარკო დელა ...ედოვა (იტალია), გაბრიელე მისალია (იტალია), მარიანო პი...ოლი (იტალია), მარკო პინოტი (იტალია)

ლინდა მაკარტნი რასინგი (ინგლისი): მაქსიმილიან სიანდრი (დიდი ბრიტანეთი), პასკალ რიშარი (შვეიცარია), ემანუელე ლუპი (იტალია), ბიორნარ ვესტოლი (ნორვეგია), სიარენ პოუერი (ირლანდია), მაურიციო დე პასკუალე (იტალია), დევიდ მაკენზი (ავსტრალია), მეტიუს სტივენსი (დიდი ბრიტანეთი), ბენჯამინ ბრუქსი (ავსტრალია)

ლიკიგასი (იტალია): სტეფანო კატაი (იტალია), დანიელე კონტრინი (იტალია), კრისტიანო ფრატინი (იტალია), სერგეი გონჩარი (უკრაინა), ჯანკარლო რაიმონდი (იტალია), დავიდე რებელინი (იტალია), ალესანდრო სპეციალეტი (იტალია), დენის ძანეტი (იტალია), მარკო ძანეტი (იტალია)

მაპეი (იტალია): დავიდე ბრამატი (იტალია), მანუელ ფერნანდეს გინესი (ესპანეთი), ჯულიანო ფიგუერასი (იტალია), პაოლო ფორნაჩიარი (იტალია), პაოლო ლანფრანჩი (იტალია), უილიამ მაკრეი (აშშ), ანდრეა ნოე (იტალია), პაველ ტონკოვი (რუსეთი), აქსელ მერქსი (ბელგია)

მერკატონე უნო (იტალია): სტეფანო გარზელი (იტალია), დანიელე დე პაოლი (იტალია), მარკო ველო (იტალია), ენრიკო ძაინა (იტალია), ერმანო ბრინიოლი (იტალია), სიმონე ბორგერეზი (იტალია), რიკარდო ფორკონი (იტალია), ფაბიანო მონტანელი (იტალია), მარკო პანტანი (იტალია)

მობილვეტა (იტალია): ევგენი ბერზინი (რუსეთი), ფილიპო ბალდო (იტალია), ივან კარანტა (იტალია), მირკო გალდი (იტალია), მარიო მანძონი (იტალია), მილან კადლეჩი (ჩეხეთი), გრაციონო რეჩინელა (იტალია), პაოლო ვალოტი (იტალია), ალბერტო ონგარატო (იტალია)

ნეკტარი (კოლუმბია): ხაიმე გონსალესი (კოლუმბია), ერნან გუტიერესი (კოლუმბია), რაულ მონტანა (კოლუმბია), ფრედი მარტინესი (კოლუმბია), რუბენ მარინი (კოლუმბია), ანდრის ნაუდუზასი (ლატვია), ფორტუნატო ბალიანი (იტალია), ალესიო ჯირელი (იტალია), ლეონარდო სკარსელი (იტალია)

რაბობანკი (ჰოლანდია): ნიკი ებერსოლდი (შვეიცარია), ერიკ დეკერი (ჰოლანდია), ბრამ დე გრუტი (ჰოლანდია), სტივენ დე იონგი (ჰოლანდია), ედი ენგელსი (ჰოლანდია), კარსტენ კრუნი (ჰოლანდია), მატე პრონკი (ჰოლანდია), აარტ ვიერჰოუტენი (ჰოლანდია), მარსელ დუინი (ჰოლანდია)

საეკო (იტალია): მარიო ჩიპოლინი (იტალია), პაოლო სავოლდელი (იტალია), ჯუზეპე კალკატერა (იტალია), ალესიო გალეტი (იტალია), პაველ პადრნოსი (ჩეხეთი), დარიო პიერი (იტალია), იგორ პუგაჩი (მაკედონია), მარიო შირეა (იტალია), ფრანჩესკო სეჩიარი (იტალია)

ვინი კალდიროლა (იტალია): ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია), მასიმო დონატი (იტალია), რობერტო კონტი (იტალია), მაურო ძანეტი (იტალია), მარკო მილესი (იტალია), ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია), მეტიუ ვაიტი (ავსტრალია), ფილიპო კასაგრანდე (იტალია), რუჯერო ბორგი (იტალია)

ვიტალიციო (ესპანეთი): ელიო აჯიანო (იტალია), სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი), ლუის რამოსი (კოლუმბია), ხუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი), იან ჰრუსკა (ჩეხეთი), ალვარო გონსალეს გალდეანო (ესპანეთი), მიგელ პერდიგერო (ესპანეთი), ივან პინტო (კოლუმბია), ვიქტორ პენია (კოლუმბია)



# ფულიანები ჩემპიონატში, უფულოები რიგში

**გადაწყდა.** კვირას, 14 მაისს, მორაგბეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. ელირსა გულშემატკივარს ქართული რაგბის საუკეთესო კლუბების მოედანზე ხილვა. უფულობას რა ვუთხარით, თორემ აქამდე ოთხი ტური მაინც უნდა ჩატარებულიყო. რაგბის კავშირის მიერ დათქმულ ვადაში ჩემპიონატში მონაწილეობისთვის შესატანი თანხა მხოლოდ ბათუმის „დათვებმა“, თბილისის „ყოჩებმა“, „უნივერსიტეტმა“ და ასკ-მ გადაიხადეს. სწორედ ეს ოთხი გუნდი ითამაშებს ჩემპიონატში, მაგრამ მათ შეიძლება „ლოკომოტივიც“ დაემატოს. რკინიგზელები უფულობის გამო ჯერჯერობით ჩემპიონატის მიღმა რჩებიან, თუმცა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა გუნდს შეღავათს უწევს და ფულის გადახდას 19 მაისამდე აცლის. მანამდე კი, როგორც ზემოთ ვთქვით ჩემპიონატი დაიწყება კვირას, 14 მაისს, ჩემპიონი ბათუმის „დათვები“ თბილისის „უნივერსიტეტს“ უმასპინძლებს. ბათუმელები სტუმრადაც და შინაც ერთნაირად ძლიერად თამაშობენ და არა გვგონია, ფინანსურად მომძლავრებულმა სტუდენტებმა ზღვისპირეთიდან სამი ქულა წამოიღონ. ეგ კი არა, თუ პრემიალურ ქულას მაინც გამოჰკრეს ხელი, ესეც მიღწევა იქნება მათთვის. თბილისში „ასკ“ „ყოჩებს“ დაუპირისპირდება. წინა ჩემპიონატში არმიულმა კლუბმა ოთხეული დააჭაშნიკა, მაგრამ მას შემდეგ გამარჯვება ვერც ერთხელ იგემა. „ყოჩები“ კი ვიცე-ჩემპიონობას ნამდვილად არ დასჯერდებიან, წლევანდელ გათამაშებაში ჭეიშვილის შეგირდები მხოლოდ პირველობისთვის იბრძოლებენ.

**ბაჩო სვანიძე**



# PLAY OFF
## ნახევარფინალი

# ჩემი ქილერი შენსას სჯობს

### აღმოსავლეთი

**ფილადელფია (1) — ნიუ ჯერსი (4)**

**1999 — 2000: +0=1-4**

*პლეი ოფში მეორედ ხვდებიან 1995 — 2:4*

ნიუ ჯერსელთა ფიზიკური მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ იგი ერთადერთი გუნდია, რომელსაც ფილადელფიელი ათლეტების ძლევა ძალუძთ. მას შემდეგ, რაც 1995 წელს ნახევარფინალურ სერიაში ფილადელფია „ეშმაკებთან“ დამარცხდა, მათი გენერალური მენეჯერის, ბობი კლარკის მიერ განხორციელებული თითქმის ყველა გაცვლა სწორედ იმაზე იყო გათვლილი, რომ ისეთი გუნდი ჩამოეყალიბებინა, ნიუ ჯერსისთან ბრძოლა შესძლებოდა. ამჯერად კი კლარკი მათ გარეშე დარჩა, ვისაც ეს სისტემა უნდა განეხორციელებინა — გუნდს ერიკ ლინდროსი და კეიტ პრიმო აკლია. ფილადელფიელთა შეტევითი კონცეფციის თავიდათავი მეტოქის ზონაში შაიბის ჩაგდება და იქ ბორტებთან ძალისმიერ ბრძოლებში უპირატესობის მოპოვებაა, მაგრამ ნიუჯერსელ მცველებს შესწევთ ძალა, წინ აღუდგნენ ამ ტაქტიკას. განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ გუნდის კაპიტანი სკოტ სტივენსი, რომელიც უკვე გაუმკლავდა ისეთ ფორვარდებს, როგორებიც ფლორიდელი პაველ ბურე და ტორონტოელი სტივ ტომასი არიან. ამჯერად იგი გაცილებით ძლიერ ფორვარდს ჯონ ლეკლერს უნდა გაუმკლავდეს, სტივენსის და ლეკლერის ბრძოლის შედეგზე სერიის ბედი ბევრად იქნება დამოკიდებული. „მფრინავებს“ კიდევ ერთი კოზირი აქვთ, კარგად იყენებენ რიცხვმრავლობას, მაგრამ მეტოქეს ამის გასაუვნებლებელი იარაღი უკვე აქვს — ნიუჯერსელთა „პენალტი ქილერები“, ანუ უმცირესობაში მოთამაშე ჰოკეისტები ძალიან მარჯვედ ასრულებენ თავიანთ საქმეს. თავის მხრივ ერთობ მწვავე და სწრაფი კონტრშეტევები ეხერხებათ ნიუჯერსელებს.

*პროგნოზი: 4:3 ნიუ ჯერსის სასარგებლოდ.*

### დასავლეთი

**დალასი (2) — კოლორადო (3)**

**1999-2000: +=1-3**

*პლეი ოფში მეორედ ხვდებიან 1999 — 4:3*

ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც დასავლეთის ფინალში დალასი და კოლორადო გადაეყარნენ ერთმანეთს. გამარჯვებულის გამოცნობა რთულია, რადგან ბოლო ერთი წლის განმავლობაში ორივე გუნდი გაძლიერდა.

გონივრული საკადრო პოლიტიკის წყალობით მეტოქეებმა მანამდე არსებული ნაკლოვანებები აღმოფხვრეს. დალასელები ფორვარდების, ჯო ტორნტონის, კირკ მიულერის დამცველების — სილვენ კოტესა და დეიკ მენსონის შეძენის შემდეგ კიდევ უფრო მომძლავრდნენ ფიზიკურად, ამიტომ მათთან პრესინგის გამოყენება ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გაუჭირდება. ამჟამად „ვარსკვლავების“ შემადგენლობა ძალზე დაბალანსებულია.

წლეულს კოლორადოც გაცილებით მრისხანეა. დავაჟკაცებული კრის დრური და მილან ჰეიდუკი ნამდვილ ოსტატებად იქცნენ, ახალბედა ალექს ტანგეიც კარგად მოერგო გუნდს, სახელოვანი რეი ბურკისა და დეივ ანდრეიჩუკის დედლაინზე ყიდვამ კი სრულიად გარდაქმნა „ეველანში“. ჩვეულად ირჯებიან ლიდერებიც — პეტერ ფორსბერგი და ჯო საკიკი. არც კოლორადოს დაცვა ჩამოუვარდება მეტოქისას.

და მაინც, მცირეოდენი უპირატესობა კოლორადოს უნდა მივანიჭოთ, რასაც ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსები განაპირობებს. ჯერ ერთი, დალასი წლეულს უფრო ხშირად ჰყვება ემოციებს და უსაფუძვლოდ ჯარიმდება, მაშინ, როცა კოლორადო მძიმე მომენტებშიც კი მშვიდად და აუღელვებელია. მეორეც, „ეველანშის“ დაცვამ წინა სეზონთან შედარებით უფრო დიდ პროგრესს მიაღწია, რის გამოც რუას ერთ მატჩში საშუალოდ 8-ზე ნაკლები დარტყმის მოგერიება უწევს.

*პროგნოზი: 4:3 კოლორადოს სასარგებლოდ.*

### მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი

ნახევარფინალი

**სლოვაკეთი — ფინეთი 3:1**

2:0 1:1 0:0

1:0 პარდავი 6'38; 2:0 შატანი 11'47; 2:1 ლუდმანი 24'22; 3:1 კაპუჩი 24'55

**კანადა — ჩეხეთი 1:2**

1:1 0:0 0:1

0:1 ვიბორნი 17'03; 1:1 ისბისტერი 17'36; 1:2 რაიხელი 51'07

ფინალში ითამაშებენ

**სლოვაკეთი — ჩეხეთი**

მესამე ადგილისთვის

**ფინეთი — კანადა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

II ბუნდესლიგა

31-ე ტური. ზანქტ პაული — ალემანია 2:1; ბერლინი — ფორტუნა 1:2; ობერჰაუზენი — ჰანოვერი 2:1

## იტალია

სერია B. XXXIV ტური

პესკარა 4:0 სამპდორია

## შვეიცარია

X ტური

ბაზელი 3:1 სენტ გალენი

## რუსეთი

VIII ტური

ცსკა 4:1 ზენიტი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

37-ე ტური. ვასკეალი — ნიორი 2:0; ტულუზი — ლე მანი 3:0; ლუანი — კაენი 0:4; შატორუ — კანი 3:0; აიაჩო — ვალანსი 2:0; ნიცა — ლორიანი 3:1; ნიმი — გენიონი 0:1; ლავალი — სოშო 1:2; გენგამი — ლილი 1:1; ამიენი — კრეტეი 0:0

## თურქეთი

33-ე ტური. ალთაი — გალათასარაი 1:0; გაზიანთეფი — ანკარაგიუჯიუ 2:2; გენჩლერბირლიგი — ერზურუმი 5:0; ვანი — ბურსა 3:1; ქოჯაელი — ანთალია 1:1; ისთანბული — ადანა 3:2

## ავსტრია

XXXIV ტური

რაპიდი 4:1 ბრეგენცი



# მომავალ ბექემამდე!

ბექემმა ბურთი დაკარგა და ადამსს კოცნის, ტონის არა, ვიქტორიას. ბურთი ხელთ იგდო ბექემმა. დევიდმა არა, ბრუკლინმა...

რეპორტაჟი მიგვყავდა ლოს ანჯელესის ერთ-ერთი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიიდან. მომავალ ბექემამდე!



# კოსმეტიკა



ოცდაშვიდი დღე დარჩა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნამდე. მასპინძელი ქვეყნები დიახაც რომ კონტავდებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლოჯერ იცქირებიან სარკეში და მცირე კოსმეტიკას იგებენ სახეზე. აი, შუა როტერდამში, ერთი საოფისე სახლის მთელ ფასადზე ედგარ დავიდსი გამოუხატავთ. ბრიუსელში კი იქაური ნაკრების ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენა გახსნილა. განთქმული ფოტოხელოვან პატრიკ ბიგას შავ-თეთრად გადაუღია ნილისები და მპენზანი. ბელგიელთა ნაკრების მწვრთნელი რობერ ვასეიჟიც სწორედ ბიგას ალბომს ათვალიერებს.



REUTERS რომიდან

# გამოდარებულ რომში

რომში ვარიანად წვიმდა და იქაური მასტერსის შეჯიბრი ოდნავ შეფერხდა. გამოდარებას დარი არ დაუთესავს უკრაინელი ანდრეი მედვედევის გულში, რომელიც ისე გაუბრაზებია შვედ მაგნუს ნორმანთან პირველი სეტის წაგებას, რომ ჩოგანი მუხლზე გადაუმტვრევია.



REUTERS ჰავანიდან

# მიუნხენისკენ, მიუნხენისკენ, მიუნხენისკენ!

დიეგო ოფლს ღვრის. რაც რომ სხეულში კოკაინები ჩარჩენია, ყველაფერი უნდა გამოდევნოს. ჰავანის სარეაბილიტაციო ცენტრში ახლა განსაკუთრებული რეჟიმი გამეფებულა — მარადონა სათამაშოდ ემზადება. 26 მაისს, მიუნხენში ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარი მატჩია. დიეგო დაპატიჟებულია, თამაში უნდა. ისე კი, მეოთხე თვე ილევა, რაც ფიდელ კასტროს მიერ მიწვეული მარადონა ჰავანაში ცხოვრობს და როგორც ამბობენ, იკურნება კიდეც.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli